



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი

გიორგი ქათამაძე

**ბიზნეს სუბიექტის ინსტიტუციონალურ-ფინანსური
ანალიზი და პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგია**

(ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად)

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

გიორგი აბუსელიძე

ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ბათუმი-2019

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

გიორგი ქათამაძე

ხელმოწერა:

თარიღი:

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი I. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები...	12
§1.1. ბიზნეს სუბიექტის კრიზისის იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური სრულყოფა.....	12
§1.2. ბიზნეს სუბიექტის კრიზისის ინსტიტუციონალურ-ფინანსური ანალიზის მეცნიერული გაგებისათვის	36
თავი II. სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო ინსტიტუტების როლი ბიზნესისა და ბიზნეს სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებით.....	49
§2.1. სახელმწიფო პოლიტიკის თავისებურებანი ბიზნეს სუბიექტებთან მიმართებაში	49
§2.2. საქართველოს ეკონომიკურ გარემოს ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.....	82
§2.3. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალური მიმართულებების თავისებურებები.....	95
თავი III. ბიზნეს სუბიექტის კრიზისის პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის სრულყოფის მიმართულებები.....	106
§3.1. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის გამომწვევი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მეცნიერული ანალიზი	106
§3.2. ბიზნეს სუბიექტის პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის მოდელის ფორმირების მეთოდოლოგია	135
დასკვნები და წინადადებები.....	138-144
ბიბლიოგრაფია.....	1489
დანართები	16060

ილუსტრაციათა ნუსხა

ცხრილები

ცხრილის ნომერი	ცხრილის დასახელება	გვერდი
ცხრილი N1	საქართველოს ეკონომიკური გარემოს კომპონენტების დინამიკა	28
ცხრილი N2	ვერტიკალური ფინანსური ანალიზის მაგალითი	39
ცხრილი N3	ჰორიზონტალური ფინანსური ანალიზის მაგალითი	40
ცხრილი N4	პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის მოდელი	47
ცხრილი N5	საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტები 03.2018წ მდგომარეობით	51
ცხრილი N6	ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაცია წლებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით	52
ცხრილი N7	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	62
ცხრილი N8	რეზიდენტ შინამეურნეობასა და რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების დინამიკა	69
ცხრილი N 9	რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული რესტრუქტურიზებული და ვადაგადაცილებული სესხები	70
ცხრილი N10	საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი და იმპორტი	83
ცხრილი N11	ტურიზმი, შემომსვლელთა რაოდენობა	83
ცხრილი N12	ფორს-მაჟორულ სიტუაციაში კომპანიის სტრატეგია და შედეგი	90
ცხრილი 13	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროექტები 2011-2018	97-98
ცხრილი 14	ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორების დინამიკა	104
ცხრილი 15	ბიზნეს სუბიექტების კრიზისის კლასიფიკაცია	114
ცხრილი 16	ქეის სტადის შედეგების ფაქტორული კლასიფიკაცია და რეკომენდაციები	128-129
ცხრილი 17	პრევენციულ-ანტიკრიზისული მოდელი	140

დიაგრამები

დიაგრამის ნომერი	დიაგრამის დასახელება	გვერდი
დიაგრამა N1	კრიზისის განვითარება	16
დიაგრამა N2	ვალუტის კურსის ცვალებადობის დინამიკა 2010-2018 წწ.	78
დიაგრამა N3	დაქირავებული ფინანსური მომსახურებით მოსარგებლე ბიზნეს სუბიექტების ხვედრითი წილი	87
დიაგრამა N4	ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე ვალუტის კურსის ცვალებადობის ნეგატიური გავლენის ხვედრითი წილი კვლევაში მონაწილე სუბიექტების ჯამური რაოდენობიდან	87
დიაგრამა N5	კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტებიდან უცხოურ ვალუტაში სესხის მქონე კომპანიების რაოდენობა	88
დიაგრამა N6	კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტების რა ნაწილს შეუმცირდა ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში	89
დიაგრამა N7	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემრის ჩათვლით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგების სტატისტიკა	109
დიაგრამა N8	თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემრის ჩათვლით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგების სტატისტიკა	110
დიაგრამა N9	საქართველოში 2010 წლიდან-2017 წლის ჩათვლით: სულ სასამართლოს მიმართა გაკოტრების/გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ დავებზე	110

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. საქართველოში, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მუდმივად ცვლად გარემოში, ხშირია ბიზნეს სუბიექტების კრიზისული სიტუაციები, მაშინ როდესაც სამეწარმეო აქტივობის შედეგები წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების მნიშვნელოვან ნაწილს. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ბიზნეს სუბიექტების უდიდესი როლი განაპირობებს იმას, რომ ბიზნესის განვითარება და მისი დაცვა კრიზისებისაგან დღითი დღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბიზნეს ადმინისტრირების თეორიისა და პრაქტიკისათვის.

სამეწარმეო რეესტრის ინფორმაციით, ბიზნეს სუბიექტების რიცხვის, მათი ლიკვიდაციის და ზოგადად, სამეწარმეო სუბიექტების შესახებ ზუსტი მონაცემების აღრიცხვიანობა წარმოებს ბოლო 10 წელია. არსებული მონაცემების მიხედვით ბოლო 10 წლის (2007-2017 წ.წ.) განმავლობაში საქართველოში გაუქმდა 103.229 ბიზნეს სუბიექტი; ანუ, დაახლოებით 20,7%. თუმცა მათი გაუქმების (ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, თუ გადახდისუუნარობის) მიზეზების კომპლექსური კვლევა, კრიზისების წინააღმდეგ ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, ჯერჯერობით ნაკლებად ხორციელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზნები და ამოცანები ჩამოვყალიბეთ შემდეგნაირად:

კვლევის მიზნებია:

1. კრიზისთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტების პრაქტიკების სპეციფიკის გამოვლენა სამოქმედო სტრატეგიების განსაზღვრის მიზნით;
2. საქართველოში მოქმედი იმ ძირითადი მექანიზმების (ინსტიტუტები) გამოვლენა, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა-არასტაბილურობას;
3. დადგინეს კონკრეტული აქტორისათვის სახელმწიფოს ჩარევის გავლენა და შედეგები;
4. განვსაზღვროთ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების როლი და

ადგილი ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის პროცესში, განსაკუთრებით კრიზისის გამოწვევა-გადამუშავების კუთხით;

5. დადგინდეს როგორია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენა ბიზნეს სექტორთან დაკავშირებული აქტორების საქმიანობაზე (ბიზნეს სუბიექტები, ბანკები, სხვადასხვა ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები და სხვ.);

6. გამოიკვეთოს სხვადასხვა გამოწვევის პირობებში ცალკეული აქტორების მოქმედების სტრატეგიები და პრაქტიკები;

7. დადგინდეს საქართველოში ბიზნეს სუბიექტების კრიზისის ანატომია და მისი პრევენციის და აღმოფხვრის გზები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დავსახეთ შემდეგი **ამოცანები**:

1. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული გამოცდილებების ანალიზი;

2. ბიზნესის კრიზისში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გამოვლენა და ანალიზი არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით;

3. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის კომპლექსური ფაქტორების (ინსტიტუციონალური, ფინანსური, ორგანიზაციული და სხვ.) ანალიზის მეცნიერული მიდგომების მიმოხილვა და კვლევის ობიექტისათვის ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრა;

4. ბიზნეს სუბიექტის კრიზისის გამოვლენისა და კვლევის მეთოდოლოგიის ანალიზი;

5. სისტემური პერსპექტივიდან სახელმწიფოს ბიზნესთან მიმართების ფორმები და მექანიზმების (ფორმალური ინსტიტუტების) გამოვლენა;

6. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობისა და დაინტერესების ანალიზი ბიზნესთან მიმართებით არაფორმალური ინსტიტუტების გამოვლენისა და ანალიზის კუთხით (აქტორული პერსპექტივა);

7. ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ანალიზი ბიზნეს სუბიექტებზე გავლენის თვალსაზრისით;

8. ბიზნეს სუბიექტის პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიების გამოცდილების ანალიზი;

კვლევის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით ჩვენი ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად შეიძლება იყოს ფორმულირებული: მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებები არ შეიძლება გახდეს ბიზნეს სუბიექტის კრიზისის საფუძველი. ბიზნეს სუბიექტების კრიზისი და მათი საქმიანობის შეჩერება შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც მაკროეკონომიკურმა ასევე მიკროეკონომიკურმა პროცესებმა.

კვლევის საგანი: საქართველოში რეგისტრირებული (მოქმედი), კრიზისში მყოფი და გაუქმებული (გაკოტრებული) ბიზნეს სუბიექტების ფინანსურ-ინსტიტუციონალური ანალიზი; მათი საქმიანობის შესწავლა რეგისტრაციის მომენტიდან რეგისტრაციის გაუქმებამდე ან საქმიანობის შეფერხებამდე; ანტიკრიზისული სტრატეგიების შემუშავების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

კვლევის ობიექტი: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი (ან გაუქმებული, შეჩერებული, გადახდისუნაროდ გამოცხადებული) ბიზნეს სუბიექტები; კრიზისის გამომწვევი აქტორები და ინსტიტუტები; ბიზნეს გარემოს ფორმირების პროცესი (სასამართლო სისტემა, გაკოტრების ინსტიტუტი და მექანიზმები და სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებები).

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კონფლიქტის აქტორზე ორიენტირებული ინსტიტუციონალური ანალიზის მიდგომა - სოციალურ მეცნიერებებში კონფლიქტების კვლევის თეორიისათვის კრიზისი სხვადასხვაგვარი პროცესებისა და ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია; ამ თვალსაზრისით კრიზისი არა მარტო პრობლემის გამოვლენის, არამედ მისი გადამშავების ფაქტორიცაა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: კრიზისი არ არის ნეგატიური მოვლენა; კრიზისი კი არ ქრება, არამედ გადამშავდება; კრიზისი არის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი; და

ბოლოს, იგი აქტორების მიერ საკუთარი ინტერესებისათვის (სტატუსი, ძალაუფლება, რესურსები) ბრძოლაა. ამის გამოსავლენად კი აუცილებელია თითოეული შემთხვევის ჩარღმავებული ანალიზი (case study).

„ქეის სტადი“ - კვლევის პროცესში გამოყენებულია შემთხვევების ანალიზის მეთოდი - ბიზნეს სუბიექტების კრიზისების კონკრეტული შემთხვევების კვლევა, რომელიც არის არა მხოლოდ კრიზისის შემთხვევის შესახებ შეფასებითი ჩანაწერი, აღწერა, არამედ მისი სრული, კომპლექსური, ინფორმაციული, მასალა, რომელიც იძლევა სიტუაციის სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას. კვლევის პროცესში გამოყენებულია 50-მდე სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის ქეისი;

ქეისების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იყო შემდეგი კრიტერიუმები: ა) ბიზნეს საქმიანობის დაწყება და დასრულება ბოლო 10 წლის პერიოდში; ბ) ბიზნეს სუბიექტების შერჩევა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან; გ) ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სეგმენტების სხვადასხვაობა;

სტატისტიკური ანალიზი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე დამუშავდა სხვადასხვა მონაცემები; ასევე გაკეთდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების დინამიკის ანალიზი.

შედარების მეთოდი - ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდა ერთი და იგივე პერიოდში, მსგავსი კატეგორიების ფარგლებში არსებული მონაცემების შედარებითი ანალიზი კონკრეტული კომპონენტის ტენდენციების დასადგენად. ამ მიზნით დამუშავდა ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც მოგვაწოდეს ქ. ბათუმის და ქ. თბილისის მერიებმა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.

კომპონენტური ანალიზი - აღნიშნული მეთოდით მოხდა კომპონენტების მიხედვით (მაგ.: ვალუტის კურსის და კონკურენციის გავლენა, ბიზნეს ლოკაციის ფაქტორი) ქეისების კლასიფიკაცია, ამ ფაქტორების კრიზისზე გავლენის შესწავლა ცალცალკე და შემდგომ კრიზისის წარმოშობაში მათი როლისა და ადგილის განსაზღვრა.

ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი - მოიცავდა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემების, დოკუმენტების, გადაწყვეტილებების შესწავლასა და კლასიფიკაციას.

კვლევა ეფუძნება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებს, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებსა და ანგარიშებს, სახელმწიფო დაწესებულებათა ოფიციალურ დოკუმენტაციას, სხვადასხვა სახის სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სხვადასხვა კანონებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს), მსოფლიო ბანკისა და ფედერალური სარეზერვო ფონდის ოფიციალურ ინფორმაციასა და კვლევებს; ასევე, უშუალოდ ბიზნეს სუბიექტებთან ინტერვიუებსა და გამოკითხვებს.

კვლევის მეცნიერული სიახლეები:

- ბიზნეს სუბიექტების კრიზისის კვლევა ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით;
- კრიზისის ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების ანალიზი ბიზნეს სუბიექტების კრიზისის შედეგების გათვალისწინებით;
- ბიზნეს სუბიექტების გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შესაძლებლობის რისკის პროგნოზირება კომპონენტური კვლევით, გაკოტრებამდე კრიზისში შესვლის მომენტის იდენტიფიკაცია და პრევენციული მოდელის შემუშავება;
- ბიზნეს სუბიექტების კრიზისის კომპონენტური ანალიზით კვლევა, რაც მოიაზრებს ქვეყნის მონეტარული, ფისკალური პოლიტიკის კომპონენტებისა და უშუალოდ ბიზნეს სუბიექტების კრიზისის კომპონენტების მიზეზ-შედეგობრივ დაკავშირებას.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი, მასში გამოყენებული მიდგომების, მეთოდოლოგიის და თეორიულ-პრაქტიკული სპეციფიკის გათვალისწინებით, საინტერესო იქნება საქართველოში ბიზნესის ანალიზით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის. პრაქტიკული კუთხით მიღებული შედეგები საყურადღებო იქნება სხვადასხვა კომპანიების მენეჯერების, მეცნიერ-მკვლევრებისათვის, სახელმწიფოს საფინანსო ინსტიტუტებისა და ზოგადად, ბიზნეს საქმიანობით დაინტერესებული წრისათვის.

საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში არ არის გამოყენებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. ინფორმაცია მიღებულია უშუალოდ ბიზნესის მფლობელების, ბუღალტრების თუ ფინანსურ მენეჯერებისგან. ასევე აუდიტორული კომპანიებიდან, სასამართლოდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, შემოსავლების სამსახურიდან, რის მეშვეობითაც მოხერხდა ქეისების შერჩევა; კონკრეტული შემთხვევების გამოსავლენად ასევე გამოყენებული იყო სოციალური ქსელები.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი მოიცავს 160 გვერდს. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, შვიდი ქვეთავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და დანართებისგან.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულ იქნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე 2017 წლის 29 ივნისს.

თავი I

ბიზნეს სუბიექტების კრიზისის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

§1.1. ბიზნეს სუბიექტის კრიზისის იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური სრულყოფა

ბიზნეს სუბიექტების, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი აქტორების ორგანიზებისა და საქმიანობის შესახებ, სხვადასხვა კვლევები არსებობს. ნაშრომთა ერთ ნაწილში გააზრებულია საკითხის თეორიული მხარე. მათი მეორე ნაწილი ამ თეორიების კრიტიკაზე, ხოლო მესამე ნაწილი კი მათ გადამუშავებაზე ან ახალი თეორიის შემუშავებაზე არის ორიენტირებული.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ავტორების ნააზრევს, რომლებიც როგორც ზოგადად აღწერს ეკონომიკურ წყობას და ბაზარი - კომპანია - სახელმწიფო მიმართებას (სისტემური პერსპექტივა) ასევე კონკრეტულ კომპანიების ფუნქციონირების (ინსტიტუტი) ასპექტებს. ინსტიტუციონალური ურთიერთქმედების ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქტორული პერსპექტივის გამოყენება (ქეისების მეშვეობით) რომელიც დამატებითი განზომილების მეშვეობით საკითხის უკეთ გააზრებას უწყობს ხელს.

ადამ სმიტი თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ აღნიშნავს: „ის, რაც საზოგადოების ველურ მდგომარეობაში ერთი ადამიანის სამუშაოს შეადგენს, განვითარებულ საზოგადოებაში სრულდება რამდენიმე ადამიანის მიერ“ (სმიტი, 2007). სწორედ ეს არის ის პრინციპი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს თავისდაუნებურად აიძულებს საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანდნენ და მათი საერთო ძალებით უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ საბოლოოდ მოგებისა თუ თვითკმაყოფილების მიღების მიზნით. სწორედ ამის გამო საუკუნეების წინ იქმნებოდა ის გაერთიანებები მათი პირველადი ფორმებით, რომლებიც თანამედროვე

მსოფლიოში კომპანიების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ჰოლდინგების სახით საქმიანობენ.

კრიზისის საფუძველი და განვითარება თავისი არსიდან გამომდინარე, დაკავშირებულია სხვადასხვა სპეციფიურ დეტალებთან, ამიტომ მისი კომპლექსური შესწავლისათვის საჭიროა ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა: კომპანიის ორგანიზაციული საფუძვლები, კომპანიის გაკოტრების დიაგნოსტიკის მოდელები, ანტიკრიზისული სტრატეგიების შემუშავების მეთოდები და სხვა მიდგომები, რომლებსაც თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ კვლევებში მნიშვნელოვანი როლი აქვთ.

აქედან გამომდინარე საყურადღებოა ისეთი ავტორების ნააზრევის მოშველიება, როგორცაა: კ.მარქსი (K.Marx), ა.სმიტი (A.Smith), ჯ.მ. კეინსი (J.M. Keynes), შ. სისმონდი (S.Sismondi), ი. შუმპეტერი (J.Schumpeter), გ. ლ. გრეინერი (L. Greiner), ე. ალტმანი (E.Altman), და სხვები.

ზოგადად საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების საფუძველი და საწყისი ეტაპი კაპიტალისტური, კონკურენტური ეკონომიკური გარემო უნდა გამხდარიყო, ვინაიდან სწორედ მაღალი კონკურენცია და ხშირად ბრძოლის არაჯანსაღი მეთოდები იწვევს იმ მდგომარეობას, რომელიც ცალკეული ბიზნეს სუბიექტების კრიზისულ მდგომარეობაში შესვლის საფუძველია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიზისებისა და გაკოტრების მიზეზს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სამხედრო დაკვეთების შეჩერება წარმოადგენდა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა საწარმოების შეჩერება, დახურვა-გაკოტრება (Эйтингон, 2009).

ძირითადად, სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება კრიზისისა და გაკოტრების მხოლოდ რაოდენობრივი კვლევის მეთოდით (კოეფიციენტებით, ფინანსური მოდელებითა და სხვადასხვა შედარებითი ანალიზით) შესრულებული კვლევები. კრიზისის დროს სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხებზე მუშაობენ ი. კოვზანაძე, ე. მექვაბიშვილი, თ. ბერიძე, დ. ნარმანია, ნ. დარსაველიძე, ვ. ჩალაფეიქრიშვილი, თ.

მიმინოშვილი და სხვ.; საწარმოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებზე (კვლევები, რომლებიც ეხება გაკოტრების სამართლებრივ საკითხებს) და კანონმდებლობის ხარვეზებზე, სასამართლო დავის ხანგრძლივობისა და აღსრულების პროცესის სირთულეებზე მუშაობდნენ რ. მიგრიაული, რ. სულამანიძე, გ. ჯუღელი, ლ. ნადარაია და სხვ.; ეკონომიკური კრიზისის არსზე საინტერესო ნაშრომები აქვთ ს. პავლიაშვილს, ვ. პაპავას, ი. კოვზანაძეს, ე. გეგეშიძეს, ი. გიგაურს და სხვას. საფინანსო, საბანკო და სავალუტო კრიზისებზე საყურადღებო ნაშრომები აქვთ ნ. ყაველაშვილს, კ. კაციტაძეს, გ. აბუსელიძეს, დ. ასლანიშვილს, რ. გოცირიძეს, მ. გოგობიას და სხვებს.

უცხოურ სამეცნიერო კვლევებში დიდი ყურადღება ეთმობა კრიზისების თემატიკას შემდეგ ავტორებთან: გაკოტრების მოდელების კუთხით საყურადღებოა , ე. ალტმანი, კრიზისების მართვაში სახელმწიფო როლზე ჯ.მ კეინსი, პ. სამუელსონი, ფ. ჰაიეკი, ი. ჰანი, ა. ჰანსენი; კრიზისების მართვა საკრედიტო ინტერვენციებით ჯ. შუმპეტერი, რ. ბერნსი, და სხვები.

თვისობრივი მეთოდების გამოყენებით შესრულებულია კვლევები გაკოტრების მხოლოდ სამართლებრივ-საკანონმდებლო ხარვეზების შესახებ.

უპირველესად, საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში გვსურს გავმიჯნოთ ორი ცნება „კრიზისი“ და „გაკოტრება“. კრიზისი არ არის გაკოტრება, რადგან ეს უკანასკნელი არის მისი განვითარების უკიდურესი შედეგი; თავის მხრივ გაკოტრების საქმის წარმოება ასევე არ არის კრიზისი, არამედ წარმოადგენს მისი საბოლოო ფაზის დასრულების დასაწყისს.

ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნული ავტორების მოსაზრებებს კრიზისის შესახებ, ვფიქრობთ რომ კრიზისი შეიძლება განვითარდეს სამი მიმართულებით, კერძოდ:

- კრიზისი გადაილახოს;
- მოხდეს კრიზისის სტაბილიზაცია;
- კრიზისმა გამოიწვიოს ბიზნეს სუბიექტის გადახდისუნარიობა/გაკოტრება და ლიკვიდაცია.

კრიზისის გადალახვა თავის თავში არ გულისხმობს პრობლემის საბოლოო აღმოფხვრას ან პრობლემის დასრულებას. კრიზისის გადალახვა ჩვენი აზრით, გულისხმობს პროცესს, როცა ბიზნეს სუბიექტი ფორს მაჟორული ვითარებიდან გამოვიდა და მის გამართულ ფუნქციონირებას ხელს არ უშლის კრიზისის დამახასიათებელი არც ერთი ფაქტორი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მდგომარეობა, როცა კრიზისის გამომწვევი ყველა მიზეზი შეჩერებული-განეიტრალებულია ან სრულიად აღმოფხვრილია. შეჩერებულში ჩვენ მოვიაზრებთ მდგომარეობას, რომელიც თავისი შინაარსით ახლოს არის სტაბილიზაციასთან, ვინაიდან შეჩერება არის დროებითი პროცესი, ამიტომ დროის გარკვეულ პერიოდში რომელიმე ფაქტორის გავლენის კლება ან სრულად გაქრობა, ხელს უწყობს სტაბილიზაციას.

კრიზისის გადალახვა ასევე შეიძლება დავაკავშიროთ ლიკვიდაცია/გაკოტრების ფაზასთან, ვინაიდან ზოგჯერ შესაძლებელია კომპანია ლიკვიდაცია რეორგანიზაციის ან გაკოტრების წარმოების რეჟიმში გადასვლით, მოახდინოს რეაბილიტირება ან სხვა ბიზნეს სუბიექტთან შერწყმა-შეერთება. თავისი არსით, აქვე შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი ყოველთვის არ იწვევს ბიზნეს სუბიექტისათვის უარყოფით შედეგებს, არამედ, ზოგჯერ პირიქით – ის არის ბიზნეს სტრატეგიის რადიკალური ცვლილებისა და ხშირ შემთხვევაში მდგრადობის შენარჩუნების საფუძველი.


სტაბილიზაციის ფაზაში ჩვენ მოვიაზრებთ ბიზნესის კრიზისული მდგომარეობის დროებით შეჩერებას (სტაგნაციას), რომელიც კომპანიას ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს არ უშლის, თუმცა იმ რისკების, რომელთა აქტიურობამ განაპირობა კრიზისის წარმოშობა-განვითარება, პრევენცია (მონიტორინგი) უნდა მოხდეს ინტენსიურად (უწყვეტად). სტაბილიზაცია არ არის კრიზისის ინტენსიურ რეჟიმში მართვის შეცვეტის საფუძველი, კრიზისის სტაბილიზაცია არის პროცესი, რომელიც მოითხოვს სწრაფი მოქმედებებისა და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას.

რაც შეეხება მესამე უკიდურეს ფაზას – სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას (გადახდისუუნარობა-გაკოტრება, ლიკვიდაცია), ეს არის კრიზისის შედეგი, რომელიც შესაძლებელია განპირობებული იყოს როგორც გარკვეული მოქმედებით ასევე

უმოქმედობით. მოქმედებაში ვგულისხმობთ როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ ინსტიტუტებს.

კრიზისების ფაზებისა და შედეგების ჩვენეული კლასიფიკაცია ეყრდნობა უშუალოდ კრიზისის განვითარების პროცესის ნეგატიური პროცესების კომპონენტურ-სინთეზური ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს.

დიაგრამა N1. კრიზისის განვითარება



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

კრიზისში მყოფი ბიზნეს სუბიექტის მხოლოდ ფინანსური ანალიზს, მათ შორის კოეფიციენტების დადგენილ სტანდარტთან მიმდინარე საქმიანობის ფინანსური მონაცემების შედარებას, შესაძლებელია ჰქონდეს დიდი ცდომილება, ვინაიდან კრიზისში მყოფი კომპანიების ფინანსური მონაცემები პირველ რიგში „იფილტრება-კორექტირდება“, ვინაიდან პირველი და აპრობირებული მარტივი მეთოდია ფინანსური მონაცემების შედარება, ამიტომაც ყველა კომპანია, რომელიც შედის კრიზისულ სიტუაციაში ცდილობს პირველ რიგში მოაწესრიგოს ფინანსური მონაცემები, დოკუმენტაცია, ასევე ხშირ შემთხვევაში ისინი გადადიან ფინანსური ანგარიშგების კორექტირების რეჟიმში (Эйтингон, 2009).

თანამედროვე მსოფლიო საბაზრო ეკონომიკას ძლიერი კონკურენციის პირობებში უწევს არსებობა. თავისუფალი ბაზარი უპირველესად გულისხმობს კონკურენციას და სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩაურევლობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ თავისუფალ ბაზარზე დიდ გავლენას თავად მსხვილი ბიზნეს სუბიექტები ახდენენ და რიგ

შემთხვევაში მათი საქმიანობა მიმართულია სხვა ბიზნეს სუბიექტების ჩამოშორებისაკენ, მათი საქმიანობის „განადგურებისაკენ“. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ყველა ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით არაჯანსაღი კონკურენციაც არის კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი.

ეკონომიკასთან დაკავშირებული კრიზისის შესახებ თეორიები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კატეგორიად, იმის მიხედვით (ზოგადი კრიზისების, მხოლოდ ფინანსური კრიზისების, მხოლოდ სავალუტო კრიზისების და ასე შემდეგ), თუ კონკრეტულად რომელი მიმართულების კრიზისი არის კვლევის ობიექტი.

ჩვენს საკვლევ თემასთან მჭიდრო კავშირშია თეორიები, რომლებიც უკავშირდება ბიზნეს სუბიექტების ორგანიზაციულ სტრუქტურებს თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორიები ეხება წმინდა მენეჯერულ საკითხებს, ანუ კომპანიების მართვის მექანიზმებისა და პროცესის შესახებ მიდგომებს.

ზოგადად ეკონომიკური კრიზისების სრულყოფილ და თანმიმდევრულ კლასიფიკაციას გვთავაზობს პროფესორი **ელგუჯა მექვაბიშვილი**. კერძოდ, ავტორის მოსაზრებით: „ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორია ემყარება შემდეგ უმნიშვნელოვანეს პოსტულატებს. **პირველი**, კრიზისისათვის დამახასიათებელია გაურკვევლობა, ანუ ბიფურკაციის მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება და კერძოდ, ეკონომიკა კრიზისის დროს და განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდში გზაჯვარედინზე იმყოფება. მას შეუძლია იმოძრაოს განახლებისაკენ, პროგრესისაკენ, ახალი თვისობრიობისაკენ, ან გადაგვარებისა და დესტრუქციისაკენ. ბიფურკაციის მდგომარეობას ხშირად თან ახლავს ინფორმაციის შეზღუდულობა, რაც მთლიანად სისტემის ნეტროპიის მიზეზი შეიძლება გახდეს.

მეორე, კრიზისისათვის ნიშანდობლივია მოულოდნელობა, რომელიც შეიძლება წარმოშვას ინფორმაციის ნაკლებობამ ან პირიქით, ჭარბმა „საინფორმაციო ხმაურმა“. ორივე მათგანი იწვევს გადაწყვეტილების მიმღები პირის ან სტრუქტურის დეზორიენტაციას, მისგან გამომდინარე პანიკურ განწყობილებას ან გაუმართლებელ

პასიურობას. საბოლოო ანგარიშით ყოველივე ამას მოყვება არასწორი მოქმედება ან გაუმართლებელი უმოქმედობა.

მესამე, კრიზისს თან სდევს სისტემისათვის (ქვესისტემებისათვის) ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც განხილული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღები ინდივიდების ან სტრუქტურების მიერ დაშვებული შეცდომების, ორგანიზაციული „ჩავარდნების“, გარემოს უსწრაფესი ცვლილების ურთიერთქმედებათა კანონზომიერი შედეგის სახით.

მეოთხე, კრიზისი, როგორც „შესაძლებლობათა ფანჯარა“, საზოგადოებრივი განვითარების პარადიგმის ცვლილების სტიმულია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბერძნულ ტრანსკრიფციაში კრიზისი ნიშნავს „გადაწყვეტას“ ან „შემობრუნების პუნქტს“; ლათინურში „გაყოფას“ ან „გარდატეხას“; ჩინურში ერთდროულად – „საფრთხეს“ და „შესაძლებლობას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიზისი შეიძლება განხილული იქნეს არა მხოლოდ დამანგრეველი, არამედ შემოქმედებითი პროცესის სახითაც. ამით იგი განსხვავდება „კატასტროფისაგან“, რომელიც კრიზისის მხოლოდ დესტრუქციული კომპონენტია.

მეხუთე. ეკონომიკური კრიზისები მრავალგვარია, ისევე როგორც მათი გამომწვევი ფაქტორები. ამასთანავე, ყველა ფაქტორი არ მოქმედებს ერთდროულად და თანაბარი ძალით. ეკონომიკური კრიზისის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია იმ ერთი ან რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა, რომელიც იწვევს კრიზისს და განსაზღვრავს მის ხასიათს“ (მექვაბიშვილი, 2012, გვ.20).

ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი თავის კვლევაში წერს, „თანამედროვე ეპოქაში კრიზისების დაძლევის პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კეინზიანური და ლიბერალურ მიდგომებით. კეინზიანური მიდგომა კრიზისების დაძლევის მთავარ გზად ყოველთვის სახელმწიფოს აქტიური ჩარევას მიიჩნევს, ხოლო ლიბერალური მიდგომა სახელმწიფოს აქტიურ როლს კატეგორიულად უარყოფს და კრიზისის გამომწვევ მიზეზად სწორედ ამ ჩარევის არაეფექტიანობას ასახელებს. ძნელია ცალსახად აღიარო რომელიმე პოლიტიკის უპირატესობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც კრიზისიდან

გამოსვლის შემდეგ მიღებულ შედეგს ორივე პოლიტიკის მომხრეები თავიანთი შეხედულებებით ხსნიან, ან პირიქით, კრიზისის გაჭიანურების დროს კეინზიანელები თავს იმით იმართლებენ, რომ სახელმწიფო მართალია ჩაერია ეკონომიკაში, მაგრამ ლიბერალების წინააღმდეგობის გამო ჩარევა არასაკმარისი და არაეფექტიანი აღმოჩნდა. ხოლო ლიბერალები ყოველი კრიზისის წარმოშობას და განვითარებას სახელმწიფოს ნებისმიერი დოზით ჩარევას აბრალებენ. აქ კამათი დადის ფუნდამენტურ წინააღმდეგობაზე. ლიბერალების მიდგომით ეკონომიკა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გადის თავისი ზრდის და განვითარების ეტაპებს, მისი ფუნქციონირება ემორჩილება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კანონებს და ამ კანონების მოქმედებაზე ნებისმიერი პოლიტიკის გავლენა იწვევს ჰარმონიული განვითარების შეჩერებას და რეცესიას. არასაბაზრო ძალა გავლენას ახდენს ეკონომიკის თავდაპირველ იმპულსებზე და არასწორ ინფორმაციას აძლევს ბაზარს განვითარების შესახებ, შესაბამისად არაეფექტიანად ხდება შემდგომი განვითარება და ეს ყველაფერი უკვე შედეგს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ხარვეზიან მუშაობას ბრალდება“ (ჩალაფეიქრიშვილი, 2013, გვ.79). ასევე ავტორი ავითარებს კრიზისების შესახებ თავის აზრს და წერს, „კრიზისის პერიოდში, მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოთა როლი ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ყველა დარგი თხოვს მთავრობას გარკვეული დახმარების გაწევას და სუბსიდირების გარკვეული დოზით ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს თავის მხრივ ბიზნესს სულ უფრო მეტად ხდის სახელმწიფოზე დამოკიდებულს. კრიზისიდან გამოსვლის პარალელურად ალბათ მართებული იქნებოდა, შემცირებული სახელმწიფო დახმარებები და მთავრობის როლის მეტნაკლებად შემცირება..“ (ჩალაფეიქრიშვილი, 2013, გვ.79).

ანტიკრიზისული სისტემის რეგულირების განმარტებაზე და თავისეულ ინტერპრეტაციაზე ასევე საუბრობს ნინო დარსაველიძე. კერძოდ, „ანტიკრიზისული რეგულირების სისტემა მოიცავს ელემენტთა ერთობლიობას, როგორცაა: ნორმატიულ-სამართლებრივი, ანტიკრიზისული პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა, საწარმოს მდგომარეობის მონიტორინგი, მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და

განკარგულებების მიღება, მათი შესრულების კოორდინაცია და ორგანიზაცია, სტიმულირების სისტემების შემოყვანა და სხვა, რომლებიც ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაში იმყოფება. თითოეული ელემენტის ფუნქციონირება საჭიროებს შემდგომ გააზრებას და დამუშავებას; - კრიზისის შესახებ წინასწარი გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური ზომები, რომლებსაც ანტიკრიზისული პროცესების რეგულირებისას სახელმწიფო გამოიყენებს, მრავალფეროვანია. საქართველოს უმეტეს საწარმოებში ანალიტიკური (მმართველობითი) დიაგნოსტიკა შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა და ანალიტიკური ინსტრუმენტების განუვითარებლობა, რომელიც სამუშაოს ეფექტურად ორგანიზების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, "სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკა". დიაგნოსტიკის ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დროულად იქნას განსაზღვრული სუსტი სიგნალები - კრიზისული სიტუაციის დადგომის ადრეული და არაზუსტი ნიშნები და დროულად მოახდინონ მათზე რეაგირება. სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკის აუცილებლობა წარმოიშვება მაშინ, როცა საწარმოში არასტაბილურობის დონე საკმაოდ მაღალია." ავტორის აზრით, საქართველოში საწარმოთა ხშირი გაკოტრების შემთხვევები, ძირითადად საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო პირობების დაუხვეწელობითაა გამოწვეული. ახსნილია, რომ სერიოზული შეფერხებებია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საქმეში, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოთა ფინანსური რესურსების მოცულობაზე. აღნიშნული პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყანაში უმუშევრობის დონესთან, რაც განაპირობებს მოსახლეობის დიდი ნაწილის არა მსყიდველობითუნარიანობას. გარდა ამისა, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მცირე მოცულობა, დაბალი ხარისხი და მაღალი საწარმოო დანახარჯები განაპირობებს საწარმოთა დაბალ რენტაბელობას და ზოგიერთ შემთხვევაში ზარალიანობასაც (დარსაველიძე, 2012, გვ.36-37).

სახელმწიფოს როლზე საუბრობს **თემურ მიმინოშვილი**: „ჩვენი აზრით, უმთავრესად გამოწვეულია არასწორი თეორიული პოსტულატით – ნებისმიერი სახის სამეწარმეო

საქმიანობისათვის სახელმწიფო ხელშეწყობა და პრიორიტეტის მინიჭება, თითქოსდა, არღვევს თავისუფალი ბაზრის პრინციპს... საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის (ბიზნესის) განვითარების კარგი შესაძლებლობა არსებობს, თუმცა მისი რეალობად გადაქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა შორის მთავრობის მიერ აღნიშნული სფეროს მხარდაჭერა და წახალისება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფლებას) წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესის გარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე“ (მიმინოშვილი, 2014, გვ.115-116) .

საინტერესოა გიორგი აბუსელიძის მოსაზრება სახელმწიფოს როლის შესახებ მეწარმეთა ფენის ფორმირებისა და საზოგადოების საბაზრო სტრატეგიკაციის პროცესში; ავტორი წესრიგის დამყარებისა და მეწარმეთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფოს ჩარევას ამართლებს „სოციალური სტიმულირების“ მეთოდის გამოყენებით (აბუსელიძე, 2006, გვ.13).

ხათუნა ბერიშვილის მოსაზრებით საწარმოთა კრიზისების „წახალისებისა“ და „გამოცოცხლების“ საფუძველი ინვესტიციებია, თუმცა ავტორი არ აკონკრეტებს როგორ და რა ფორმით შეძლება ინვესტიციამ ხელი შეუწყოს ან გამოაცოცხლოს საწარმო. ავტორი წერს, რომ: ინვესტიციების მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას, გამოაცოცხლოს და წახალისოს კრიზისში მყოფი საწარმოები, უზრუნველყოს შიდა წარმოება აუცილებელი ფინანსური სახსრებით, ხელი შეუწყოს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესში ჩართვასა და ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას (ბერიშვილი, 2012, გვ. 51).

მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანი არ არის ზოგადად კრიზისების შესწავლა მიზანშეწონილად ვთვლით განვიხილოთ რამდენიმე მიდგომა ზოგადად კრიზისებთან მიმართებაში ვინაიდან ჩვენი კვლევის პროცესში

მაკროეკონომიკური ფაქტორების ანალიზისას საინტერესოა კორელაცია საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და ზოგადი კრიზისების თეორიასთან.

ადამ სმიტის ნაშრომის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ მთავარი არსია ქვეყნის ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების არაეფექტურობის ახსნა. სმიტის აზრით, თავისუფალია ბაზარი, სადაც ყველაფერს განაგებს ხალხი. მას მიაჩნდა, რომ დემოკრატიის პრინციპია სწორედ ის, რომ ადამიანები თავად განსაზღვრავენ რა იყიდონ და როგორ განსაზღვრონ ამა თუ იმ პროდუქციის ფასი. მას მიაჩნდა, რომ თითოეული ქვეყანა უნდა იყოს კონცენტრირებული წარმოების იმ სფეროზე, სადაც გააჩნია „კონკურენტული უპირატესობა“. მისი მთავარი კონცეფციაა ეკონომიკური ლიბერალიზმი; მან განავითარა იდეა თვითრეგულირებადი წესრიგის, ანუ საბაზრო კანონები უკეთესად ზემოქმედებენ ეკონომიკაზე, როცა კერძო ინტერესი აჭარბებს საზოგადოებრივს, ანუ როცა საზოგადოების ინტერესი განხილულია, როგორც ინტერესთა ჯამი მისი შემადგენელი პირებისა, სახელმწიფო უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ არბიტრის როლში.

სმიტის მოსაზრებით რაც უფრო მცირეა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, მით უკეთესი პირობები იქმნება მისი განვითარებისათვის. სახელმწიფოს მხრივ რეგულირების პრაქტიკის გამლიერების საჭიროება მაშინ დგება, როდესაც საზოგადოებრივ კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება (სმიტი, 2007).

კარლ მარქსი ითვლება კრიზისების თეორიისა და ციკლურობის განსაზღვრის ფუძემდებლად, მისი შეხედულებით კრიზისის წარმოშობა შემდეგნაირია: საწარმოს აქვს 10 წლიანი განვითარების ციკლი, საწარმოს ზრდის მიხედვით იზრდება მოთხოვნა მუშა ხელზე, შესაბამისად იზრდება გასამრჯელო, რადგან იზრდება მოთხოვნა მუშა ხელზე იზრდება შრომის ღირებულება. თუმცა ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მუშა ხელის ანაზღაურება იზრდება უფრო ნელა ვიდრე თავად კაპიტალის. ადრე ეკონომისტები მიიჩნევდნენ, რომ დამატებითი ღირებულების მატება, იწვევს ასევე მოხმარების ადეკვატურ ზრდას. რაღაც ეტაპზე მუშა ხელს არ შეუძლია იყიდოს წარმოებული პროდუქცია. ხდება ჭარბწარმოება და კაპიტალის გადაჭარბება რაც იწვევს

კრიზისს. კაპიტალისტები ხურავენ საწარმოებს და იზრდება უმუშევართა მასა (МАРКС, 2013, с.627).

კარლ მარქსის შეხედულებების შესახებ საინტერესო ანალიზს გვთავაზობს ქართველი მეცნიერები თეიმურაზ ბერიძე და ელგუჯა მექვაბიშვილი: „კ.მარქსის მთავარ ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიკური კრიზისის ფენომენის კვლევას, რომელიც სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენილია „კაპიტალის“ სამივე ტომში. კაპიტალისტური წარმოების წესის ანალიზი იწყება საქონლის, როგორც „კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრის ელემენტის“ სახმარი ღირებულებისა და ღირებულების წინააღმდეგობის განხილვით. მთელი შემდგომი კვლევა ნათლად ადასტურებს, რომ სწორედ აქ არის „ჩაბუდებული“ კაპიტალისტური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც მარქსის აზრით, ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის უპირველესი მიზეზია. მარქსის თანახმად, ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის ჯერ მიმოქცევის სფეროში ვლინდება, თუმცა მას ღრმა „წარმოებით“ ფესვები გააჩნია. ამასთანავე, წარმოება-მიმოქცევის სფეროების კრიზისს ჩვეულებრივ წინ უძღვის სერიოზული შეფერხებები ფულად-საკრედიტო სფეროში:

საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შემცირება, საფონდო ბირჟებზე აქციების კურსის დაცემა, ცალკეული ბანკების, სადაზღვევო, საინვესტიციო კომპანიების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების გაკოტრება და ა.შ. ანალიზის პროცესში მარქსი ხაზს უსვამდა ეკონომიკური კრიზისების პერიოდულობას, რომელსაც უკავშირებდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების კანონზომიერებებს. კრიზისის პირობებში ძირითადი კაპიტალი სწრაფად ცვდება და სწრაფ აღდგენას საჭიროებს, რაც მხოლოდ ტექნიკური პროგრესის საფუძველზეა შესაძლებელი. ტექნიკური პროგრესის როლი აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც, ჯერ ერთი, ძირითადი კაპიტალის განახლების გზით ეკონომიკა იწყებს კრიზისიდან თანდათანობით გამოსვლას, და მეორე, ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის ახალი ეტაპის დაწყების ფაქტორად გვევლინება. ეკონომიკური ზრდის გარკვეულ ეტაპზე საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში ახალი დისპროპორციები წარმოიქმნება, რომლებსაც ახალ კრიზისამდე მივყავართ და ასე

ხდება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ენტროპიული ხასიათის მქონე ციკლური განვითარება“ (ბერიძე, მექვაბიშვილი, 2017, გვ.23).

კარლ მარქსის თეორიის მიხედვით, ციკლურობის მიზეზი არის სხვაობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მისი შედეგების დასაკუთრების კერძო ხასიათში, ანუ კაპიტალისტურ ეკონომიკაში მატერიალური სიკეთე იქმნება საზოგადოების უმრავლესობის მიერ და მოიხმარება უმცირესობის მიერ.

ჯ.მ. კეინსს, რომელიც სამთავრობო ინტერვენციული პოლიტიკის მომხრეა მიაჩნია, რომ მთავრობას ფისკალური და მონეტარული ზომების გამოყენებით ეკონომიკური ვარდნის, დეპრესიებისა და ბუმის უარყოფითი ეფექტების შემსუბუქება შეუძლია. კეინსის მოსაზრება არის შემდეგი: საერთო მომხმარებელთა მოთხოვნის დაცემა იწვევს საქონლის წარმოებისა და მომსახურების შემცირებას. საწარმოთა შემცირება იწვევს წვრილ მეწარმეთა გაკოტრებას, დიდი საწარმოთა მიერ დაქირავებული მუშების შემცირებას და მსხვილმასშტაბიან უმუშევრობას. უმუშევრობა იწვევს მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, ანუ მყიდველების, და ეს თავის მხრივ ფორსირებას ახდენს სამომავლო საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნის დაცემას. იქმნება ჩაკეტილი წრე, რომელიც ეკონომიკას ქრონიკულ დეპრესიულ მდგომარეობაში აგდებს. კეინსის აზრით გამოსავალი იყო შემდეგი: თუ მასიურ მომხმარებელს არ შეუძლია გამოაცოცხლოს მოთხოვნა ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებში, მაშინ ეს უნდა გაკეთოს სახელმწიფომ. თუ სახელმწიფო დააფინანსებს საწარმოების მსხვილ შეკვეთებს, ეს გამოიწვევს მუშა ხელის დასაქმებას ამ ფირმებში. გასამრჯელოს ალების შედეგად ყოფილი უმუშევრები გაზრდიან თავის ხარჯებს სამომხმარებლო პროდუქციაზე და შესაბამისად გაიზრდება ჯამური ეკონომიკური მოთხოვნა (Keynes, 1936, p.231).

კეინსის აზრით, საზოგადოების ყველა სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრის გზა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნის გაზრდაში, რაც უზრუნველყოფს ამ რესურსების რეალიზაციას.

კეინსმა ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ პირველმა გამოთქვა აზრი, რომ "ეფექტიანი მოთხოვნის" შექმნისათვის აუცილებელია ეკონომიკის

სახელმწიფო რეგულირება, რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს მაკროპროპორციების დაცვა, ბაზრის "შეცდომების გამოსწორებისათვის" მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი ეკონომიკის მასშტაბით დანაზოგება და ინვესტიციებს შორის ბალანსირების უზრუნველყოფა (**Keynes, 1936, pp. 313-316**).

კიდევ ერთი ავტორი, რომელიც სახელმწიფოს ჩარევის სპეციფიკაზე საუბრობდა იყო შარლ სისმონდი. მან წარმოადგინა შეხედულება ეკონომიკურ ციკლებზე სადაც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ზემოქმედება ეკონომიკაზე. მისი მთავარი მიგნება სახელმწიფო ინტერვენციის გამართლებისა იყო ის, რომ მანამ სანამდე ბაზარზე დამყარდება ფასების წონასწორობა, მოსახლეობას უხდება დიდი ტანჯვა, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია შეარბილოს გარდამავალი პერიოდი. სისმონდი აბსოლიტურად უარყოფდა ადამ სმიტის შეხედულებას კონკურენციის შესახებ და ამტკიცებდა, რომ კონკურენციას აქვს დამლუპველი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, კერძოდ მას მოყვება მოსახლეობის ძირითადი მასის გაღარიბება და ეკონომიკური კრიზისები. სისმონდი მიჩნევდა, რომ სწორედ დაქირავებული მუშა ხელი და კონკურენცია უთხრის ძირს თანასწორობას ეკონომიკურ სისტემაში; იგი იწვევს დისბალანსს წარმოებასა და მოხმარებას შორის, რადგან წარმოება კონკურენციის პირობებში იზრდება კონკრეტული მომხმარებლების გარეშე. აქვე შეიძლება ვახსენოთ სისმონდის მიდგომა, რომელიც კრიზისის მიზეზად ასევე ასახელებს არასათანადო მოხმარებას და არაშესაბამისობას წარმოებასა და მოხმარებას შორის (**Sismondi, 1847**).

ჯოზეფ შუმპეტერს მიაჩნდა, რომ შესაძლებელია კრიზისებს იწვევდეს არა წმინდა ეკონომიკური ფაქტორები, არამედ გარე ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური პროცესების დარღვევის მდგომარეობა (**Schumpeter, 2003**).

ეკონომიკური პროცესების დარღვევაზე საუბრისას უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი ავტორი კერძოდ, თომას მალთუსი, (1766-1834 წწ) რომელიც ქვეყნის წარმატებულობა-წარუმატებლობის სათავეს მოსახლეობის სიმრავლეში ხედავდა. კერძოდ, მას მიაჩნდა, რომ მოსახლეობის გამრავლება გეომეტრიული პროგრესიით და სურსათის მარაგის

არასათანადო რაოდენობა იწვევს სიღატაკეს. მისი მოსაზრებით გამრავლება იწვევს ქვეყნის განვითარების შეფერხებასა და სიღატაკეს (**Malthus, 1798**).

ადამ სმიტის პოზიციას იზიარებდა მიურეი როტბარდი და იგი აკრიტიკებს შუმპეტერის კრიზისებთან დაკავშირებულ თეორიას. იგი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აღიარებდა საკრედიტო ექსპანსიის სასიცოცხლო მნიშვნელობას დეპრესიისა და ბუმის პირობებში, თუმცა, ფაქტიურად, მან მცირე ყურადღება დაუთმო ამ როლის ახსნას. ინოვაცია კონცენტრირებას ახდენს ერთ კონკრეტულ მიმართულებაში რაც იწვევს ბუმს. როცა ეს ბუმი მიდის დასასრულისკენ, როცა ინოვაციური ინვესტიციები ამოწურავენ თავის თავს და ამ ინვესტიციების შედეგად გამოშვებული პროდუქცია ჩნდება ბაზარზე და ანგრევს ბაზარზე მოქმედ ძველ კომპანიებს, ეს იწვევს ძველი სამუშაო მიმართულებების დეზორგანიზებას. ინოვაციის ერთ სფეროში კონცენტრაციის დასასრული, იმ სირთულეებთან ერთად, რომელიც უცბად გამოჩნდა ძველი კომპანიების წინაშე და ზრდის გაკოტრების რისკს მთლიან ეკონომიკაში, იწვევს დეპრესიას, რომელიც სრულდება მაშინ, როცა ძველი და ახალი ფირმები ახდენენ ადაპტირებას ახალ მდგომარეობასთან. როტბარდის აზრით ეს თეორია შეიცავს ცდომილებების მთელ კრებულს, კერძოდ: არ არის ახსნა ძველი და ახალი ფირმების გაქრობის შესაძლებლობის პროგნოზირების და რატომ ეს მიზეზები იქცა მოულოდნელი და რატომ ვერ მოხერხდა მათი წარმოშობის ალბათობა გათვალისწინებული (**Rothbard, 2012, p.139**).

საინტერესოა ირინა იუდინას მოსაზრება, რომელიც კრიზისების არსზე მსჯელობისას კრიზისების განმარტების ორ განსხვავებულ მიდგომას გამოყოფს. პირველია კინდლბერგერის (**Kindleberger, 2009**) შეხედულება, რომელიც თვლის, რომ კრიზისების წარმოიშობა სპონტანურად ხდება, როგორც ბრბოს ან პანიკის ფსიქოლოგიური შედეგი. თუ ყველას აქვს კრიზისის მოლოდინი და იქცევიან ისე თითქოს ის მოხდება, მაშინ კრიზისი ხდება ახდენილი წინასწარმეტყველება. და პირიქით, თუ არავინ არ ელოდება კრიზისს მაშინ ეს მოლოდინი ახდენს თვითრეალიზებას და კრიზისი არ ვითარდება. ამის მაგ., ავტორი ასახელებს 1930 წლის დიდ დეპრესიას, როცა საბანკო პანიკა დაიწყო მაკროეკონომიკური პირობების გაუარესების არარსებობის პირობებში.

მეორე მიდგომით, კრიზისები თან ახლავს საქმიან ციკლს. როცა ეკონომიკაში დგება რეცესიის დრო ან დეპრესია, აქტივების შემოსავლიანობა ეცემა. მსესხებლები ხდებიან გადახდისუუნარონი ხოლო დეპოზიტარები ცდილობენ სასწრაფოდ გატანონ ფული საბანკო დეპოზიტებიდან. ბანკები ხდებიან შებოჭილები თავიანთი აქტივების არალიკვიდურობასა და პასივების ლიკვიდურობას შორის, რაც, თავის მხრივ, მათი გადახდისუუნარობის მიზეზი შეიძლება გახდეს. შედეგი ერთია პანიკა, ხოლო მიზეზები სხვადასხვა (**Юдина, 2009**).

ვფიქრობ, აღნიშნული მიდგომები სიღრმისეული ანალიზის შედეგებზე ჩამოყალიბებულ მიდგომებთან შედარებით განსხვავებულია და უფრო ფსიქოლოგიურ მომენტებზე ახდენს აქცენტირებას, რაც ჩვენი აზრით, კრიზისების არსზე მსჯელობისას არ შეიძლება იყოს უნივერსალური.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი თეორიებიც: ჭარბწარმოების თეორია (ჯოან რობინსონი, ფოსტერი, კეტჩინგსი, 1962), რომელიც ციკლურობას ხსნის მოხმარების დანაკლისით. გაუხარჯველობა იწვევს პროდუქციის ჭარბწარმოებას და პროვოცირებს კრიზისს, კრიზისის თავიდან აცილების საფუძველია მოხმარების სტიმულირება (**Robinson, 1962**).

ინგლისელი ეკონომისტი დ. რიკარდო კი ზოგადად ეკონომიკური კრიზისების საფუძვლად სიმდიდრის უსამართლო განაწილებას მიიჩნევს (**Ricardo, 2001**).

საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიხედვით კრიზისი რომელიც ამერიკაში მაღალრისკიანი იპოთეკური სესხების სეგმენტში 2006 წელს დაიწყო წარმოადგენს საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან და მაღალზარალიან კრიზისს (**საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2008**).

ზემოაღნიშნული თეორიებში მთავარი აქცენტი კეთდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ცალკეულ კომპონენტებზე, კერძოდ: ბიუჯეტზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, მთლიან შიდა პროდუქტსა და ინვესტიციების მოცულობაზე და სხვ. ამიტომ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე წარმოდგენილია საქართველოში თითოეული მათგანის განვითარების დინამიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ცხრილი N1 საქართველოს ეკონომიკური გარემოს კომპონენტების დინამიკა

მონაცემის დასახელება	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ქვეყნის მოსახლეობა მლნ.	3 799.8	3 773.6	3 739.3	3 718.4	3 716.9	3 721.9	3 728.6	3 726.4
ქვეყნის ბიუჯეტი მლ.	5,421.5	6,388.8	7,058.2	6,839.5	7,434.6	8,170.5	8,580.0	9,750.3
მშპ მლნ. ლარში	20743.4	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	34028.5	37846.6
ინვესტიციების მოცულობა მლნ. აშშ დოლარში	845.1	1 129.9	1 022.9	1 020.5	1 817.7	1 665.6	1 565.8	1 894.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი კომპონენტების ანალიზით პირდაპირ ჩანს, რომ ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები მკვეთრ ცვალებადობას არ განიცდის, უფრო მეტიც, მაჩვენებლები სტაბლურად მზარდია, შესაბამისად ჩვენი კვლევის ობიექტის, კრიზისული სიტუაციების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის არეალად იმთავითვე იკვეთება არამხოლოდ მაკროეკონომიკური, არამედ მიკროეკონომიკური პროცესების კვლევა თვისობრივი მეთოდით და მოცემული თეორიების პრაქტიკაში შემოწმება.

სახელმწიფოს როლისა და ადგილის შესახებ სხვადასხვა თეორიების სიმრავლე, ასევე ქვეყნის ისტორიული გამოცდილება გვაფიქრებინებს, რომ კრიზისებში სახელმწიფოს მონაწილეობა გარდაუვალ პროცესს წარმოადგენს, რომელსაც, საბოლოოდ, შეიძლება დადებითი ან უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია კრიზისის მართვაში სახელმწიფოს როლზე უფრო დეტალურად შევჩერდეთ.

3. ცვეტკოვის ნაშრომის მიხედვით, კრიზისების მართვის დროს სახელმწიფოს როლის შესახებ ცნობილია ძირითადად სამი შეხედულება:

„1. **ლიბერალურ-რეფორმისტული ანტიკრიზისული პოლიტიკა** (აშშ, რუზველტის „ახალი კურსი“) ამერიკული ვარიანტი ეყრდნობოდა ლიბერალური ეკონომიკურ

დოქტრინას, ამიტომაც მათი ზემოქმედების მექანიზმები იყო ირიბი საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაზე. ძლიერი საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკით სახელმწიფო ახორციელებდა მსხვილ საინვესტიციო პროექტებს რომლებიც მიმართული იყო ეკონომიკური ტემპის ზრდისაკენ.

აშშ-ის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა განაცხადა: «ბიზნესის, ამ უპასუხისმგებლო და ანტისაზოგადოებრივი ძალის, კონტროლი მთელი ხალხის სასარგებლოდ შეიძლება განხორციელდეს ერთადერთი საშუალებით-სათანადო უფლებამოსილების მინიჭებით ერთადერთი ინსტიტუტისთვის, რომელსაც სძალუძს გამოიყენოს ეს უფლებამოსილება, - ფედერალური მთავრობისათვის».

ფაქტიურად ჯონ მენარდ კეინსის თეორიას (კრიზისების დროს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა გამართლებულია, მონეტარული ან ფისკალური ექსპანსიით მთავრობას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.) იზიარებდა რუზველტიც.

2. სოციალურ-რეფორმისტული ანტიკრიზისული პოლიტიკა (საფრანგეთი, სწრაფვა იმისაკენ, რომ მოახდინოს კაპიტალიზმის რეფორმირება და მისი სოციალური თანასწორობის ეთიკურ იდეალებთან თანხმობაში მოყვანა, კაპიტალისტური წარმოების მეთოდის შენარჩუნების პირობებში, რაც მას განასხვავებს სხვა, ალტერნატიული სოციალისტური ეკონომიკური სისტემებისგან).

ამ მიმართულების არსი მდგომარეობდა ეკონომიკის „სოციალიზაციაში“. შვედეთში, დანიაში და ნორვეგიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში. მთავრობებმა გააძლიერეს საწარმოთა, მშენებლობებისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაფინანსება. მსგავსი მიდგომები პერიოდულად განვითარდა ესპანეთსა და საფრანგეთში.

3. ტოტალიტარული ანტიკრიზისული პოლიტიკა (გერმანიის შემთხვევა) სწრაფვა საზოგადოების ყველა სფეროზე კონტროლის დამყარებისაკენ, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გაუქმებულია პლურალიზმის პრინციპი. სოციალურ-პოლიტიკური

წინააღმდეგობების რეგულირება ხდება ძალისმიერი მეთოდებით. პოლიტიკური ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებს მოსახლეობის საყოველთაო ინტერესებზე.

ასეთი პოლიტიკის ქვეყნებში ყოველდღიურად მატულობდა სახელმწიფოს სექტორის ზრდა ეკონომიკაში, კერძოდ ვითარდებოდა სახელმწიფო საწარმოები, სამხედრო წარმოება, სათბობ-ენერგეტიკული სფერო, სატრანსპორტო და ა.შ. იზრდებოდა სახელმწიფო დაკვეთებიც, სწორედ ამ პოლიტიკით გერმანიაში გაქრა უმუშევრობა, ხოლო სხვა ქვეყნები, სადაც აირჩიერს მართვის სხვა მოდელი“ (Цветков, 2013, ст.469).

ეკონომიკურ თეორიაში ზოგადად გამოყოფენ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ორ მიმართულებას: კლასიკური ანუ ლიბერალური და კეინსიანური ანუ ეტატური.

კლასიკოსებს იგივე ლიბერალებს მიაჩნია, რომ ეკონომიკა არის შინაგანად სტაბილური, თვითრეგულირებადი სისტემა და სახელმწიფო ჩარევა არღვევს ამ პროცესებსა და საბაზრო კონკურენციის მექანიზმს, ამიტომ სახელმწიფოს ჩარევა უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმამდე. სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მისი ფუნქცია სხვა მიმართულებით, კერძოდ: უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება, დაიცვას საკუთრების უფლება, სახელმწიფო საზღვრები, მოქალაქეთა უფლებები, იზრუნოს მოქალაქეების განათლებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ასე შემდეგ.

სახელმწიფო პოლიტიკისა და ეკონომიკური მიდგომების შემდეგ ჩვენ საკუთრივ ბიზნესში ჩართულ ორგანიზაციული ერთეულების-ბიზნეს სუბიექტების კრიზისთან დაკავშირებულ სამეცნიერო დისკურსებს შევხებით.

კომპანიის, როგორც ფუნქციონირების შესახებ 1972 წელს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორის ლარრი გრეინერის (Greiner, 1972) მიერ ჩამოყალიბებულ იქნა მოდელი, რომელიც ინსტიტუციონალურ დონეზე განმარტავდა ბიზნეს სუბიექტის/ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლს. მისი მოსაზრებით ორგანიზაციას გააჩნია არსებობის ხუთი ეტაპი; კერძოდ:

- 1) ეს არის შემოქმედებითი ან იგივე კრეატიული ზრდა, რომელშიც ის მოისაზრებდა დამფუძნებლის, კომპანიის მფლობელის მიერ მაქსიმალურ კრეატიული მუხტის

შეტანას, ანუ მის მიერ მაქსიმალურ მცდელობას იდეის რეალურად გასნახორციელებლად. ამ ეტაპზე იწყება ორგანიზაციის ზრდა, მფლობელი კარგავს რეალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მუშა ხელზე. უკვე საჭიროა პროფესიონალური მართვა. თუ აქამდე მფლობელი, ან მფლობელები, უშუალოდ ერთობლივად იღებდნენ გადაწყვეტილებას, საქმიანობის გაფართოებისთანავე ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა, ცალკეულ საკითხებზე მფლობელთა / პარტნიორთა შეუთანხმებლობა. დირექტიული ტიპის მმართველობის აუცილებლობა სწორედ კომპანიის ამ ეტაპზე დგება დღის წესრიგში. აქ იწყება ე.წ. მმართველობის, იგივე ლიდერობის კრიზისი.

- 2) კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე იწყება ე.წ. ფორმალური კომუნიკაციის ფაზა. ანუ, უკვე გაწერილია ორგანიზაციული სტრუქტურა, იწყება კონტროლის სისტემა. ეს სისტემა განიცდის კრახს მაშინ, როცა დგება სწრაფი გადაწყვეტილების მიღების მომენტი, და უფლებამოსილებები არ არის დელეგირებული დაბალ რგოლებში. აქ იწყება ავტონომიურობის / დელეგირების კრიზისი. აუცილებელი ხდება უფლებამოსილებებისა და პასუხისმელობების გაწერა.
- 3) ამ ეტაპზე ე.წ. ტოპ მენეჯმენტმა / დამფუძნებლებმა / მფლობელებმა მოახდინეს უფლებამოსილებების დელეგირება, კერძოდ მათ დაიქირავეს საშუალო რგოლის მენეჯერები, რომლებიც კომპანიის ზოგადი კონცეფციის შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად, მათ აქვთ უფლებამოსილება კონკურენციიდან გამომდინარე განსაზღვრონ სტრატეგიები დამოუკიდებლად, მაგრამ ამ მომენტში საშუალო რგოლი იჭერს კომპანიაში ადგილს, როცა მათი სწრაფი და მარტივი ჩანაცვლება შეუძლებელი ხდება. აქ იწყება კონტროლის/მართვის, მენეჯმენტის კრიზისი, რომლის გადალახვა ხდება კოორდინაციის მეშვეობით.
- 4) კოორდინირება მდგომარეობს იმაში, რომ სუსტი / არასაკმარისად ცენტრალიზებული ერთეულები / დეპარტამენტები / განყოფილებები და ა.შ. ერთიანდებიან ერთ სისტემაში, ხდება მათი ცენტრალიზებულად მართვა, საერთო,

ერთიანი სტრატეგიების განსაზღვრა და საერთო კონტროლის სისტემაში ჩართვა. ფინანსებისა და სხვა რესურსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება რთულდება, შენელებულია გადაწყვეტილების მიღების ტემპი და სისტემა გადატვირთულია ზედმეტი კონტროლის მექანიზმებით. ამ დროს ვარდება კომპანიის / ბიზნეს სუბიექტის / ორგანიზაციის ეფექტურობა. სახეზეა შეფერხება/გაჭიანურება/ბიუროკრატიული მექანიზმების კრიზისი.

- 5) ზემოაღნიშნული კრიზისის გაცნობიერების შედეგად, ორგანიზაციის მფლობელები/მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას, რომ სისტემა გახდეს უფრო მოქნილი, ხშირად ხდება მენეჯმენტის მრჩეველთა დამატება და ხდება ახალი იდეების დამუშავება. კონტროლის მექანიზმი მცირდება და ფაქტიურად ხდება ძველი მმართველობითი სისტემის უარყოფა.

ეტაპების დეტალიზაციის მიუხედავად, თავად ავტორი, გრეინერი მიუთითებს, რომ ეს შესაძლოა არ იყოს სრული ფაზების აღწერა, ვინაიდან ხშირი სისტემური/ინსტიტუციონალური ცვლილებები იწვევს თანამშრომლებში უარყოფით ემოციებს და შესაძლებელი მოხდეს მათი „გადაწვა“ (Greiner, 1972, p.56).

კიდევ ერთ საინტერესო მოდელს გვთავაზობს თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს კომპანიებისა და ზოგადად ორგანიზაციების „თერაპევტად“ წოდებული, Adizes Institute დამაარსებლის იცხაკ კალდერონ ადიზესი თავის ნაშრომში „კორპორაციების სასიცოცხლო ციკლის მართვა (Adizes, 2004) ავითარებს გრეინერის იდეას თუმცა განსხვავებული მიმართულებით, ის კომპანიის/ორგანიზაციის ციკლს 10 ეტაპად ყოფს და ამ ეტაპებს ის ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალური სისტემების ფუნქციონირებას ადარებს.

- 1) ეს არის კომპანიის წარმოქმნის ეტაპი, როცა ის „იზადება“. ამ ეტაპზე დამფუძნებლის/პარტნიორების ირგვლივ იკრიბება ადამიანები, რომლებიც უპირობოდ იწონებენ მის იდეას, აქეზებენ მას იდეის განხორციელებისაკენ და უბიძგებენ რისკისაკენ.

- 2) მეორე ეტაპს ის „ჩვილობის“ პერიოდად მოიხსენიებს, ანუ ეს არის მომენტი, როცა კომპანიაში იდეების გარდაქმნა ხდება მოქმედებებში. ორგანიზაციას უკვე გააჩნია მკაფიო სტრუქტურა, სისტემა და ასევე გამოკვეთილია უფლებამოვალეობანი. ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და წარმოების/ბიზნესის შედეგებს.
- 3) ამ ეტაპს „ბავშვობად“ მოიხსენიებს ავტორი და აღნიშნავს, რომ კომპანია ხდება უფრო პროდუქტიული, მას შეუძლია ნებისმიერი დაბრკოლებების გადალახვა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია არ ჰქონდეს საკმარისად ლიკვიდური სახსრები. ამ პერიოდში კომპანიის მფლობელებს სჯერავთ, რომ იდეა არის განხორციელების პროცესში და იწყებენ ფიქრს უფრო ფართო მასშტაბებზე.
- 4) შემდეგი პერიოდი არის „სიყრმე“, ანუ ეს არის ეტაპი, როცა კომპანია მნიშვნელოვნად იცვლება. შეუძლებელია ბიზნესის დამოუკიდებლად მართვა, ჩნდება საჭიროება სტრუქტურის ცვლილებისა და უფლებამოსილების დელეგირების. კომპანიაში მოდის ახალი მმართველობითი რგოლი, რომელიც ბუნებრივად იწვევს კონფლიქტს ახალ და ძველ „კორპორატიულ კულტურას“ შორის. აქაც ჩანს კრიზისის მკაფიო ნიშნები.
- 6) მეხუთე ეტაპს ადიზესი „გაფურჩქვანას“ უწოდებს, ამ პერიოდში კომპანია აღწევს მაქსიმუმს, აკმაყოფილებს მომხმარებლებს, აღწევს დასახულ მიზნებს, აქვს მყარი სტრუქტურა, გაწერილი ფუნქციები, აქვს კონტროლისა და დასჯის მექანიზმები. ამ პერიოდში შესაძლებელია სხვა შვილობილი კომპანიების დაარსებაც.
- 7) შემდეგ ეტაპს ავტორი „სტაბილიზაციად“ მოიხსენიებს, კერძოდ ეს არის მომენტი, როცა კომპანია თავს იკავებს სწრაფი განვითარებისაგან, ის აღარ ისწრაფვის ახალი ბაზრების დასაპყრობად, კომპანია არ არის ორიენტირებული ცვლილებებზე და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომპანიის კოლეგებს შორის ურთიერთობებს, შიდა კულტურის გამტკიცებას და ის მაქსიმალურად თავს იკავებს ახალი რისკებისგან.
- 8) მეშვიდე ეტაპი კი არის „არისტოკრატიულობა“, ანუ ეს ის ფაზაა, როცა კომპანიას აქვს მყარი ფინანსები, ძირითადი ორიენტირი არის სისტემისა და სამუშაო

გარემოს მოწესრიგება—გაუმჯობესება, ჩნდება კომპანიის შიდა ფორმალური წესები რომლებიც ძირითადად ეხება ჩაცმის სტილსა და სხვა წვრილმანს, რომელთაც არ აქვთ არანაირი მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ ეტაპზე კომპანიამ შესაძლებელია დაიწყოს სხვა კომპანიების შესყიდვა და რაიმე ინოვაციურ პროდუქციაზე მუშაობა.

- 9) კომპანიის მერვე ეტაპი კი „ადრეული ბიუროკრატიაა“, ანუ ეს არის ეტაპი, როცა კომპანიაში რთულდება ეფექტური და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, იქმნება ხელოვნური იერარქიები და იზრდება შიდა უკმაყოფილება. იწყება კომპანიის შიდა კონფლიქტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თანამშრომელთა დაკარგვით სრულდება.
- 10) ამ ეტაპს ადიზესი „გვიან ბიუროკრატიად“ მოიხსენიებს, ანუ ეს არის პროცესების ერთობლიობა, როცა კომპანიის მთავარი პრობლემა და საზრუნავი შიდა გართულებული სიტუაციის სტაბილიზაციის მიღწევაა. უკვე მეორე ხარისხოვანია კლიენტზე ორიენტირი და მთავარი ამოცანა მიმდინარე სიტუაციის კონტროლია. ამ პერიოდში კომპანიაში მოითხოვება წესრიგის დაცვა და არა ეფექტური მუშაობა და შედეგზე ორიენტირებულობა.
- 11) და ბოლო, ეს არის „გარდაცვალება“, ეტაპი, როდესაც კლიენტები უარს ამბობენ კომპანიის მომსახურებაზე (პროდუქციაზე). შესაძლებელია კომპანია იყოს მონოპოლიური პროდუქციის მიმწოდებელი ან ჰქონდეს სახელმწიფოს მხარდაჭერა, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა კომპანია არის ჩიხში და მისი როგორც სუბიექტის / ორგანიზაციის დასრულება / გაუქმება / ლიკვიდაცია / ბანკროტი გარდაუვალია (Adizes, 2004). ორივე თეორიის მიხედვით კომპანიების კრიზისი გარდაუვალია და მათი საქმიანობის ბოლო ეტაპი არის ამ კრიზისის მოუგვარებლობის/დაუძლებლობის მომენტი, როცა კომპანია ასრულებს ფუნქციონირებას.

თუმცა მეცნიერთა ნაწილი კრიზისს მიიჩნევს არა პრობლემების გამომწვევ ფაქტორად, რომელიც ასრულებს კომპანიის სასიცოცხლო ციკლს, არამედ ის პირიქით, აძლიერებს კომპანიებს და უბიძგებს მათ გამოცოცხლებისა და ტრანსფორმაციისაკენ.

მაგ., ჩერნოგოროვამ (**Черногорова 2016, ст.18**) თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში საწარმოთა კრიზისის ანალიზი განახორციელა კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, კერძოდ მან მოახდინა მხოლოდ თეორიული მოსაზრებების კლასიფიკაცია კომპონენტების მიხედვით. ანალიზის შედეგად გამოავლინა, რომ კრიზისი არის წინააღმდეგობრივი მოვლენების გამწვავების პროცესი, რომელის საფუძველს უყრის სისტემს ელემენტებისა და შიდა გარემოს შორის სპეციფიურ ურთიერთქმედების ფორმას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა კრიზისი კომპანიების შიდა და გარე ფაქტორების გავლენით შექმნილ ვითარებას ასახავს. ამავდროულად, როცა საქმე ეხება ბიზნეს სუბიექტების კრიზისს, რომლის წარმოშობისა და განვითარების საფუძველი თითოეული კომპანიის შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდუალური იყოს. საჭიროა არა მოვლენაზე თეორიული მოსაზრებების კლასიფიცირების შედეგად მიღებული მხოლოდ მიღებული ზოგადი დასკვნის გაკეთება, არამედ იმ ბიზნეს სუბიექტების ინდივიდუალური ქეისების შესწავლა, რომლებიც არიან არა მხოლოდ კრიზისის ფაზაში, არამედ ჩვეულებრივად აგრძელებენ საქმიანობას. ამიტომაც, ჩვენი აზრით, კომპანიების სეგმენტაცია უნდა მოხდეს საქმიანობის სფეროს მიხედვით, კერძოდ: ვაჭრობა, მომსახურება, წარმოება და ა.შ., ასევე უნდა მოხდეს ბრუნვის მოცულობის გათვალისწინება, პროდუქციისა თუ ნედლეულის მიწოდებაში იმპორტის მოცულობის ანალიზი, კონკურენტების, მენეჯმენტის და სხვა შიდა ფაქტორების შესწავლა. ასევე უნდა მოხდეს სახელმწიფო რეგულაციების ანალიზი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ბიზნეს საქმიანობას და იმ არაფორმალური ინსტიტუტების წრის გამოკვეთა, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ბიზნეს სუბიექტების კრიზისზე.

სწორედ ასე გვესახება ჩვენ კრიზისის ანალიზი და მისი არსის სწორი განმარტებისათვის საჭირო პროცესების თანმიმდევრობა.

§1.2. ბიზნეს სუბიექტის კრიზისის ინსტიტუციონალურ–ფინანსური ანალიზის მეცნიერული გაგებისათვის

ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპანიის ფინანსების მართვას. სწორი ფინანსური აღრიცხვიანობა და ფინანსების მართვა განაპირობებს კომპანიის მდგრადობას. ფინანსური ანალიზი და მისი მეთოდოლოგია თანამედროვე სამყაროში ბიზნეს პროცესების პროგრესის პარალელურად იცვლება და ვითარდება. პროცესი არის უწყვეტი და შეუქცევადი, ამიტომაც ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიის დახვეწა და ბიზნეს პროცესებთან ადეკვატურობა უმთავრესი გამოწვევაა სამეწარმეო საქმიანობაში.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS-International Financial Reporting Standards) აქტიური გამოყენება საქართველოს საფინანსო ინსტიტუტებისა და ფინანსისტების მიერ (რეგულირდება 08/06/2016 საქართველოს კანონით: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ) არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის ფინანსური აღრიცხვიანობის მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრებისათვის და თანამედროვე მსოფლიოს ფინანსურ სივრცეში შეუფერხებელი ინტეგრაცია-ადაპტაციისათვის.

ბიზნეს სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად (ანალიზისათვის) საჭიროა რამოდენიმე საბუღალტრო მონაცემის¹ (როგორც მოგება-ზარალის, ასევე

¹ საქართველოს პრეზიდენტს 06/02/1998 წლის N70 ბრძანებულების: „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 29-ე მუხლით: საწარმო, ორგანიზაცია თავისი ქონების შემადგენლობას და წარმოქმნის წყაროებს ასახავს ბუღალტრულ ანგარიშგებაში, რომლის შედგენისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

1. უტყუარობა (სისწორე) – ანგარიშგება უნდა გამომდინარეობდეს ქვეყანაში დადგენილი აღრიცხვა-ანგარიშგების წესებიდან და ასახავდეს ჭეშმარიტ ინფორმაციას.

2. სისრულე – იგი უნდა გამომდინარეობდეს საანგარიშო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ფაქტიდან.

3. უწყვეტობა – საწარმო, დაწესებულება მოქმედებს და გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალში. იგულისხმება, რომ სამეურნეო სუბიექტს განზრახული არა აქვს ლიკვიდაცია ან საქმიანობის მასშტაბების მნიშვნელოვნად შემცირება.

4. არსებითობა – ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არსებითია და მისმა არასახვამ ან არასწორად წარმოდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ბალანსის ნაწილიდან), თუ კომპონენტის შედარება და ტენდენციების დადგენა; სწორედ ამგვარი ანალიზი, რომელიც სხვადასხვა მეთოდოლოგიას ემყარება წარმოადგენს ფინანსური ანალიზი.

საქართველოში ფინანსური ანალიზის შესახებ ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს 1927 წელს ი. ავალიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი „ბალანსის ანალიზი“, რომლის წინასიტყვაობაშიც ვკითხულობთ: „რაც უფრო რთულდება და ვითარება სამეურნეო ცხოვრება, მით უფრო ღრმავდება სამეურნეო საკითხები და აგრეთვე იზრდება სურვილიც სამეურნეო ცხოვრების მიერ ღრმად წარმოდგენილი საკითხები უფრო უკეთესად გადაწყდეს ვიდრე აქნობამდე იგი წყდებოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბალანსისადმი ყურადღება იზრდება და მისი შესწავლის აუცილებლობა ყველასათვის ცხადი ხდება. მიმდინარე მომენტის სამეურნეო საკითხების შესწავლაზე და ბალანსის თვისებების გამოკვლევაზე აღმოცენებულია ახალი საგანი „ბალანსის ანალიზი“, რომელსაც მეცნიერულად დამუშავების უმაღლეს წერტილემადე ჯერ არ მიუღწევია. ამ სახელმძღვანელოს მიზნად აქვს დასახული გამოქვეყნებულ ბალანსების გამოკვლევით მეურნეობის მდგომარეობის კრიტიკულად შეფასება. მაგალითებად აღებულია საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო საწარმოთა გამოქვეყნებული ბალანსები და ბევრი მაგთანნი დაწვრილებით გამორჩეულია“ (ავალიშვილი, 1927).

ქართველი მეცნიერების მიერ ფინანსურ ანალიზთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებიდან უნდა აღინიშნოს 2007 წელს გამოცემული სახელმძღვანელო

5. საიმედოობა – ინფორმაცია საიმედოა და მომხმარებელს შეუძლია მასზე დაყრდნობა, ანუ ანგარიშგება რეალურ სიტუაციას ასახავს.

6. ნეიტრალურობა – ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია უნდა იყოს ნეიტრალური და სუბიექტურობისაგან თავისუფალი.

7. შესადარისობა – ერთი საანგარიშო პერიოდის ინფორმაცია შესადარისი უნდა იყოს მეორე პერიოდთან. მომხმარებლები ინფორმირებული უნდა იყვნენ საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შესახებ. ანგარიშგებაში უნდა აისახოს ის განსხვავებები, რომლებიც ხელს უშლის წინა წლის ანგარიშგების შედარებას ბოლო წლიურ ანგარიშგებასთან.

8. სიფრთხილის (წინდახედული მეწარმის) პრინციპი – საწარმოს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი მატერიალური ფასეულობებისა და ვალდებულებების შეფასების საკითხებში;

9. იმპარიტეტის (უთანაბრობის) პრინციპი – საწარმოს წლიურ ანგარიშგებაში განსხვავებულად უნდა იქნეს შეფასებული მოსალოდნელი (განუხორციელებელი) მოგება და ზარალი.

მაია და ია თეთრუაშვილების „ფინანსური მენეჯმენტი“, ლ. ბოჭორიშვილისა და ნ. ბებიაშვილის მიერ 2009 წელს გამოცემული წიხტი „ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები“, ი. ჭილაძის მიერ 2011 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „ფინანსური ანალიზი“, ე. ნანობაშვილის მიერ 2009 წელს გამოცემული „საბუღალტრო აღრიცხვის ფინანსური ანალიზის საფუძვლები“, დ. გადელიას მიერ 2010 წელს გამოცემული მონოგრაფია „ფინანსური მენეჯმენტი“ და სხვა. უცხოელი ავტორებიდან აღსანიშნავია: ალტმანი, ფრიდსონი და ალვარეზი, ალექსევა, სავიცკაია, დემიანოვა, ფომინი, ტიტაევა და სხვები.

ფინანსური ანალიზი და ბუღალტრული აღრიცხვა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ფინანსური ანალიზის ფარგლებში კომპანიის ფინანსური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზირებული სახითაა წარმოდენილი, რაც საშუალებას იძლევა ცალკეული მონაცემების შესახებ ინფორმაცია მიიღო როგორც სასურველი პერიოდების მიხედვით, ისე მოახდინო მათი შედარება სხვა მაჩვენებლებთან.

კომპანიის მენეჯმენტის მიერ ფინანსური ანალიზის შერჩეულ მეთოდზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბიზნესის შეუქცევადი განვითარება, ამიტომაც ბიზნეს სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შეფასების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის მოცულობა, საქმიანობის სეგმენტი, სფერო, სპეციფიკა, კომპანიის მიმდინარე ფინანსური აღრიცხვიანობის მეთოდი, ფინანსური აღრიცხვიანობის პერიოდულობა, ფინანსური ოპერაციების განხორციელების გზები (ელექტრონული, ნაღდი, უნაღდო) და ა.შ.

ზოგადად ცნობილია ფინანსური ანალიზის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის ვერტიკალური, ჰორიზონტალური, კოეფიციენტური, საპროგნოზო ანალიზი და სხვა. განვიხილოთ საბაზისო მეთოდები: ზოგიერთი მკვლევარი (რობინსონი, ფრიდსონი, ალავეზი) (Fridson and Alvarez, 2002) ფინანსურ ანალიზს კომპლექსურ ფინანსების კვლევაში მოიაზრებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ფინანსური ანალიზი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ საბუღალტრო მონაცემებს, კომპანიის ფინანსურ უწყისებს და ის არ ითვალისწინებს კომპანიის სხვა მიმართულებების თვისობრივ კვლევას, რომლის

ფარგლებში საჭიროა კომპანიის მიმართულებების სიღრმისეული შესწავლა (განვითარების სტრატეგია, შესყიდვებისა და გაყიდვების სტრუქტურა, მენეჯმენტი, მარკეტინგული სტრატეგიები, კონკურენტები და სხვა), ამიტომაც ფინანსური ანალიზის ჩატარება შესაძლებელია ნებსმიერი ფინანსური ანალიტიკოსის მიერ დამოუკიდებლად, მხოლოდ კომპანიის საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით. ამის მიხედვით წმინდა ფინანსური ანალიზი შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

ვერტიკალური ანალიზის დროს ხდება ბალანსში მითითებული ერთგვაროვანი, მსგავსი ჯგუფის მონაცემების სტრუქტურის შესწავლა, რაც საშუალებას იძლევა საანგარიშო პერიოდისათვის დადგინდეს აქტივებისა და პასივების ურთიერთმიმართება და ერთგვაროვანი მონაცემების სხვა პერიოდთან შედარებით განსხვავების გაანგარიშება/შედარება.

ცხრილი N2, ვერტიკალური ფინანსური ანალიზის მაგალითი,

წელი	2015	2016	2017	2018
საქონლის რეალიზაცია	550,077.00	460,050.00	580,605.00	577,050.00
საქონლის თვითღირებულება	320,000.00	28,500.00	360,000.00	402,000.00
ხელფასები	25,000.00	25,000.00	25,000.00	25,000.00
სხვა საოპერაციო ხარჯები	8,700.00	6,500.00	5,970.00	6,250.00
მოგება	196,377.00	400,050.00	189,635.00	143,800.00

წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ

ჰორიზონტალური ანალიზი გულისხმობს ერთი და იგივე მაჩვენებლის შედარებას სხვადასხვა პერიოდში, ანალიზის ამ მეთოდს ხშირად უწოდებენ ტრენდულ ანალიზს.

ცხრილი N3, ჰორიზონტალური ფინანსური ანალიზის მაგალითი,

წელი	2015	2016	2017	2018
საქონლის რეალიზაცია	550,077.00	460,050.00	580,605.00	577,050.00
საქონლის თვითღირებულება	320,000.00	28,500.00	360,000.00	402,000.00
ხელფასები	25,000.00	25,000.00	25,000.00	25,000.00
სხვა საოპერაციო ხარჯები	8,700.00	6,500.00	5,970.00	6,250.00
მოგება	196,377.00	400,050.00	189,635.00	143,800.00

წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ

სამეცნიერო ლიტერატურაში კრიზისის სწრაფი დიაგნოსტიკის კონტექსტში ასევე ხშირად საუბრობენ ექსპრესს ანალიზზე ა.ნ. ასაული (Асаул, 2007), ი.პ. კნიაზი, ი.ვ. კოროტაევა. ამ შემთხვევაში არ ხდება კომპანიის ფინანსურ-სამეურნეო მონაცემების დაწვრილებითი შეფასება. ანალიზის ნაირსახეობის ძირითადი მიზანია კომპანიის სუსტი ადგილების განსაზღვრა, რაც მისი სამომავლო ჩაღრმავებული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ხშირად, სწორედ ამ მეთოდს უწოდებენ „დიაგნოსტიკას“, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელია კრიზისის მოახლოების განსაზღვრა.

ექსპრეს ანალიზის არსი შემდეგში მდგომარეობს, მისი მეშვეობით ხდება იმ მონაცემების შედარება სტანდარტებთან, რომელთა ნორმალური ზღვარი წინასწარ არის განსაზღვრული. მაგ., მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლა და მისი შედარება სტანდარტთან. ლიკვიდურობის კოეფიციენტებიდან ერთ-ერთი ძირითადი და ხშირად გამოყენებადია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ქვემოთ ყურადღებას მისი გამოთვლის თავისებურებებზე გავამახვილებთ.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი - ასახავს კომპანიის უნარს დაფაროს მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები თავისი მიმდინარე აქტივებით. რაც მაღალია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, მით მაღალია კომპანიის შესაძლებლობა

დაფაროს თავისი ვალდებულებები. მაგ., კომპანიის მიმდინარე აქტივები უდრის 300,000 ლარს ხოლო მისი მიმდინარე ვალდებულებები კი 150,000 ლარს, მაშინ კომპანიის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი იქნება 2. ამ კოეფიციენტით შედეგი განისაზღვრება შემდეგნაირად: მიმდინარე დავალიანების ყოველ ერთ ლარზე კომპანიას აქვს 2 ლარის ღირებულების აქტივი.

ექსპრეს ანალიზის დროს ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის განსაზღვრა. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი განსაზღვრავს კომპანიის უნარს გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულებები, ოღონდ ამ შემთხვევაში ხდება იმ მიმდინარე აქტივების გათვალისწინება, რომლებიც სწრაფად გარდაიქმნება ფულად. ამის გამო სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოითვლისას მიმდინარე აქტივებს აკლდება მარაგების მაჩვენებელი და შემდეგ მიმდინარე ვალდებულებები. შესაბამისად თუ მიმდინარე აქტივები შეადგენს 300,000 ლარს, მიმდინარე ვალდებულებები – 150,000 ლარს და მარაგები – 150,000 ლარს, მაშინ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი იქნება „1“ .

სარგებლის დაფარვის კოეფიციენტები - მოგება კრედიტის სარგებლისა და მოგების გადასახადის გადახდამდე გაყოფილი კრედიტის სარგებლის ხარჯზე. მას ასევე უწოდებენ, რამდენჯერ გამოვიმუშავეთ კრედიტის ხარჯი.

ეს კოეფიციენტი მიუთითებს კომპანიის შესაძლებლობაზე გადაიხადოს მისი სესხის სარგებლები და აიცილოს გაკოტრება. ძირითადად, რაც მაღალია კოეფიციენტი, მით მაღალია ალბათობა, რომ კომპანია შეძლებს დაფაროს მისი სესხების მომსახურება სირთულის გარეშე. იგი ასევე იძლევა ინფორმაციას კომპანიის შესაძლებლობაზე აილოს ახალი სესხი.

ძირითადად, ფინანსური ანალიტიკოსები, ბუღალტრები და ფინანსური მენეჯერები, კომპანიის ფინანსურ ანალიზს ახორციელებენ სწორედ კოეფიციენტური შემოწმებით. ზოგადად დადგენილ ფინანსური კოეფიციენტების სტანდარტებთან მიმართებაში ხდება შერჩეული კომპანიის მონაცემების შედარება და ხდება დასკვნების

მომზადება კომპანიის ზოგადი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, არ იძლევა შესაძლებლობას კომპანიის კრიზისის პროგნოზირების შესახებ.

ანალიზის ამ ძირითადი კატეგორიების პარალელურად ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, (მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია გაკოტრება არის კრიზისის განვითარების საბოლოო ფაზა-შედეგი) მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ასევე ანალიზის ის ტიპები, რომლებიც ზოგადად იძლევიან შესაძლებლობას განისაზღვროს ბიზნეს სუბიექტის შესაძლო ფინანსური კრიზისის საფრთხეები.

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ ამერიკელი ეკონომისტის ედვარდ ალტმანის მოდელი - ფორმულა, ცნობილია როგორც **Z-მოდელი** (Altman Z-Score) რომელიც მან 1968 წელს შეიმუშავა (Altman, 1968).

პირველი გაკოტრების პრევენციისა და იდენტიფიკაციის ეს მოდელი ეყრდნობა ბიზნეს სუბიექტის ფინანსურ მონაცემებს. მოდელის შემუშავების შემდეგ მასში ძირეული ცვლილება არ შესულა, თუმცა სხვადასხვა ავტორებს (ლისი, ტაფლერი, სპრინგეიტი და სხვები) (Taffler, 1995) ქონდათ მისი განსხვავებული ინტერპრეტაციის მცდელობა.

ალტმანი, ფორმულის შემუშავებისას, ეყრდნობოდა ამერიკაში მოქმედი 66 საწარმოს ფინანსურ ანალიზს, რომელთაგანაც ნახევარი იყო გაკოტრებული, ხოლო მეორე ნახევარი ფუქციონირებდა ჩვეულ რეჟიმში. ალტმანის მოდელზე აგებულია რამოდენიმე ფინანსური პროგრამა (მაგ., რუსეთში "Финансовый анализ: Проф", "Финансовый анализ:Проф + Оценка бизнеса", რომელსაც წარმატებით იყენებენ რამოდენიმე ქვეყანაში.

ფორმულა და მისი აღწერილობა შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Z\text{-score} = 6.56T1 + 3.26T2 + 6.72T3 + 1.05T4$$

Z-მოდელი (Altman Z-Score) – ეს არის ფინანსური მოდელი, რომელიც იძლევა კომპანიის გაკოტრების ალბათობის პროგნოზირებას. ამ ფორმულას საფუძვლად უდევს ფინანსური კოეფიციენტების კომბინაცია, რომელიც არის კომპანიის საქმიანობის შესახებ ძირითადი ფინანსური მონაცემები. არასაწარმოო ორგანიზაციებისათვის ალტმანმა შექმნა ოთხფაქტორიანი ფორმულა, კერძოდ:

$$Z\text{-score} = 6.56T1 + 3.26T2 + 6.72T3 + 1.05T4$$

სადაც,

T1=სამუშაოკაპიტალი/აქტივები

T2=გაუნაწილებელიმოგება/აქტივები

T3=EBIT /აქტივები

T4=საკუთარი კაპიტალი/ ვალდებულებები.

ამ ფორმულის მიხედვით გაანგარიშების შედეგები ასე იშიფრება:

1. თუ მაჩვენებელი 1,1 და ნაკლები „წითელი ზონა“ არსებობს კომპანიის გაკოტრების ალბათობა;
2. თუ მაჩვენებელი 1,1 დან 2.6 მდე-„რუხი“ ზონა, სასაზღვრო მდგომარეობა, გაკოტრების რისკი არ არის მაღალი, მაგრამ არც გამორიცხული
3. თუ მაჩვენებელი 2,6 და მეტი „მწვანე“ ზონა, გაკოტრების დაბალი ალბათობა.

ხოლო, საწარმოო დაწესებულებზე გამოიყენება ალტმანის 5 ფაქტორიანი Z მოდელი. მისი ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Z\text{-score} = 0.717T1 + 0.847T2 + 3.107T3 + 0.42T4 + 0.998T5$$

სადაც,

T1=სამუშაოკაპიტალი/აქტივები

T2=გაუნაწილებელიმოგება/აქტივები

T3= EBIT /აქტივები

T4 = საკუთარი კაპიტალი/ ვალდებულებები.

T5 = ამონაგები/ აქტივი

ამ ფორმულის მიხედვით გაანგარიშების შედეგები ასე იშიფრება:

1. თუ მაჩვენებელი 1,23– და ნაკლები „წითელი ზონა“ არსებობს კომპანიის გაკოტრების ალბათობა;
2. თუ მაჩვენებელი 1,23 დან 2,9 – მდე-„რუხი“ ზონა, სასაზღვრო მდგომარეობა, გაკოტრების რისკი არ არის მაღალი, მაგრამ არც გამორიცხული
3. თუ მაჩვენებელი 2,9 და მეტი „მწვანე“ ზონა, გაკოტრების დაბალი ალბათობა.

მაგ., ტ. შუმვეი თავის ნაშრომში აკრიტიკებს ალტმანის მოდელს და ექვევებ აყენებს მისი ფორმულის შედეგად მიღებული შედეგების ადეკვატურობას თანამედროვე ბიზნესის პირობებში და მთავარ პრობლემად კოეფიციენტის გამოთვლისას ფინანსური მონაცემების სიმრავლეს ასახელებს (Shumway 1999).

ასევე ცნობილია უ. ბივერის (Beaver, 1966), გ. სპრინგეიტის, ჟ. ლეგოს მოდელები.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მოცემული მოდელები არ არიან მდგრადები, რადგან კოეფიციენტები ისევე როგორც სხვა მონაცემები განსხვავებულია, არამხოლოდ ქვეყნების მიხედვით, არამედ საანგარიშო პერიოდების მიხედვითაც.

ნ. დარსაველიძე აღნიშნავს, რომ: „დასავლეთის ფირმებში წარმატებით გამოიყენება გაკოტრების ალბათობის ორფაქტორული მოდელი, ასევე ალტმანის 5-ფაქტორული Z-ანგარიშები, თუმცა საქართველოში გაკოტრების დიაგნოსტიკის დისკრიმინანტული მრავალფაქტორული მოდელების პრაქტიკაში გამოიყენება თანამედროვე პირობებში ვერ ხერხდება შემდეგი ფაქტორების გამო: 1. არ არსებობს მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოდელის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების ეროვნული სტანდარტის პირობებში; 2. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასრულყოფილება და არაორგანიზებულ საფონდო ბაზარზე აქციის კურსის ღირებულების არასაიმედო შეფასება; 3. საწარმოს აქციების საბალანსო და საბაზრო ღირებულების შეუსაბამობა, რამდენადაც ამ შესაბამისობის მიღწევის მეთოდებს - ცენტრალიზებული წესით აქტივების სპონტანური გადაფასება ერთიანი კოეფიციენტებით - არ შეუძლიათ უზრუნველყონ აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულების რეალური შესაბამისობა. ამიტომაც ავტორი ფიქრობს, რომ თანამედროვე საქართველოში დისკრიმინანტული ფაქტორული მოდელების პრაქტიკული გამოყენების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელის დისკრიმინაცია. ამიტომაც ავტორი გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს საწარმოთა მდგომარეობის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდიკის შემუშავებას (დარსაველიძე, 2012).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანალიზი არ არის მხოლოდ ფინანსური მონაცემების კოეფიციენტური ანალიზი, არამედ ის მოიცავს ასევე კომპლექსურ მონაცემებს კომპანიის

საბალანსო მონაცემებს, გაყიდვების, შესყიდვების, საკრედიტო და კრედიტორული დავალიანებების მართვის, აქტივებისა და კაპიტალის მართვის, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების, ცალკეული მაჩვენებლებისა დინამიკისა და კომპანიის ფინანსური მონაცემების დინამიკის შედარებით ანალიზს.


მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა მიერ კონკრეტულ კომპანიების ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებული არაერთი მოდელი, შეიძება მათი გამოყენების შედეგების ადეკვატურობა ექვეყნებში დავაყენოთ შემდეგი გარემოებების გამო: ა) მოდელები შემუშავებულია სხვა ქვეყნების ბიზნეს სუბიექტების პირობების გათვალისწინებით; ბ) მოდელების მომზადების პროცესში გათვალისწინებულია იმ ქვეყნების სოცალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები, რომლის ტერიტორიაზე მოქმედი ბიზნეს კომპანიებისათვისაც ხდებოდა მათი შემუშავება; გ) თანამედროვე პირობებში კომპანიების ფინანსური მონაცემების პარალელურად მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება როგორცაა: ვალუტის კურსი, ინფლაცია, დაკრედიტების პოლიტიკის მიმართულებები; და სხვა. სწორედ ეს ფაქტორებია ის, რაც ექვეყნებში აყენებს კოეფიციენტური გაანგარიშების მოდელების ეფექტიანობას საქართველოს პირობებში.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგების რელევანტურობა ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია ანალიტიკოსის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზე, ხოლო ანალიზის შედეგებზე ადეკვატური და სწორი რეაგირება კომპანიის მენეჯმენტზე. სწორედ ფინანსური ანალიზი არის ერთ-ერთი საშუალება პერიოდულად მოხდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და საწყის ეტაპზე დაფიქსირდეს რადიკალური ცვლილებები აქტივებსა და პასივებში, რომელმაც შეიძლება გამოწვიოს კომპანიის მართვის სტრატეგიის კორექტირება.

ჩვენი მოსაზრებით, კომპანიის კრიზისის იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ბიზნეს სუბიექტის ფინანსური ანალიზი. სრულფასოვანი შედეგების მისაღებად საჭიროა ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შესწავლა, ქვეყნის ბიზნეს გარემოს შეფასების რეიტინგების

კომპონენტური შედარება, ასევე იმ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების განსაზღვრა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტების კრიზისების წარმოშობასა და განვითარებაზე. შემდეგ თავებში კომპლექსურად განვიხილავთ ზემოაღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობას და როლს ბიზნეს სუბიექტების კრიზისის ფორმირების პროცესში და ვახდენთ ტიპოლოგიისა და წარმოშობის გზების მიხედვით აქტორების კლასიფიკაციას. ამიტომაც, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ კომპანიის მიერ ინდივიდუალური პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭიროა ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავება (ცხრილი N4).

ცხრილი N4: პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის მოდელის ფორმირება



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

ჩვენს მიერ შემუშავებული ცხრილის მიხედვით, კომპანიის პრევენციულ-ანტიკრიზისული მოდელი უნდა მოიცავდეს: კომპანიის საქმიანობის / ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფინანსური მონაცემების შესწავლის ოთხ ეტაპს, კონკრეტული ეტაპის შესაბამისი ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგიასა და მონაწილეთა როლებს.

ანალიზის ყველა ეტაპზე ჩართულია კომპანიის მენეჯმენტი. ასევე კომპანიის მენეჯმენტის მიერ ანალიზის პირველივე ეტაპზე ხდება ანტიკრიზისული მართვის გუნდის დაკომპლექტება, რომლის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს შემდეგი ეტაპის ღონისძიებები.

ჩვენს მიერ შემუშავებული უნივერსალური პრევენციულ-ანტიკრიზისული მოდელის მთავარი განმასხვავებელია სხვა მოდელებისაგან ის, რომ გარდა ფინანსური, სტატისტიკური, კოეფიციენტური ანალიზისა ის ბიზნეს სუბიექტის კრიზისის კვლევის პროცესში ითვალისწინებს მრავალკომპონენტური თვისობრივი ანალიზის მეთოდოლოგიას.

კომპანიის ტრანსფორმაციის შესაძლებლობის ანალიზი მოითხოვს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, სტრატეგიებისა და ზოგადად ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის საფუძვლიან ანალიზს. ასევე მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს მიკროეკონომიკური პროცესების სრულყოფილი, დეტალური ანალიზი.

სწორედ ამ ანალიზის შედეგები იძლევა კომპანიის პრევენციული ანტიკრიზისული სტრატეგიის მთავარ ღერძს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს კომპანიის მართვის ცალკეული მიმართულებების აგება.

თავი II

სახელმწიფო პოლიტიკა და ინსტიტუტების როლი ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაში

§2.1. სახელმწიფო პოლიტიკის თავისებურებანი ბიზნეს სუბიექტებთან მიმართებაში

ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტირი და კონკრეტული შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებები პირდაპირ მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ისევე როგორც ეკონომიკური ცვლილებები პირდაპირპროპორციულად მოქმედებენ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე. პოლიტიკისა და ეკონომიკის ეს მჭიდრო და ურთიერთგავლენიანი დამოკიდებულება ქმნის რეგულირებულ სივრცეს ქვეყანაში, სადაც ბიზნეს სუბიექტებს / კომპანიებს უწევთ საქმიანობა.

ბიზნესი, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა. ბიზნეს სუბიექტის განვითარების პროცესში დიდია სახელმწიფო პოლიტიკის როლი, ისევე როგორც ბიზნეს სუბიექტის როლი უდიდესია ეკონომიკური განვითარების პროცესსა და შედეგებში.

ბიზნეს სუბიექტების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მაგრამ ძირითადი რაც ბიზნესს სჭირდება არის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო, რაც თავის თავში მოისაზრებს: ქვეყნის დადებით საერთაშორისო იმიჯს, სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, მიმზიდველ ბიზნეს რეგულაციებს, სახელმწიფო პროგრამების ორიენტირს ბიზნესის განვითარებისათვის და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას.

თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობებს მხარდამჭერი ქვეყნის პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა, დაბალი გადასახადები და ზოგადად მდგრადად განვითარებადი ეკონომიკური პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენს. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველომ მოახდინა სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ღირებულებების დეკლარირება და განსაზღვრა: „სახელმწიფო უზრუნველყოფს

ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას“ (საქართველოს კანონი 01.07.2011).

საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწინილად მიგვაჩნია განვიხილოთ ბიზნეს სუბიექტებთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებები ფისკალურ და მონეტარულ ქრილში. კერძოდ, კრიზისების თეორიებიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენ ვემხრობით, სწორედ მარკოვეკონომიკურ მაჩვენებელთა ის კომპლექსი განიხილება, რომლის საფუძველსაც სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა აყალიბებს. როგორც გ. აბუსელიძე აღნიშნავს, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდამ სტიმული მისცეს ეკონომიკური აქტიურობის განვითარებას და წარმოების მოცულობის ზრდას; და პირიქით, ეკონომიკური აქტიურობის განვითარებამ და წარმოების მოცულობის ზრდამ უზრუნველყოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა (Abuselidze, 2012).

ბიზნესისა და სახელმწიფო პოლიტიკის ურთიერთმიმართების თანმიმდევრული ანალიზისათვის ჩვენი აზრით საჭიროა სახელმწიფოში ბიზნეს სუბიექტების რაოდენობისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ ზუსტი ინფორმაციის ფლობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებულ ცხრილში N2.1. ჩანს, რომ 2018 წლის მარტის თვის მდგომარეობით რეგისტრირებული და აქტიური ბიზნეს სუბიექტების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: (ცხრილი N5)

ცხრილი N5 საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტები 03.2018წ

მდგომარეობით

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	% მაჩვენებელი საერთო რაოდენობიდან
სულ	686552	177452	100
კომერციული იურიდიული პირები	231732	72995	33.7
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2755	266	0.4
კომანდიტური საზოგადოება	185	26	0.0
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	221242	71528	32.2
სააქციო საზოგადოება	2452	872	0.4
კოოპერატივი	5098	303	0.7
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	25763	3583	3.8
ინდივიდუალური მეწარმე	419285	97151	61.1
სხვა	3959	1056	0.6
საჯარო სამართლის სუბიექტები	5813	2667	0.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, აქტიური ბიზნეს სუბიექტების მოცულობა რეგისტრირებულთან მიმართებაში საკმაოდ მცირეა, კერძოდ, ჯამში რეგისტრირებული სუბიექტების საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 25,8%-ია აქტიური. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიან მონაცემებში 61,1% ინდივიდუალურ მეწარმეებს უჭირავს რომელთაგან აქტიური მხოლოდ 23,17%-ია. მხოლოდ სამეწარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში მათი აქტიური პროცენტული თანაფარდობა 31,49%-ია. საკვალიფიკაციო ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ დისბალანსის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და მისი აღმოფხვრის შესაძლებლობის განსაზღვრაა.


კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოპოვებული მონაცემების საფუძველზე განვახორციელეთ საქართველოში ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის 10 წლის (2007-2017წწ) დინამიკის ანალიზი (Abuselidze & Katamadze, 2018). ანალიზის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში გამოვყავით ყოველწლიურად რეგისტრაციის რაოდენობებით მკვეთრად ცვალებადი სამიზნე ჯგუფები, რის მიხედვითაც შემდგომში ამ სუბიექტების

კომპლექსური ანალიზი იყო შესაძლებელი, თავის მხრივ, ანალიზი გულისხმობდა ბიზნესთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის კვლევას და ასევე სხვა ფაქტორების შესაძლო გავლენის გამოვლენას.

საქართველოში ბიზნეს სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს განსაზღვრავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“; ამ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით: „მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი (საქართველოს კანონი 28.10.1994).

ჩვენ საკვლევი სამიზნე ჯგუფის განსაზღვრისას გამოვიყენეთ საქართველოში 2007-2017 წლებში ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის დინამიკა, კერძოდ რეგისტრაციის რაოდენობის მკვეთრი ცვალებადობის ინდიკატორი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნულ პერიოდში სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება: (იხილეთ ცხრილი N6)

ცხრილი N6 ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაცია წლებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, 2010 წელს აღინიშნება შ.პ.ს-ების რეგისტრაციებთან მიმართებაში 46%-იანი ზრდა, ასევე 2016 წლიდან 2017 წლის შუალედში აღინიშნება 20%-იანი ზრდა. რადიკალური და საყურადღებო ცვლილებებია კოოპერატივებთან მიმართებაში, კერძოდ 2007 წლიდან 2013 წლის ინტერვალში მაქსიმუმ რეგისტრირდებოდა 42 სუბიექტი, ხოლო 2014 წლიდან არის მკვეთრი ნახტომი, კერძოდ 2014 წელს დარეგისტრირდა 587 სუბიექტი, 2015 წელს 952 სუბიექტი. შემდეგ წლებში რეგისტრაციის მონაცემები შემცირებულია: 2016 წელს 534 სუბიექტი და 2017 წელს 250 სუბიექტი.

ეს ორი კატეგორია რომელშიც შეინიშნება მნიშვნელოვანი ზრდა დინამიკაში და კომპლექსური ანალიზისათვის სწორედ ეს ჯგუფი ავირჩიეთ.

მეორე სამიზნე კატეგორიაა ის ბიზნეს სუბიექტები, რომლებიც გამოიკვეთა კლების დინამიკაში. კერძოდ, 2007 წელს რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეების რაოდენობა იყო 37145 სუბიექტი ხოლო 2008 წელს დარეგისტრირდა 25776 სუბიექტი ანუ 2007 წლიდან ეს იყო პირველი 30%-იანი კლება. ამავე კატეგორიაში (ინდივიდუალურ მეწარმეებში) იდენტური მკვეთრი კლებაა 2011-2012 წლებში, კერძოდ 2011 წელს დარეგისტრირდა 37145 სუბიექტი, ხოლო 2012 წელს 25776 სუბიექტი, აქაც დაფიქსირდა 30%-იანი კლება. ანუ ამ ორ პერიოდში შეინიშნება ინდივიდუალურ მეწარმეთა რეგისტრაციის იდენტური 30%-იანი კლება. ზემოაღნიშნული რეგისტრაციებში ზრდადობა-კლებადობის გათვალისწინებით ჩვენს მიერ გამოყოფილი საანალიზო წრე შემდეგნაირად გამოიყურება:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები;
- ინდივიდუალური მეწარმეები;
- კოოპერატივები;

თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, იმის დასადგენად, თუ რას შეიძლება გამოეწვია მსგავსი მკვეთრი ცვალებადობა კვლევის პირველ ეტაპზე გავანალიზეთ აღნიშნულ პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები; ანალიზის მეორე ეტაპზე სამიზნეს ჯგუფებთან მიმართებაში

გავაანალიზეთ ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ მიღებული პოლიტიკური ან ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ცალკე ყურადღება გავამახვილეთ შიდა სახელმწიფოებრივ პროცესებზე, რომლებსაც შეიძლება მოეხდინათ გავლენა ბიზნეს სუბიექტის კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგისტრაციის რაოდენობაზე.

ანალიზის შედეგები შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემის საშუალებას იძლეოდა:

- რა განაპირობებდა სხვადასხვა პერიოდში ბიზნეს სუბიექტების მიერ კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევას?
- ახდენს თუ არა გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ბიზნეს სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები?

შედეგები შემდეგია:

2009-2010 წლებში შ.პ.ს-თან მიმართებაში: 2004 წლის შემდეგ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი და ხანგრძლივი პერიოდი ჰქონდა, რომელიც დროებით შეფერხდა 2009 წელს, მიზეზი კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იყო. 2009 წელს 3.8%-იანი კლება დაფიქსირდა, თუმცა, 2010 წლიდან, საშუალო ეკონომიკური ზრდა საქართველოში 7%-ს შეადგენდა. ბუნებრივია ეკონომიკის გამოცოცხლებამ ადეკვატურად იმოქმედა ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის დინამიკაზე, და კერძოდ ამ პერიოდში 2010 წლის 1 იანვრიდან (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N241) მოხდა სამეწარმეო რეესტრის საქმიანობის საჯარო რეესტრის ერთიან სივრცეში გადატანა, შესაბამისად გამარტივდა რეგისტრაციის პროცედურა და კერძოდ შ.პ.ს-ების რეგისტრაციის პირობებში შევიდა რიგი ცვლილებები რომელმაც გამარტივა რეგისტრაცია.² იურიდიულ პირებს შორის შ.პ.ს-ს რეგისტრაცია გახდა ყველაზე უფრო მოქნილი და მარტივი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

² რეგისტრაციისას დაინერგა დამფუძნებელთა კრებისა და წესდების შაბლონური ფორმები, ასევე სიმბოლური გახდა ფულში გამოხატული სადამფუძნებლო კაპიტალი.

2007-2008 და 2011-2012 წლებში ინდ. მეწარმეებთან მიმართებაში:

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის პერიოდი, რომლის დროსაც წლის ბოლო 4-5 თვის განმავლობაში ფაქტიურად მოსახლეობამ შეამცირა რეგისტრაციები და ამ წლის საშუალო მონაცემებით, სავარაუდოდ რომ არა საომარი მდგომარეობა, პროპორციულად 4-5 თვეზე იქნებოდა უწყვეტი სტაბილური ზრდა.

ხოლო 2011-2012 წლებში ინდ. მეწარმეების კლება გამოიწვია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N999 ბრძანებამ, რომლის მიხედვითაც შემოღებულ იქნება მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსები რომელიც ენიჭება იმ ფიზიკურ პირებს რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას

ბ) დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს. მაგ., ამ სტატუსის შემოღებამდე პურის საცხობი და დალაქები იყვნენ ინდ. მეწარმეები და იხდიდნენ გაცილებით დიდ გადასახადს (20%), ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების შემდეგ ისინი იხდიან ფიქსირებულ გადასახადს, რომელიც წინა წლების ხარჯებთან შედარებით 50% ზე ნაკლებია.

ასევე გამარტივდა მათი საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვა. კერძოდ, ფიზიკური პირები საგადასახადო აღრიცხვის კუთხით უფლებამოსილები არიან გამოიყენონ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის საკასო მეთოდი (საქართველოს კანონი 08.06.2016), თუ ისინი წარმოადგენენ მიკრო (საქართველოს კანონი 17.09.2010) და მცირე (საქართველოს კანონი 17.09.2010) გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებს და ბუღალტრულ აღრიცხვას ან საერთოდ არ აწარმოებენ (საქართველოს კანონი 08.06.2016) ან აწარმოებენ საკასო მეთოდით, მაშინ როცა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, იურიდიულ პირებს ავალდებულებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (საქართველოს კანონი 08.06.2016), რაც ნიშნავს იმას, რომ იურიდიულმა პირებმა, როგორც ბუღალტრული, ისე საგადასახადო კუთხით, შემოსავლებისა და

ხარჯების აღრიცხვის მიზნით უნდა გამოიყენონ დარიცხვის მეთოდი. ერთადერთ გამონაკლის ამ კუთხით წარმოადგენს ფიქსირებულ გადასახადის გადამხდელად (საქართველოს კანონი 17.09.2010) რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საგადასახადო აღრიცხვის კუთხით გამოიყენოს საკასო მეთოდი (საქართველოს კანონი 08.06.2016), თუ ის მხოლოდ ფიქსირებულ გადასახადის გადამხდელის საქმიანობას ახორციელებს (საქართველოს კანონი 17.09.2010).

აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება პატიოსანი გადამხდელის ინსტიტუტის შემოღება, რამაც ხელი შეუწყო კეთილსინდისიერების პრინციპის დანერგვას და უნებლიეთ დაშვებული შეცდომების შედეგად გადამხდელების სანქციისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას. საგადასახადო კანონმდებლობის (საქართველოს კანონი 17.09.2010) შესაბამისად მიკრო და მცირე ბიზნესის, ასევე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებს საგადასახადო კოდექსის §286.1-4.-ით გათვალისწინებული საგადასახადო სანქციები არ ეკისრებათ. შედეგად მივიღეთ ამ ტიპის ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა, ეს ის კატეგორიაა რომელთაც დიდი გამოცდილება / კომპეტენცია არ გააჩნიათ ფინანსური ადმინისტრირების კუთხით და შესაბამისად აქვთ ნაკლები შიში ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების არ ცოდნის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების .

ასევე ამ პერიოდს უკავშირდება ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობის ინსტიტუტის დანერგვა, რომლის მნიშვნელობა განუზომელია იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ცდილობენ თავიანთი საქმიანობა ააგონ სამართლიან, ნათელ და შეთანხმებულ თამაშის წესებზე.

გარდა ამისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განთავისუფლებულია გადასახადისაგან, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს აქვს დაბალი გადასახადი ბრუნვიდან გამომდინარე 3% ან 5 % საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც ასევე გაცილებით ნაკლებია ვიდრე მათი ხარჯების ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში. მაგ: საცხოვრის მფლობელმა X-პიროვნებამ მიიღო 10.000 ლარის შემოსავალი 2011 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე,

ხოლო ხარჯებმა შეადგინა 7000 ლარი. ჩვეულებრივ ინდ. მეწარმე X-ი ვალდებულია გადაიხადოს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობის 20% - ამ შემთხვევაში 3000 ლარის 20%, ანუ 600 ლარი. მიკრო მეწარმის სტატუსით ის ამ გადასახადის ნაცვლად გადაიხდის ფიქსირებულ 500 ლარს. ამ ორი კატეგორიის წარმომობით ფაქტიურად ბიზნეს სუბიექტების სეგმენტი კიდევ უფრო გაფართოვდა.

ფაქტიურად, ყველა ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს უკვე რეგისტრირდება მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსით, შესაბამისად ინდ.მეწარმეების რეგისტრაციის დინამიკაში 2011 წლიდან არის კლება.

2013-2014 წლებში კოოპერატივებთან მიმართებაში:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 20 სექტემბერის №2-206 ბრძანებით შეიქმნა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომლის მიზანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით; კოოპერატივის მფლობელებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, საერთაშორისო გრანტებით გათვალისწინებული მხარდაჭერა და ყველაზე მთავარი 12 ივლისი 2013 წ. 4. 130-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 4¹ ნაწილი: „4¹. 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.“ შესაბამისად სააგენტოს შექმნა და ამ პროგრამების პრეზენტაცია იყო ის მთავარი მიზეზი რამაც გამოიწვია ბიზნეს სუბიექტის ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეგისტრაციის ზრდის დინამიკა.

ამრიგად, ჩვენს მიერ ოფიციალურ დოკუმენტებზე და სტატისტიკაზე დაყრდნობით ჩატარებული კომპლექსური, მრავალ კომპონენტური კვლევით გამოვლინდა, რომ ბიზნეს სუბიექტების დამფუძნებლების მიერ ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევის გადაწყვეტილების მიღებისას მათზე მოქმედებს რამოდენიმე ფაქტორი, კერძოდ: სახელმწიფოს მიერ დაანონსებული / მიმდინარე სტრატეგიული პროგრამები,

საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორი, ასევე ბიზნეს სუბიექტის ადმინისტრირებისა და რეგისტრაციის სიმარტივის ფაქტორი. საბოლოო ფაქტორების შეჯერებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნეს სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ გარემოსა და განვითარებაზე, ვინაიდან, ზოგადად სახელმწიფო მიზანმიმართულად იღებს ფისკალურ თუ ზოგადად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელიც ქვეყნის სტრატეგიისა და განვითარების ძირითადი მიზნების შესაბამისია, ამით კი სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართულად ხდება ბიზნესის იმ სეგმენტების წახალისება / მხარდაჭერა, რომელიც პრიორიტეტულია სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიისათვისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებისათვის, ამის დასტურია ჩვენი კვლევის შედეგები, კერძოდ:

კოოპერატივების გასააქტიურებლად საკანონმდებლო აქტების ინიცირება და კოოპერატივების საგადასახადო შეღავათებით სახელმწიფოს მიზანი იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა/წახალისება. შედეგად კოოპერატივების რეგისტრაციების მკვეთრი ზრდითა და გააქტიურებით მივიღეთ სოფლის მეურნეობის დარგების სწრაფი გამოცოცხლება/გამლიერება, ასევე სახელმწიფოს და საერთაშორისო დონორების მიერ სპეციალური პროექტებით ამ სფეროს დონაცია / სუბსიდირების შესაძლებლობა.

შ.პ.ს-ების რეგისტრაციების გამარტივებით სახელმწიფოში გაიზარდა იურიდიული პირებისათვის ბიზნესის ყველაზე მეტად მოქნილი და მიმზიდველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნეს სუბიექტების შ.პ.ს-ების რაოდენობა, რომელთა გადასახადები ქვეყნის ბიუჯეტში არის ყველაზე დიდი მოცულობის, ასევე შ.პ.ს-ების ორგანიზაციული სტრუქტურა არის კლასიკური გაგებით ბიზნესის ინსტიტუციონალური გამოხატულება, შესაბამისად ამ კატეგორიის ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის გაზრდითა და გამლიერებით ქვეყანა ქმნის მყარ ინსტიტუციონალურ საფუძველს ბიზნეს სექტორის სრულყოფისათვის.

კანონმდებლობაში მიკრო და მცირე ბიზნეს სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების წარმოშობით ინდ.მეწარმეებსა და ფიზიკურ პირებს

საშუალება მიეცათ მარტივ ბიზნეს ფორმებად რეგისტრაცია / სტატუსის შეცვლის, ამით კი გაუმარტივდათ ბიზნესის ადმინისტრირება, შეუმცირდათ საბუღალტრო მომსახურების ხარჯები, ასევე შეუმცირდათ გადასახადები და გაიზარდა მათი შემოსავლები, საერთო ჯამში ეს პირდაპირპროპორციულად აისახა მოსახლეობის კეთილდღეობაზე რაც იყო სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი (Abuselidze & Katamadze, 2018).

კვლევის შედეგებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და განხორციელების ირიბი ინსტრუმენტია კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდის წახალისება, იმის მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელი დარგების წახალისება-გაძლიერება სურს სახელმწიფოს, შესაბამისად ბიზნეს სუბიექტების როლი ეკონომიკური გარემოს ფორმაციაში არის მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებულად განხორციელების უმთავრესი ინსტრუმენტი. რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის პრიორიტეტულ მდგომარეობაში ჩაყენება პირდაპირ მოქმედებს სხვა ბიზნეს სუბიექტის საქმიანობაზე და გამომდინარე აქედან ყველა მსგავსი გადაწყვეტილებები სახელმწიფოს მიერ საჭიროებს ვრცელ, სიღრმისეულ ანალიზსა და უფრო ფაქიზ დამოკიდებულებას, ვინაიდან ბიზნეს საქმიანობა თითოეული ცვლილების მიმართ არის სენსიტიური და პირდაპირ მოქმედებს მისი საქმიანობის შედეგებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2010 წლის 17 სექტემბერს მიღებულ საგადასახადო კოდექსში, დღემდე 129 ცვლილებაა შესული, კერძოდ დროთა განმავლობაში კოდექსი აზუსტებდა, აკონკრეტებდა ცალკეულ დეტალებს, ასევე შეიძლება ითქვას საერთო ჯამში საგადასახადო კოდექსი უფრო და უფრო მოქნილი და ლიბერალური ხდება ყოველწლიურად. ამ ყველაფერს ემატება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების კატეგორიაზე გათვლილი საგადასახადო შეღავათები, ამნისტიები და საგადასახადო ჩამოწერები (შემოსავლების სამსახური, 2018).

მნიშვნელოვანი ცვლილება რაც ბიზნესთან მიმართებაში განხორციელდა არის 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ე.წ. „ესტონური მოდელით“ მოგების გადასახადის დაბეგვრა. მართალია, ამ ცვლილებების მიმართ ბიზნესის წარმომადგენელთა და ექსპერტთა მოსაზრებები სხვადასხვა იყო და დღემდე არ წყდება კამათი მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ჩვენი აზრით პოზიტიურია ის, რომ მოხდება ბიზნესის კაპიტალის ზრდა, ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდა და შესაბამისად ეს ყველაფერი პოზიტიურად აისახება ბიზნესის ფინანსურ მონაცემებში. ნეგატიური მხარე უპირველეს ყოვლისა მოგების დეკლარაციის ყოველთვიური მომზადება-გაგზავნა ნაცვლად წელიწადში ერთჯერადი დეკლარირებისა, ამასთანავე გადამხდელებისთვის რომლებმაც არ აირჩიეს 100 % - იანი ძირითადი საშუალებების გამოქვითვის უფლება ან დაჩქარებული ცვეთის მოდელი, ეკარგებათ აკუმულირებული ამორტიზაცია, რომელიც უმცირებდათ მათ გადასახდელ თანხებს (**შემოსავლების სამსახური, 2018**).

2011 წელს ჟან მასოს, ჟანიკა მერიკიულის და პრიიტ ვახტერის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომლებიც იკვლევდნენ ესტონეთს, ლატვიისა და ლიეტუვის კომპანიების (კვლევის მიზანი იყო ესტონეთში 2000 წელს განხორციელებული საგადასახადო რეფორმის შედეგების ანალიზი ბიზნეს სუბიექტების ფინანსურ მონაცემებთან მიმართებაში) კაპიტალის სტრუქტურის, ლიკვიდურობისა და ინვესტიციების პროდუქტიულობას 1996-2009 წლის პერიოდისათვის. ლატვიისა და ლიეტუვის კომპანიები მათ აირჩიეს საკონტროლო ჯგუფად, ვინაიდან შედარებისათვის შერჩეული ქვეყნები უნდა ყოფილიყო ერთნაირი ისტორიის, ინსტიტუტების, ბიზნეს ციკლებისა და სხვა ანალოგიური ფაქტორების. კვლევის შედეგები იყო შემდეგი: საგადასახადო რეფორმამ განსაკუთრებით დადებითი შედეგი გამოიღო მცირე კომპანიებისათვის, რომელთაც ჰყავდათ 50-ზე ნაკლები დასაქმებული. მათი ლიკვიდურობა გაიზარდა რეფორმის შედეგად და ვალდებულებების ნაწილი შემცირდა დაახლოებით 7%-მდე და გაუნაწილებელი მოგების წილი გაიზარდა დაახლოებით 11%-მდე (**Masso&Meriküll, 2011**). ვფიქრობთ, რამოდენიმე წლის შემდეგ (ვინაიდან პირველი

წელია ამ რეფორმის შედეგად) ჩვენთვის საინტერესო იქნება მსგავსი კვლევის ჩატარება და იმ შედეგების ანალიზი რაც ამ რეფორმამ ჩვენს ბიზნეს სექტორს მოუტანა.

ბოლო წლებში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომლებიც თავის მხრივ პირდაპირპროპორციულად უწყობენ ხელს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და დომოუკიდებლობას. ჩვენი აზრით კომპლექსური რეფორმების ეფექტიანობა განაპირობა ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, ბიუროკრატიული მექანიზმების გაუქმებამ, ბიზნეს სუბიექტებზე საგადასახადო ტვირთის შემცირებამ, საბაჟო პროცედურების გამარტივებამ, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებამ, უწყვეტ რეჟიმში კორუფციასთან ბრძოლამ და სხვა მრავალმა. როგორც პროფესორი დავით ნარმანია აღნიშნავს, 2003 წლიდან ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა ასე იყო ბიზნესის რეგისტრაციის დროის შემცირება **(Narmania, 2009, pp 113-121)**. რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია, რომლის დასტურია 2017 წლის მონაცემები, კერძოდ 2017 წლის იანვარში ექსპორტის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა და 44.7 პროცენტი შეადგინა, თებერვალში ზრდა 13.0 პროცენტი იყო, მარტში 36.3 პროცენტი, აპრილში 27.9, მაისში 24.9 პროცენტი, ივნისში - 37.4, ივლისში - 22.4, აგვისტოში - 25.6, სექტემბერში - 27.3, ოქტომბერში 38.3, ნოემბერში - 8.2, ხოლო დეკემბერში - 50.0 პროცენტი. ჯამურად, 2017 წელს ექსპორტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 29.1 პროცენტი შეადგინა **(ფინანსთა სამინისტრო 2018)**. 2017 წელს, საქართველოს 7 555 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 19.0 პროცენტით აღემატება. **(ფინანსთა სამინისტრო 2018)** 2017 წელს ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 9 778.9 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.3 პროცენტით (992.9 მლნ ლარი) მეტია **(ფინანსთა სამინისტრო 2018)**.

ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები იხილეთ ცხრილი N7

ცხრილი N7 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წელი	რაოდენობა (ათასი აშშ დოლარი)
2010	847114,2
2011	1130262,5
2012	1022927,8
2013	1020634,4
2014	1817981,2
2015	1652507,5
2016	1602850,6
2017	1861901,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება ფასდება. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2018 წლისათვის იყო 76,2 და მსოფლიოს მასშტაბით მე-16 ადგილზე. საქართველო ინდექსების მაჩვენებლით ევროპის 44 ქვეყანას შორის მე-9 ადგილზეა. ბოლო წელს მისი მაჩვენებელი გაიზარდა 0,2%-ით, რაც ქვეყანაში განხორციელებული სამართლებრივი რეფორმებისა და ფისკალური პოლიტიკის შედეგია (DB, 2018).

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც სხვა მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია. 2017 წლის IV კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის

მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 10 572,3 მლნ. ლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5,4 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორი 6,1 პროცენტით გაიზარდა (სტატისტიკა, 2017).

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას. კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 (სტრატეგია 06.2014).

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი (MOA, 2018)

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე, ქართული საწარმოების მხარდაჭერაზე და ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განვითარებაზეა ორიენტირებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ "აწარმოე საქართველოში". საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყეს. სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის / არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს:

- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- უძრავი ქონების უზრუნველყოფა
- საკონსულტაციო მომსახურება

აწარმოე საქართველოში მოიცავს ასევე კომპონენტებს, რომლებიც მიმართულია შემდეგი მიმართულებებით: სოფლის მეურნეობის მიმართულება, ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, ფინანსური მხარდაჭერა: საპროცენტო განაკვეთის და გირაოს უზრუნველყოფის თანადაფინანსება.

სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში მოიცავს ინდუსტრიულ და სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებებს. მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის გრანტების გაცემა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - „სტარტაპ საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა

კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.

პროექტის კოორდინატორები არიან "საპარტნიორო ფონდი" და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

2017 წლის მონაცემებით მხარდაჭერილია **3 205** პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მინიმალური მოცულობა შეადგენს **29 155 007** ლარს, ხოლო ჯამურად დასაქმდა **8 000**-მდე ადამიანი, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა **22 942 704** ლარი, **4 909** ბენეფიციარზე (სტატაჰ, 2018).

ასევე აღსანიშნავია პლატფორმა ევროპის მეწარმეთა ქსელზე (EEN) წვდომა, რომელიც ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კავშირების დამყარებას.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის სტაბილური განვითარების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ცალკეული ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირებაა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო პრინციპების დანერგვისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ეკონომიკის რეალური სექტორის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას, სადაც ფინანსურ ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი აკისრია, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით ხდება სხვადასხვა მიმართულებით თანხების მოძრაობა, გადანაწილება და დაფინანსება.

საქართველოში თანხის მოძრაობას ძირითადად უზრუნველყოფს კომერციული ბანკები, რომლებიც თავიანთი სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ ძირითადი მახასიათებელი თითოეული მათგანისათვის არის ის, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა ფინანსურ

ოპერაციაზე, ამასთანავე, მათ აქვთ აღებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ვალდებულება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა, შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და უზრუნველყოს მასზე მოქმედი ფაქტორების კონტროლი და მართვა, უზრუნველყოს ფულადი მასის კონტროლი და სხვა. სწორედ ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით განვიხილოთ დაკრედიტების პოლიტიკის როლი ბიზნეს სუბიექტების კრიზისის განვითარებისას.

ქვეყანაში არსებული მიმდინარე გამოწვევების პარალელურად ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყანაში პირდაპირპროპორციულად იცვლება, მაგ., 22/12/2006 წლის N3993 საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს 2007 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა:

- საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი კონსოლიდაციის, ქვეყანაში ფინანსური შუამავლობის გაუმჯობესებისა და საბანკო სისტემის მდგრადობის შემდგომი ამაღლების მიზნით გაგრძელდეს კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ეტაპობრივი ზრდა.
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“.
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო ოპერაციების, მათ შორის, ღია ბაზრის ყიდვა-გაყიდვისა და რეპო ოპერაციების, განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახელმწიფო ობლიგაციები) და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული საკუთარი ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერტიფიკატები).
- კომერციული ბანკების ლიკვიდობის დონის მართვისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე გამოიყენოს ერთდღიანი

კრედიტებისა და დეპოზიტების მექანიზმი, ბანკთაშორისი საკრედიტო და სადეპოზიტო აუქციონები და განახორციელოს სვოპის ტიპის ოპერაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის მიღებიდან 12 წელზე მეტი გავიდა და ამ პრიორიტეტების აქტუალობა ჯერ კიდევ დღის წესრიგშია და უფრო მეტიც დეპოზიტების დაზღვევისა და ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ეტაპობრივი ზრდა 2017 წლის ბოლოდან გახდა ეროვნული ბანკის პრიორიტეტული საკითხი და 2017 წლის 24 ივლისს დაარსდა სააგენტო „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სააგენტოს მთავარი ფუნქციაა საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკში არსებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების დეპოზიტების დაზღვევა. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებისმიერი კომერციული ბანკის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესის დაწყების შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო 20 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს დეპოზიტორების კუთვნილი თანხების ანაზღაურებას დადგენილი ზღვრის ფარგლებში; ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №61/04-ით კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, ბრძანების გამოცემამდე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უკვე ლიცენზირებული კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს: ა) არანაკლებ 12 (თორმეტი) მილიონ ლარს 2017 წლის 30 დეკემბრამდე; ბ) არანაკლებ 30 (ოცდაათი) მილიონ ლარს 2017 წლის 31 დეკემბრისათვის; გ) არანაკლებ 40 (ორმოცი) მილიონ ლარს 2018 წლის 30 ივნისისათვის; დ) არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მილიონ ლარს 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. ზემოაღნიშნულადან გამომდინარე ჩანს, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არის სახელმწიფო პოლიტიკისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესაბამად განსახორციელებელი ქმედებების ერთობლიობა.

რაც შეეხება მიმდინარე პრიორიტეტებს, 22/12/2017 წლის საქართველოს პარლამენტის N1892-რს დადგენილებით: „საქართველოს 2018–2020 წლების ფულად-

საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, უკვე პრიორიტეტები უფრო ზოგადი ხასიათისაა და მისი ძირითადი დებულებები შემდეგნაირად განისაზღვრა: საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018–2020 წლების განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება პოლიტიკის განაკვეთი, რომლის ცვლილება ეკონომიკას გადაეცემა მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტებით: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები და 2018–2020 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე გარეგანი ფაქტორებიდან მოქმედი შესაძლო რისკებია ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებითი გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე (საქართველოს პარლამენტი, N1892).

დღეისათვის საქართველოში არსებულმა მაღალმა კონკურენციამ ბანკებსა და სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, წარმოშვა ის პრობლემა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არის სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის სხვადასხვა პროდუქტის მომხმარებელი, ხოლო ამ პროდუქტების გაცემის წესი კი, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს. შედეგად, ვღებულობთ გადახდისუუნარო მოსახლეობის საკმაოდ დიდ რაოდენობას, კრიზისში მყოფ ბიზნესკომპანიებს და ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუარესებას.

დღევანდელ საკრედიტო ბაზარზე დაკრედიტების კუთხით, კომერციული ბანკების პარალელურად, წამყვან როლს ასრულებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. მართალია, მათი რესურსი არის ბანკთან შედარებით ძვირი და განსხვავებული, თუმცა, მომხმარებლისათვის გააჩნია დადებითი მხარეებიც, კერძოდ, ძირითადად ფიზიკური პირებისა და ბიზნესკომპანიების იმ კატეგორიისათვის არის მისაღები, რომელთა საქმიანობა და დოკუმენტალური პირობები (ოფიციალური შემოსავლის დადასტურება) არ აკმაყოფილებს ბანკების მოთხოვნებს.

კვლევის ფარგლებში, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე საფინანსო ინსტიტუტების გავლენის მოცულობის განსასაზღვრად ნაშრომში გაანალიზებულია მათი საქმიანობის შედეგები, რომელიც ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ მონაცემებსა და ჩვენს მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალას ბიზნეს სუბიექტებთან ინტერვიუებსა და კომპონენტურ გამოკითხვებს.

ეროვნული ბანკის მიერ 17/04/2018 წელს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ცხრილზე N8 ჩანს ბოლო წლებში რეზიდენტ შინამეურნეობასა და რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების დინამიკა.

ცხრილი N8 რეზიდენტ შინამეურნეობასა და რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების დინამიკა

რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული სესხები წლების მიხედვით	2015	2016	2017
რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული სესხები, სულ	7,728,444,664	9,519,260,478	11,880,383,992
რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული სესხები, ეროვნული ვალუტით	3,893,846,028	4,362,081,040	6,917,115,115
რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული სესხები, უცხოური ვალუტით	3,834,598,636	5,157,179,438	4,963,268,877
რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული რესტრუქტურირებული და ვადაგადაცილებული სესხები, სულ	16,763,962	17,198,832	11,442,984
რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული რესტრუქტურირებული და ვადაგადაცილებული სესხები, ეროვნული ვალუტით	4,896,045	6,056,450	5,953,037
რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული რესტრუქტურირებული და ვადაგადაცილებული სესხები, უცხოური ვალუტით	11,867,917	11,142,382	5,489,947

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 17.04.2018 წერილი

ზემოაღნიშნული მონაცემებით ყოველწლიურად შინამეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობა დაახლოებით 23-24%-ით მატულობს, რაც საკმაოდ დიდი ზრდის ტენდენციის მაჩვენებელია, ხოლო 2017 წელს შეინიშნება მკვეთრი ცვლილება, კლება „რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული რესტრუქტურიზებული და ვადაგადაცილებული სესხები, უცხოური ვალუტით“ პუნქტში და შესაბამისად მომატებულია პუნქტი „რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული სესხები, ეროვნული ვალუტით“ იხილეთ ცხრილი N2.5. ეს კი პოზიტიური ტენდენციის მაჩვენებელია, ვინაიდან ამ მონაცემებით ჩანს, რომ მოხდა პრობლემური სასესხო პორტფელის, რომელიც იყო უცხოურ ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში გადატანა და შესაბამისად ვალუტის კურსის ცვალებადობით გამოწვეული ფინანსური კრიზისის რისკ ფაქტორები ერთგვარად შემცირებულია. ეს კი შესაძლოა 2017 წელს სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის გამყარებისაკენ მიმართული ღონისძიებების შედეგი იყოს.

ცხრილი N9 რეზიდენტ შინამეურნეობაზე გაცემული რესტრუქტურიზებული და ვადაგადაცილებული სესხები

	2015	2016	2017
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული სესხები, სულ	7,708,677,028	8,961,012,193	9,862,801,785
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული სესხები, ეროვნული ვალუტით	1,761,553,348	2,138,594,668	2,564,596,317
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული სესხები, უცხოური ვალუტით	5,947,123,680	6,822,417,525	7,298,205,468
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული რესტრუქტურიზებული და ვადაგადაცილებული სესხები, სულ	133,616,700	183,959,144	149,912,437
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული რესტრუქტურიზებული და ვადაგადაცილებული სესხები, ეროვნული ვალუტით	27,280,693	32,920,532	30,373,730
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული რესტრუქტურიზებული და ვადაგადაცილებული სესხები, უცხოური ვალუტით	106,336,006	151,038,613	119,538,707

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 17.04.2018 წერილი

რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (ბანკების გარდა) გაცემული სესხები, საშუალოდ წლიურად 13%-ით მატულობს რაც ასევე მზარდი ტენდენციის მაჩვენებელია. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული 9,862,801,785 ლარიდან მხოლოდ 2,564,596,317 ლარია (დაახლოებით 26%) ეროვნულ ვალუტაში გაცემული, დანარჩენი კი უცხოურ ვალუტაშია გაცემული. ამ ფაქტმა კიდევ ერთი საკითხი დასვა, კერძოდ, რამდენად მოქმედებს ვალუტის კურსის ცვალებადობა უცხო ვალუტაში სესხის მქონე კომპანიების საქმიანობაზე, რომლის ანალიზის შედეგებიც წარმოადგენილია ნაშრომში.

დაკრედიტების პოლიტიკა კომერციულ ბანკებში ძირითადად ერთნაირია, თუმცა განსხვავებულია მათი საკრედიტო პროდუქტების გაყიდვისა და კლიენტების მოზიდვის სტრატეგიები. ბანკები მსესხებლებისაგან მოითხოვენ დოკუმენტაციათა ჩამონათვალს, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს შემოსავლის წყაროს, ამასთანავე ბანკი სოლიდარული თავდებობებით ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს რისკები, მიკროსაფინანსოს შემთხვევაში კი არის შემდეგი მიდგომა: შემოსავლების დასადასტურებლად მოითხოვება მინიმალური საბუთები, რიგ შემთხვევაში, საერთოდ არაა საჭირო დოკუმენტური დადასტურება, ასევე, უზრუნველყოფის საკითხიც არის გამარტივებული, მაგრამ სამაგიეროდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამ რისკებს აკომპენსირებს მაღალი საპროცენტო განაკვეთითა და საკომისიოებით.

რა თქმა უნდა, მსესხებელს, რომელსაც არ შეუძლია მოთხოვნილი დოკუმენტაციისა თუ სხვა პირობების დაკმაყოფილება, რომელსაც კომერციული ბანკი ითხოვს, ურჩევნია სწრაფად, მარტივი და მინიმუმამდე დაყვანილი სესხის განხილვის პროცესებით აიღოს კრედიტი და ამ გზის არჩევით იძულებულია თანხმობა განაცხადოს მისთვის ზოგჯერ მიუღებელ კრედიტის დაფარვის პირობებზე, იგულისხმება სესხის მოკლე ვადა და დიდი მოცულობის ყოველთვიური შენატანი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, გაცემის მაღალი საკომისიო და სხვა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აფინანსებენ მცირე ბაზრობების მოვაჭრეებს, ხელოსნებს, სოფლის მოსახლეობას, კერძო ტაქსის მძღოლებს და სხვა, რომელთა შემოსავლის დადასტურება ბანკისათვის პრობლემაა,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში კი დაფინანსება ხდება ზეპირი გამოკითხვის მეთოდით, ან ე.წ. „შავი ჩანაწერების“ საფუძველზე. შემოსავლების შესახებ კლიენტისაგან მოწოდებული დაუდასტურებელი ინფორმაციის შედეგად დაკრედიტების გაზრდილი რისკის გათვალისწინებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცდილობს რისკის დაკომპენსირებას სხვა საშუალებით. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში, ძირითადად გამოიკვეთა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაკრედიტების პოლიტიკის შემდეგი მიდგომები: მოკლევადიანი სესხები (ძირითადად ერთი ან ორწლიანი), სესხის მოცულობასთან შედარებით მაღალი ღირებულების გირაო (იპოთეკით დატვირთული ქონების ღრებულება ხშირად ორჯერ აღემატებოდა სესხის მოცულობას), სესხის გაცემის მაღალი საკომისიოები (კომერციულ ბანკებთან შედარებით), მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ჯგუფური თავდებობები და სხვა.

ფაქტია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული კლიენტისათვის მისაღებია ფულადი რესურსის მიღების მომენტში, როცა ის იკმაყოფილებს იმ მომენტისათვის არსებულ ფინანსებზე მოთხოვნებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე დროში ეს ყველაფერი იძლევა უკუეფექტს, რომელიც რიგ შემთხვევაში, იწვევს კლიენტის/მომხმარებლის გამოუსწორებელ, გადაულახავ პრობლემას – კრიზისს (მაგ., ჩვენი აზრით, მაღალი საპროცენტო განაკვეთისა და მოკლევადიანი სესხის პირობებში, კლიენტს უწევს ყოველთვიურად ბიზნესიდან თანხის ამოღება სესხის გრაფიკით გათვალისწინებული შენატანის დასაფარად, რომელიც აკლდება საბრუნავ კაპიტალს და მიმდინარე მოგება ვერ ახერხებს მის დაკომპენსირებას, შედეგად კი ბიზნესს ეწყება ფინანსური რესურსის დეფიციტი და იწყება კრიზისი: ვერ იძენს საბრუნავ საშუალებებს, სასაქონლო მარაგებს და შესაბამისად, პირდაპირპროორციულად უმცირდება ბრუნვა და მოგება. მაშინ, როცა გრძელვადიანი სესხის შემთხვევაში რეალიზაციისა და მოგების ციკლი ახერხებს ფინანსური რესურსის კომპენსირებას). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვის სტადის პერიოდში ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა ასევე ერთი ტენდენცია, კერძოდ სესხის მიზნობრიობების კლასიფიკაციის დროს საბრუნავი საშუალებებისათვის აღებული სესხის ვადები იყო ძირითადად 2 წელზე მეტი გადახდის გრაფიკით.

ბანკების საქმიანობაზე მსჯელობისას უნდა დაფიქსირდეს ის ფაქტიც, რაც პირდაპირ უკავშირდება საფინანსო ინსტიტუტების მიერ არაკეთილსინდისიერ და უპასუხისმგებლო მომსახურეობას. კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტების შესაძლო არაკეთილსინდისიერი და პროდუქტების გაყიდვაზე ორიენტირებული ქცევის პირობებში, იზრდება მომხმარებლების „გადატვირთვა“ პროდუქტებით. ფინანსური ინსტიტუტები ხშირად იყენებენ ე.წ. პაკეტურ შეთავაზებას, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის ერთზე მეტი პროდუქტის შეთავაზებას სპეციალურ ფასად – რამდენიმე პროდუქტის ერთდროულად შეძენის შემთხვევაში მომხმარებელი იხდის იმაზე ნაკლებ საკომისიოს, ვიდრე გადაიხდიდა აღნიშნული პროდუქტების ცალ-ცალკე შეძენისას. თუმცა, საყურადღებოა, რომ მსგავსი შეთავაზებისას, უმეტესწილად, ფასს განსაზღვრავს პროდუქტების რაოდენობა და მათი შეძენის, და არა სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, „ნაკლები ფასით“ მოზიდული მომხმარებელი ყიდულობს რამდენიმე პროდუქტს, რომელთაგან შესაძლოა რეალურად მხოლოდ ერთი სჭირდებოდეს.

აღნიშნულის მიზეზი, ასევე შეიძლება იყოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაყიდული პროდუქტების რაოდენობაზე ორიენტირებული, თანამშრომელთა წახალისების „საბონუსე“ სისტემა, რომელიც ასევე მიგვაჩნია ხშირ შემთხვევაში უპასუხისმგებლო დაკრედიტების პროვოცირების მიზეზად.

სესხებთან მიმართებაში აგრესიულ მარკეტინგულ ღონისძიებებთან და გამძაფრებულ კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ: „დაკრედიტების კუთხით, 2016 წელთან შედარებით, 2017 წელი საბანკო სისტემისთვის გაზრდილი აქტივობით გამოირჩეოდა. ძირითადი ზრდა საცალო (22.7%) და მცირე და საშუალო პორტფელის (21.1%) სეგმენტებზე მოდიოდა. მთლიანი შიდა პროდუქტისა და დასაქმებულთა საშუალო შემოსავლების ზრდის პარალელურად, საცალო სეგმენტის მაღალი ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად განაპირობა გამძაფრებული კონკურენციის შედეგად სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე ბანკების მიერ საკრედიტო სტანდარტების მნიშვნელოვანმა შემსუბუქებამ და აგრესიულმა მარკეტინგმა. 2017 წლის მანძილზე

ბანკებმა ბაზარზე არაერთი აქცია გამოიტანეს, რომელთა ფარგლებშიც მომხმარებლებს უფრო შერბილებული პირობებით შეეძლოთ სამომხმარებლო სესხების აღება. მნიშვნელოვნად შერბილებული საკრედიტო სტანდარტების პასუხად ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს მთელი წლის მანძილზე არაერთი რისკიანი საკრედიტო პროდუქტი შეუჩერა/აუკრძალა.“ (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017, გვ.14).

პროპორცია შემოსავალსა და ყოველთვიურ შენატანს შორის, ფინანსური ინსტიტუტების მიერ უნდა იყოს კონტოლის პრიორიტეტული მიმართულება, რომ გამოირიცხოს მსესხებლების მიზანმიმართული ფინანსური წნეხი.

უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 17 აპრილის N65/04 ბრძანებით, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით ცვლილებები შევიდა "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში." ცვლილებებით იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას. მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების **2008/48/EC** დირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბერამდე უნდა დანერგოს (**EU2008/48/EC**).

„ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ პროდუქტის მახასიათებლებისა და შესაბამისად, მასთან ასოცირებული რისკების გაანალიზებას, ასევე სხვადასხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ

შეთავაზებული მსგავსი პროდუქტების შედარებას, რაც ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი, ასევე მომხმარებლისთვის ფინანსურად მაქსიმალურად ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. თუმცა, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის პირობებშიც კი, შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების არქონის გამო, მომხმარებელმა შესაძლოა ვერ შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ კეთილდღეობაზე“ (კოვზანაძე, კონტრიძე, 2014, გვ.41).

აქვე მოვიყვან რამდენიმე განმარტებას პასუხისმგებლიან დაკრედიტებასთან დაკავშირებით, მაგ. სლოვენის ბანკების ასოციაციის მიერ გამოცემულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კომერციული ბანკების საქმიანობას სლოვენიაში აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წარმატებაზე, ამიტომ, ბანკების საქმიანობა უნდა ემყარებოდეს პასუხისმგებლიან დაკრედიტებას, რომელშიც მოიაზრება: კლიენტების წინაშე პასუხისმგებლობა, რომელიც გულისხმობს პროფესიულ მიდგომას და მაღალ ანალიტიკურ უნარებს, კლიენტის საჭიროებების კარგად ცოდნას, გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც ემყარება რისკების ანალიზს, მაღალეთიკურ ნორმებს და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ეს ასპექტები ემყარება მაღალ ადამიანურ ფასეულობებსა და სოციალურ პასუხისმგებლობას (BAOS, 2015, p.2).

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლიურ ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ: „2017 წლის ოქტომბერში ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებით საზედამხედველო კაპიტალის 15 პროცენტამდე შეიზღუდა ისეთი უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა, რომლებზეც ბანკების მხრიდან არ ხდება მსესხებლის გადახდისუნარიანობის დეტალური ანალიზი და როდესაც გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტზე“.

ბანკებისგან განსხვავებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ ზოგიერთი სპეციფიკა, რაც შეიძლება გახდეს უპასუხისმგებლო დაკრედიტების მიზეზი, რასაც შეუძლია შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ესენია: მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიერ შემოსავლების კონტროლის მინიმალური მოთხოვნა;

- მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- სესხის გაცემის გამარტივებული პროცედურები;
- მომსახურებისა და სესხის გაცემის მაღალი საკომისიოები;
- ბიზნესსუბიექტის ზრდის საშუალებათა შეზღუდვა და მოკლევადიან ურთიერთობაზე ორიენტირებული პოლიტიკა.

ამრიგად, ფინანსური ინსტიტუტების როლი ბიზნესის დაკრედიტების პროცესში უმნიშვნელოვანესია ბიზნესსაქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტის უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბიზნეს სუბიექტის (შ.პ.ს; ს.ს; ი/მ და სხვა) გაუთვალისწინებელ, ფორს-მაჟორულ, კრიზისულ სიტუაციაში ჩაგდება, რისი შედეგიც ხშირ შემთხვევაში ბიზნესსუბიექტის გადახდისუნარიობა და საქმიანობის შეწყვეტაა. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში საქმიანობის შეწყვეტას თან ახლავს სესხის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები. სესხის ვადაგადაცილება იწვევს დამატებით ჯარიმებს, რომლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში იწყება კომპანიის მიმართ სასამართლო პროცედურები, რომლის მეშვეობითაც ხდება სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების ბანკის მიერ ჩამორთმევა და შემდგომ რეალიზება. ზემოაღნიშნული სტადიების დეტალური განხილვა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დამკვიდრება, რაც გულისხმობს ბანკის / საფინანსო ინსტიტუტის მიერ კლიენტის ფინანსური მდგომარეობის სრულფასოვან და დეტალურ ანალიზს. კლიენტის / კომპანიის ფინანსური ანალიზი უნდა მოიცავდეს კრედიტის მიზნობრიობის დადგენას, თანხის იმ მოცულობის განსაზღვრას და სესხად გაცემას, რომლის გადახდისუნარიანობა აქვს კლიენტს.

სწორედ ამ ფაქტორების უგულვებელყოფით შეიძლება ჩამოვაცალიბოთ უპასუხისმგებლო დაკრედიტების განმარტება კერძოდ, უპასუხისმგებლო დაკრედიტება არის ფინანსური ინსტიტუტის მიერ პოტენციური კლიენტის დაკრედიტება რისკების განსაზღვრისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასების გარეშე, რომელიც მოიცავს

შესაძლო პროგნოზირებადი რისკების უგულვებელყოფას ან ხელოვნურ იგნორირებას, არაკეთილსინდისიერი და მაქსიმალურ ფინანსურ მოგებაზე გამიზნული საბანკო პროდუქტის გაყიდვის მიზნით (აბუსელიძე, ქათამაძე 2016).

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება უნდა იყოს საფინანსო სექტორის პრიორიტეტი, ვინაიდან სწორედ ასეთი დაკრედიტებაა ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომლის დაუცველობამ შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნესსექტორში კრიზისი, რაც ადეკვატურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის შედეგებზე.

საფინანსო ინსტიტუტების პროდუქტები უნდა იყოს გამჭვირვალე, ხოლო პირობები მკაფიოდ გაწერილი; მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები უნდა იყოს მოქნილი და გასაგები ტერმინოლოგიით შედგენილი; ამ სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი რეგულაციის დაწესება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ფინანსურ ურთიერთობათა ნიუანსებში.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება მაქსიმალურად უნდა იყოს კონტროლირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, და ასევე, ცალკეულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა დაამკვიდრონ სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტები, რაც უპირველესად, პასუხისმგებლიან დაკრედიტებას და მომხმარებელთა კეთილსინდისიერ მომსახურებას უზრუნველყოფს.

- უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს კომპანიის კრიზისულ მდგომარეობაში შეყვანა.
- არასწორმა დაკრედიტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს კომპანიის კრიზისი.
- დაკრედიტების დროს სესხის მიზნობრიობა უნდა იყოს კარგად შესწავლილი და უნდა უზრუნველყოს კონკრეტული პროექტის სრული განხორციელება.
- სწორი დაკრედიტება უზრუნველყოფს კომპანიის მდგრად განვითარებას (აბუსელიძე, ქათამაძე 2016).


დაკრედიტების სწორი პოლიტიკა თავის თავში მოიაზრებს ასევე სავალუტო რისკების განსაზღვრასაც, ვინაიდან ვალუტის კურსის ცვალებადობა ასევე შესაძლებელია გახდეს ბიზნეს სუბიექტის კრიზისის მიზეზი.

ვალუტის კურსის არამდგრადობა და ცვალებადობა ბიზნეს სუბიექტებისათვის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა საქართველოში. ვალუტის კურსის ცვალებადობა იწვევს რიგი საკითხების ფორს-მაჟორულ რეჟიმში განხილვისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, განსაკუთრებით კი მათთვის ვისი ყოველდღიური საქმიანობა ვალუტასთან არის დაკავშირებული. ასევე ეს ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, დოლარის კურსის ზრდასთან ერთად იზრდება სამომხმარებლო ფასები,

ვალუტის კურსზეა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის მთელი სისტემა, სწორედ ვალუტის კურსის მიხედვით ახდენენ ფასების სტაბილიზაციასა და დადგენას როგორც იმპორტიორები ასევე ექსპორტიორები, ამიტომაც ცვალებადი და არასტაბილური ვალუტის კურსი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

რაც შეეხება უშუალოდ ლარის კურსს დოლართან მიმართებაში ბოლო 8 წლის განმავლობაში, მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება იხ., დიაგრამა N2

დიაგრამა N2 ვალუტის კურსის ცვალებადობის დინამიკა 2010-2018 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი. იგი წარმოადგენს მთავრობისგან დამოუკიდებელ ორგანოს და აღნიშნულ პროცესში ხელმძღვანელობს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონითა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ფულად-საკრედიტო და სავალუტო საკითხების განხილვა ხდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს გასატარებელი მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტებით საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. საქართველო წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას, რომელიც არის მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი და არ გააჩნია ოპტიმალური სავალუტო სივრცე პარტნიორ ქვეყნებთან. შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკის რყევები აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც. მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისათვის მცურავი გაცვლითი კურსი ასრულებს შოკების მშთანთქავ ფუნქციას, რამდენადაც საგარეო შოკის შემთხვევაში გაცვლითი კურსის ცვლილება ასუსტებს აღნიშნული შოკის გავლენას რეალურ ეკონომიკაზე - ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე. საქართველოსთვის მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი არის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმი (**ეროვნული ბანკი 2017**).

საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ვკითხულობთ: „ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა“ (**ორგანული კანონი 2009**).

მიუხედავად კანონის ამ იმპერატიული ნორმისა, უცხოური ვალუტის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე საკმაოდ მაღალია და უნდა აღინიშნოს, რომ ამას

განაპირობებს ძირითადი მსხვილი სავაჭრო ოპერაციების უძრავი თუ მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, გირავნობის, სასესხო გარიგებების და სხვათა უცხოურ ვალუტაში წარმოება. შესაბამისად ვალუტის ცვალებადობა ადეკვატურად და პირდაპირპროპორციულად აისახება ზემოაღნიშნულ ოპერაციებზე.

რაც შეეხება ზოგადად ვალუტის კურსს და მის განსაზღვრას, როგორც მკვლევარი თ. ბაიაშვილი აღნიშნავს: „თავისუფალი ბაზრის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. გრძელვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის დინამიკაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა შედარებითი ფასების დონეები, სავაჭრო ბარიერები, ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელზე მომხმარებლის განსხვავებული პრეფერენციები და პროდუქტიულობა. შესაბამისად, მოვლენები, რომლებიც აღნიშნული ფაქტორების ცვლილებას განაპირობებს ასევე აისახება გაცვლითი კურსის ცვლილებაში, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დროებითი, ასევე პერმანენტული ხასიათის.“ (ბაიაშვილი 2015, გვ.42).

საქართველოს ეროვნული ბანკი განმარტავს, რომ მოქმედი გაცვლითი კურსი მთლიანად განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან, საინვესტიციო ფონდებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის (ეროვნული ბანკი, 2017ა).

„ფული განაგებს ფინანსებს, ისევე როგორც ფინანსები არეგულირებს ეკონომიკას. თანამედროვე ძლიერ ფინანსიალიზებულ ეკონომიკაში, რომელიც ეყრდნობა სესხს, ფული არ არის მხოლოდ „ვუალი“ საყოფაცხოვრებო ოპერაციებში, როგორც ნეოკლასიკურ თეორიას მიაჩნია, მაგრამ არის კონსტიტუციური მთელი ეკონომიკისათვის, არა მხოლოდ აძლევს ტრანზაქციების შესაძლებლობას, არამედ დაფინანსების და უფრო ხშირად აღემატება წინასწარ დაფინანსებას, ინვესტირებას და მოხმარებას. ფულის გაცემას აქვს როგორც წინასწარი განმანაწილებლობითი ასევე წინა სადისტრიბუციო ფუნქცია“ (Huber, 2014). მიუხედავად ქვეყნის შიგნით არსებული სხვადასხვა ფაქტორისა, „ეროვნული სავალუტო სისტემა მჭიდრო კავშირშია მსოფლიო

სავალუტო სისტემასთან საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ორგანიზების ფორმით, რომელიც განმტკიცებულია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით“ (Красавина, Алибегов, 2000, ст.263).

საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტებით, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება აისახოს ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე და, საბოლოოდ, გავლენა მოახდინოს რეალურ ეკონომიკაზე. საბანკო სისტემა ამჟამად ლარის მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის პირობებში ოპერირებს. შესაბამისად, კომერციული ბანკები მათთვის საჭირო დამატებით სახსრებს ეროვნული ბანკის მთავარი ინსტრუმენტის - რეფინანსირების სესხების საშუალებით ავსებენ. ეროვნული ბანკი მოკლევადიან ლიკვიდობას საბანკო სისტემას ერთკვირიანი და ერთთვიანი რეფინანსირების სესხების აუქციონების მეშვეობით საჭირო ოდენობით აწვდის. საპროცენტო განაკვეთების მერყეობის კიდევ უფრო შემცირებისა და ბანკთაშორისი ბაზრის ეფექტიანობის ზრდის წახალისების მიზნით, 2017 წლის 10 აგვისტოდან ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება როგორც პოლიტიკის განაკვეთს +/- 1 პროცენტული პუნქტი, მანამდე არსებული პოლიტიკის განაკვეთს +/-1.5 პროცენტული პუნქტის ნაცვლად. ამგვარად, ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები პოლიტიკის განაკვეთის გარშემო მერყეობს (ეროვნული ბანკი, 2017ბ).

საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2009 წლიდან ეროვნული ბანკი გადავიდა მოცულობაზე დაფუძნებულ სავალუტო ინტერვენციებზე. დღესდღეობით ინტერვენციების განხორციელება ხდება ბლუმბერგის აუქციონის სისტემის საშუალებით. ეს წარმოადგენს გაცვლითი კურსის პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას. რეფორმამდე არსებული ინტერვენციების მექანიზმისგან განსხვავებით, ახალი სავალუტო აუქციონები ეფუძნება საბაზრო პრინციპებს. სავალუტო აუქციონების შემოღებამ გაზარდა გაცვლითი კურსის მოქნილობა და მოკლევადიანი მერყეობები არაპროგნოზირებადი გახდა. შედეგად, შემცირდა სპეკულაციური წნეხი სავალუტო ბაზარზე და ასევე იკლო ეროვნული ბანკის

ინტერვენციების საჭიროებამ. რეფორმების შემდგომ ინტერვენციების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა თვეში 17-დან 4-მდე, ხოლო 2017 წელს ინტერვენციები თვეში საშუალოდ ერთზე ნაკლები იყო (ეროვნული ბანკი, 2018).

საგარეო ვაჭრობა, განსაკუთრებით ექსპორტი, ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სწორედ ის არის პირდაპირი არხი უცხოური ვალუტის შემოდინებისა, შესაბამისად ვალუტის ცვალებადობის ეკონომიკაზე გავლენის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდის საგარეო ვაჭრობის მონაცემების განხილვა. შემდეგი პარაგრაფში განხილულია ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე მოქმედი ზოგადი ფაქტორების ანალიზი.

§2.2. საქართველოს ეკონომიკურ გარემოს ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

წინა პარაგრაფებში განხილული ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემდეგ, ბიზნეს სუბიექტების კრიზისის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის სრულყოფისათვის საჭიროა ეკონომიკური პროცესებისა და ზოგადად ეკონომიკური გარემოს ფორმირების პროცესში სხვადასხვა ფაქტორების გალენის ანალიზი. ამისათვის ჩვენ წინამდებარე პარაგრაფში განვიხილავთ ექსპორტის, იმპორტის, ტურიზმის, ვალუტის კურსის ცვალებადობისა და ბიზნეს სუბიექტების მოქმედების სტრატეგიების მიმართულებებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა თითქმის მიუახლოვდა 2014 წლის მონაცემებს, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ორწლიანი კლების ტენდენცია, რომლის პირველი დადებითი ნიშნულისკენ გადახრა სწორედ 2017 წელს მოხდა.

იგივე სიტუაცია სხვა პარამეტრებშიც, კერძოდ საქონლის რეგისტრირებულ ექსპორტსა და რეგისტრირებულ იმპორტში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ფაქტორიც არის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ვალუტის კურსის სტაბილიზაციის პროცესში. (ცხრილი N10)

ცხრილი N10 საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი და იმპორტი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018.03
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10710.6	2823.8
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2113.1	2728.0	740.3
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი(CIF)	5236.0	7072.3	8056.4	8022.7	8601.8	7300.3	7294.6	7982.7	2083.4
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3558.7	-4885.8	-5679.7	-5112.4	-5740.8	-5095.6	-5181.5	-5254.7	-1343.1
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1380.3	1693.0	1606.4	1812.1	1873.3	1637.4	1657.1	2063.0	554.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება კიდევ ერთ ფაქტორზე-ტურიზმზე, ვინაიდან ასევე ტურიზმი არის სფერო, სადაც პირდაპირი გზით ხდება უცხოური ვალუტის შემოდინება. ცხრილი მოიცავს ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურიზმის სფეროში დამატებით ღირებულების შემოსავალსა და უცხოური ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციების მოცულობასაც (ცხრილი N11)

ცხრილი N11 ტურიზმი, შემოსვლელთა რაოდენობა

	2013	2014	2015	2016	2017
შემოსვლელთა რაოდენობა	5,392,303	5,515,559	5,901,094	6,360,503	7,556,273
შემოსავლის რაოდენობა ათასი აშშ დოლარში ეროვნული ბანკის მონაცემებით	1,719,700	1,787,140	1,935,915	2,166,334	2,751,280

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილური მატება არის საერთაშორისო ვიზიტორების კუთხით. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია ჩვენი ფაქტორების ანალიზისათვის, რადგან ვალუტის მკვეთრი რყევის ანალიზისას ეს მონაცემიც იქნას გათვალისწინებული.

როგორც დოქტორი ლ. კრასავინა აღნიშნავს, ზოგადად არსებობს სავალუტო რისკის დაზღვევის მსოფლიო პრაქტიკა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სავალუტო რისკის დაზღვევის მიზნით გამოიყენებოდა ოქროსა და სავალუტო დათქმები. ოქროს დათქმა - დაცვითი დათქმის სახეობაა, რომელიც ემყარება გადასახდელი ვალუტის ოქროს ღირებულებასთან მიმართებაში დათვლას შეთანხმების დადების დღეს და შესრულების დღეს ოქროს ღირებულების პროპორციულად გ

ადაანგარიშებას.

პირდაპირი ოქროს დათქმის დროს ვალდებულების თანხა ესადაგებოდა ოქროს წონით ღირებულებას (მეორე მსოფლიო ომის დროს 1 ტ ხორბალი უდრიდა 65-70 გრ სუფთა ოქროს) იყო ასევე ირიბი ოქროს დათქმა-როცა ვალდებულების თანხა გადაანგარიშდებოდა ოქროს ფასის შემცირების პროპორციულად, გადასახდელი თანხა მატულობდა ოქროს ფასის კლებასთან ერთად ან იკლებდა ოქროს ფასის მატების შემთხვევაში. ზოგიერთ ქვეყანაში ოქროს დათქმის გამოყენება აკრძალული იყო კანონმდებლობით (Красавина, 2000, ст.263).

როცა არის საშიშროება მსოფლიო ფინანსური სისტემის კრიზისის, გლობალური საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური სისტემების წესები ხდება გარდაუვალი. კავშირი ეროვნულ საფინანსო-საკრედიტო მოვლენებსა და ფინანსურ რყევებს შორის არის: ფასებს შორის ინფლაციური ან დეფლაციური ცვალებადობა, ვალუტის კურსის მკვეთრი ცვალებადობა როგორც ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ვალუტის გაცვლითი კურსის კრიზისი ვრცელდება ერთი ქვეყნიდან მეორეზე, რომელიც ემუქრება სისტემურ კრიზისში გადაზრდას, ფინანსური კრიზისი, რომელიც გამოხატულია ერთი ქვეყნის ფინანსური ცენტრის მეორეში გადატანით ან ბანკების გადატანით ერთი ქვეყნიდან მეორეში (მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი, 2008).

საინტერესოა დოქტორ მ. ჩიქობავას მოსაზრება სავალუტო კრიზისთან დაკავშირებით, ნაშრომის მიხედვით, 2008 წლის დასაწყისში გარდაუვალი ჩანდა დოლარის კრიზისი. ვალუტა თითქმის ყველა ფრონტზე თმობდა პოზიციებს. დოლარის კურსის ვარდნის ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს აშშ-ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება. მაგრამ, როდესაც აშშ-ში კრიზისი ძალას იკრებდა, ბაზრის პრიორიტეტები შეიცვალა და აშშ-ის ვალუტამ მოახდინა ყველა ადრინდელი დანაკარგების კომპენსირება. ბოლო სამი წლის განმავლობაში განწყობის გლობალური ცვლილება არაერთხელ მოხდა, თანაც, იყო მომენტები, როდესაც ამერიკული ეკონომიკა ავლენდა გაჯანსაღების ნიშნებს, ხოლო დოლარი უფასურდებოდა. 2011 წლის შემოდგომაზე, როდესაც სულ უფრო მწვავედებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, დოლარი კვლავ „ფორმაში“ იყო. თუ ამერიკაში ჯერ-ჯერობით კვლავ პრობლემებია, მაშინ ლოგიკურად ისმის კითხვა: რატომ იზრდება დოლარის კურსი კრიზისის დროს? აქ ყველაფერი საკმაოდ მარტივადაა. ფინანსურ ბაზარზე არსებული კრიზისი ინვესტორებს აიძულებს რისკიანი აქტივებიდან ფინანსური რესურსები გადაიტანონ შედარებით უსაფრთხო აქტივებში. დოლარი იაპონურ იენასთან და შვეიცარიულ ფრანკთან ერთად ტრადიციული ვალუტაა, რომელიც თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს. სწორედ ეს ახდენს აშშ-ის ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის პროვოცირებას, რაც უზრუნველყოფს კიდევ მის სიმყარეს (ჩიქობავა, 2012, გვ.61).

რობერტ მუნდელი სავალუტო პრობლემის გადაჭრის საშუალებად ერთიან მსოფლიო ვალუტას/ფულს ასახელებენ, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის მისაღებია ქართველი მეცნიერის იზოლდა ჭილაძის მოსაზრება: „...აუცილებელია ყველა ქვეყანას საკუთარი ფულის ნიშანი ანუ ვალუტა გააჩნდეს, რათა ქვეყანაში შექმნილი ღირებულება (ფიზიკური და გონებრივი ძალისხმევა). სამართლიანად გადაიცვალოს სხვა ქვეყნების მიერ შექმნილ ღირებულებაზე (ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევაზე)... ერთიანი მსოფლიო ვალუტის დაბეჭდვა მცდარი კურსია. არაკონზომიერია. ერთიანი ვალუტა მსოფლიო ფულის ჩამოყალიბება-წარმოშობის ევოლუციურ, ბუნებრივ პროცესებს შეაფერხებს. იგი წარმოშობს მრავალ გადაუჭრელ პრობლემას, კერძოდ:

უარყოფს მსოფლიოს დემოკრატიული განვითარების კონცეფციას; ზღუდავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს; გააქრობს ეროვნულ და შესაბამისად, საერთაშორისო პასუხისმგებლობებს, რითაც საყოველთაო ნიჰილიზმს დაამკვიდრებს; პერმანენტულ ხასიათს მისცემს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს. ყოველივე ამის შედეგად მსოფლიო მოექცევა საყოველთაო ფინანსური და უნდობლობისა და ქაოსის „ჯადოსნურ წრეში“, საიდანაც გამოსვლა სულ უფრო შეუძლებელი გახდება“ (ჭილაძე, 2012, გვ.330).

ყველა ზემოაღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია დავადგინოთ ბიზნეს სუბიექტებზე ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენის ძირითადი მახასიათებლები, ასევე გავანალიზოთ იმ ღონისძიებების სტრატეგია, რომლებსაც კომპანიები ახორციელებენ რისკების პრევენციისა თუ მათი მართვის დროს, ასევე დავადგინოთ თუ რა ეფექტი აქვს ამ ღონისძიებებს და საბოლოოდ კომპლექსურად განვსაზღვროთ ვალუტის ცვალებადობის გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე და ზოგადად ეკონომიკაზე.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე და მოგვხდინა მათ მიერ დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების ანალიზი, ქვის სტადის პერიოდში ჩაღრმავებული ინტერვიუების პარალელურად კვლევის ფარგლებში მოხდა ჯამში 30 მდე ბიზნეს კომპანიის ინტერვიუება / გამოკითხვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სეგმენტები: ვაჭრობა, წარმოება, დისტრიბუცია, ექსპორტი, მომსახურება.

კომპანიების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო:


- წლიური ფულადი ნაკადების ბრუნვა;
- ბიზნესის აქტივების, საბალანსო მონაცემების მოცულობა (მცირე, საშუალო და დიდი).

მასალების მოპოვების დროს ყურადღება გამახვილებული იყო შემდეგ საკითხებზე:

- ბიზნესზე ვალუტის ცვალებადობის გავლენა;
- სესხის არსებობა უცხოურ ვალუტაში;
- ბრუნვის მოცულობის ცვლილება ბოლო სამი წლის განმავლობაში;
- ვალუტის ცვალებადობის გავლენისგან დაცვის მექანიზმები.

რაოდენობრივი მეთოდით მიღებული შედეგების დასაზუსტებლად, ცალკეულ შემთხვევაში გამოყენებული იყო ინტერვიურების მეთოდი. შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა N3 დაქირავებული ფინანსური მომსახურებით მოსარგებლე ბიზნეს სუბიექტების ხვედრითი წილი




წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ კვლევაზე დაყრდნობით.

კომპანიების 90% ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ მიმდინარე საქმიანობისას არ სარგებლობენ საკონსულტაციო მომსახურებებით და მხოლოდ აუდიტორებისას ან საგადასახადოსთან დაკავშირებული პრობლემებისას უხდებთ მათთან კონსულტაცია.

კომპანიების 10% ხანდახან გადის ერთჯერად ფინანსურ კონსულტაციებს, თუმცა სტაბილური/ინტენსიური ხასიათი ამას არ აქვს.

დიაგრამა N4. ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე ვალუტის კურსის ცვალებადობის ნეგატიური გავლენის ხვედრითი წილი კვლევაში მონაწილე სუბიექტების ჯამური რაოდენობიდან




წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ კვლევაზე დაყრდნობით.

კომპანიების 90%-მა ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ ვალუტის კურსის ცვალებადობა ნეგატიურად აისახა მათ ბიზნესზე, კერძოდ კომპანიის ფინანსური ნაკადების ბრუნვის ზრდა შეჩერებულია.

კომპანიების 10% პასუხობს, რომ ბიზნესზე უმნიშვნელო გავლენა იქონია ვალუტის კურსმა

დიაგრამა N5. კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტებიდან უცხოურ ვალუტაში სესხის მქონე კომპანიების რაოდენობა




წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ კვლევაზე დაყრდნობით.

კომპანიების 100% სარგებლობს სესხით ამათგან 70% უცხოურ ვალუტაში. კომპანიები სესხებთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ მათ უწევთ დოლარის შეძენა ლარში, თუმცა სესხის გადავადებაზე ან ვადის ცვალებადობაზე არ ფიქრობენ, ასევე სესხის ლარში კონვერტაციისათვის ბანკს მიმართა კვლევის ფარგლებში გამოკითხული კომპანიებიდან მხოლოდ ორმა კომპანიამ, ³აქვე მოხდა დამატებითი კითხვის დასმა, თუ

³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპანიების უცხოურ ვალუტაში სესხების კონვერტაციას არანაირი კავშირი არ აქვს ე.წ. გალარების პროგრამის ფარგლებში არსებულ შეთავაზებებთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის N1 დადგენილება ეხებოდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს.

რატომ არ სურთ დანარჩენ კომპანიებს სესხის ლარში კონვერტირება, მათ აღნიშნეს, რომ აქვთ ლარის დასტაბილურებისა და დოლარის კურსის კლების იმედი, ამიტომ არ სურთ კიდევ უფრო დაზარალდნენ კონვერტაციების შედეგად.

დიაგრამა N6. კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტების რა ნაწილს შეუმცირდა ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში



წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ კვლევაზე დაყრდნობით.

კომპანიების 40% აფიქსირებს, რომ ფულადი ნაკადების ბრუნვები შემცირებული თუმცა არც თუ ისე დიდი მოცულობით, მაგრამ შემცირებულია მოგება, ვინაიდან კონვერტაციის შედეგად მიღებული ზარალი პირდაპირპროპორციულად აისახა კომპანიის მოგებაზე.

და მთავარი შეკითხვა: რა ღონისძიებები დაიგეგმა/გატარდა ამ გავლენის შესამცირებლად? შეკითხვის მიზანი იყო იმ სტრატეგიებისა და მეთოდების გარკვევა, რომლითაც კომპანიების მოცემულ შემთხვევაში ცდილობენ რისკების პრევენციას და მათთან გამკლავებას პრეცედენტული, აპრობირებული ღონისძიებებით. (ცხრილი N12)

ცხრილი N12: ფორს-მაჟორულ სიტუაციაში კომპანიის სტრატეგია და შედეგი

დაგეგმილი და გატარებული ღონისძიება	შედეგი
მაქსიმალურად შეამცირეს დებიტორებზე გრძელვადიანი გადახდის პირობით საქონლის გაცემა	მოკლევადიან პერიოდში დაბრუნებული საქონლის საფასური ლარში საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს კონვერტირება და აიცილოს სამომავლო ვალუტის ცვალებადობის რისკი
დებიტორებთან დააფიქსირონ ვალდებულება აშშ დოლარის ექვივალენტში	ამ შემთხვევაში მთლიანად ირიცხება ვალუტის ცვალებადობის შედეგად ზარალის რისკი, თუმცა ამ პირობას არ თანხმდება ყველა კლიენტი
იმპორტირებული საქონლისათვის საჭირო თანხას აკონვერტირებენ და უცხოურ ვალუტაში ათავსებენ ანგარიშზე უფრო ხშირი პერიოდულობით (წინა პერიოდში თუ ნავაჭრ თანხას აგროვებდნენ ანგარიშზე ან სალაროში 15-20 დღის განმავლობაში და შემდეგ აკონვერტირებდნენ მათთვის სასურველ ვალუტაში, ახლა უკვე კონვერტაციებს აკეთებენ უფრო ხშირად ყოველ 5-10 დღეში)	ეძლევა საშუალება დროულად მოახდინოს ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხის კონვერტირება სასურველ ვალუტაში და აიცილოს სამომავლო, უპროგნოზო ვალუტის ცვალებადობის რისკი.
ავანსად ლარში მიღებულ/ჩარიცხულ თანხებს აკონვერტირებენ იმავე დღეს	ეძლევა საშუალება დროულად მოახდინოს ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხის კონვერტირება სასურველ ვალუტაში და აიცილოს სამომავლო, უპროგნოზო ვალუტის ცვალებადობის რისკი.
ახდენენ მომწოდებელთან საქონლის ფასის კორექტირებას ან პოულობენ ახალი მომწოდებელს	როგორც კვლევის დროს გამოვლინდა, სხვა გადაწყვეტილებებთან შედარებით უფრო რთულია ამ ფორმით რისკების დაზღვევა, ვინაიდან ახალი მომწოდებლის პოვნა, კავშირების დამყარება, ბიზნეს ურთიერთობის საწყის ეტაპზე დაბრუნება, რისკების დაზღვევის ყველაზე რთული და ხშირ შემთხვევაში ბიზნესისთვის საფრთხის შემცველი პროცესია. ამიტომ ვალუტის ცვალებადობის რისკის ზრდის გამოკვეთისთანავე, უფრო ხშირია მომწოდებელთან ფასის კორექტირებაზე შეთანხმებები ვიდრე მომწოდებლის შეცვლა.
სესხი ჩაანაცვლა შედარებით იაფი საბანკო გარანტიით	ამ მეთოდს იყენებს გამოკითხული კომპანიების 10%, კერძოდ უცხოურ მომწოდებელთან წარადგინა საბანკო გარანტია, რომლის საპროცენტი განაკვეთი სესხის განაკვეთთან შედარებით თითქმის განახევრებულია, შესაბამისად ყოველთვიური საპროცენტო გადასახადი გაუნახევრდა. საბანკო გარანტიების, როგორც საბანკო პროდუქტის, ნაკლებპოპულარობა გამოიკვეთა კვლევის პროცესში კომპანიების უმეტესობის შემთხვევაში. ჩაღრმავებული ინტევიუს პროცესში აღმოჩნდა, რომ კომპანიების უმეტესობა არ იცნობს ამ საბანკო პროდუქტის დადებით მხარეებს და მისი შეთავაზება ბანკების მხრიდან არ ხდება ისე ინტენსიურად როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს სესხების.

წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ამგვარად, მოპოვებული მასალებიდან დგინდება, რომ:

- ვალუტის კურსის ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, იწვევს მათი მართვის სტრატეგიის ცვლილებას, კომპანიას უხდება საგანგებო მეთოდების შემუშავება, რომელიც დაეხმარება მას კრიზისის თავიდან აცილებაში.

- განხილული ბიზნეს სუბიექტების მონაცემებით ვნახეთ, რომ კომპანიები ძირითადად ცდილობენ საკუთარი რესურსებითა და პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდებით გაუმკლავდნენ კურსის ცვალებადობას. კომპანიების მსგავსი რისკებისგან დაზღვევის სახელმწიფო სტრატეგია ან პროგრამა არ არსებობს.

- როგორც კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, კომპანიების უმეტესობა არ სარგებლობს დამატებით ფინანსური კონსულტანტების-კრიზის მენეჯერების მომსახურებით და ძირითადად კონსულტაციებს შიდა ბუღალტრებისა და მათივე კომპანიის მენეჯერებისაგან იღებენ.

- კომპანიებს არ გააჩნიათ ფორს-მაჟორულ სიტუაციებზე ორიენტირებული სტრატეგია და, შესაბამისად, ნებისმიერ სავალუტო რყევის შემთხვევაში კომპანიის ხელმძღვანელობა სპონტანური, ინტუიციური გადაწყვეტილებების მეშვეობით ცდილობს პრობლემებთან გამკლავებას.

მონეტარული პოლიტიკის ანალიზის ჭრილში საინტერესოა 2017 წლის 13 იანვარს (ძალაში შესვლის თარიღი 2017 წლის 15 იანვარი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილება, კერძოდ 625 მუხლის მე-7 პუნქტი: თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ფიზიკურ პირზე 100 000 (ასი ათას) ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლარით გაცემულ სესხად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი (საქ.სამოქალაქო კოდექსი). ზემოაღნიშნული შეზღუდვის მიზანი იყო, დოლარში გაცემული სესხების მოცულობის შემცირება, რომლის შედეგადაც უნდა გამყარებულიყო ეროვნული ვალუტა.

ამ იმპერატიულმა ნორმამ კომერციულ ბანკებს პირდაპირ აუკრძალა 100.000 ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემა. რა შეიძლება მოჰყვეს ამ აკრძალვას გრძელვადიან პერსპექტივაში? ბოლო წლებში დეველოპერული კომპანიების მიერ აქტიურად ხდება სასტუმროს ტიპის კომპლექსების მშენებლობა, რომლებსაც ყიდის როგორც სასტუმროს ნომრებს, ასევე უმეტეს შემთხვევაში იგივე კომპანია სთავაზობს მყიდველს ბინის გაქირავებაში დახმარებას. შესაბამისად ინტერესი მსგავსი შეთავაზების მიმართ მაღალია და ჩვენი აზრით, თუ საქართველოს მოქალაქეები მცირე ფართობიანი (რამდენიმე კომპანიაში 1კვ.მ ბინის საშუალო ღირებულების გადამოწმების შედეგად საშუალოდ 1 კვ.მ საცხოვრებელი ფართის შეძენა შესაძლებელია 500-550 აშშ დოლარში, ანუ საშუალოდ ამ ფასად შესაძლებელი იყო საშუალოდ 75-80 კვ.მ შავი კარკასის მდომარეობაში საცხოვრებელი ფართის შეძენა) ბინების შესაძენად, რომლის ღირებულება დღევანდელი მდგომარეობით 40.000 აშშ დოლარზე ნაკლებია (ანუ 100.000 ლარის ქვემოთ) ახერხებდნენ გრძელვადიანი სესხებით ძირითადად უცხოურ ვალუტაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. (ვინაიდან საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების უმეტესობა ლარში ფიქსირებულ განაკვეთს გრძელვადიან სესხებზე ვერ სთავაზობს მსესხებლებს) ბოლო პერიოდში სამშენებლო ბაზარზე (ძირითადად ბათუმში და თბილისში) აქტიურად იყიდებოდა ე.წ. სტუდიო ტიპის ბინები, რომელთა საშუალო ფართი არის 30-40 კვ.მ ხოლო ღირებულება უმეტეს შემთხვევაში არ აღემატება 30.000 აშშ დოლარს რემონტის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული შეზღუდვის მიხედვით, მსესხებელი, რომლის სურვილია გრძელვადიანი სესხის ფიქსირებულ უცხოურ ვალუტაში აღება, ვეღარ ახერხებს სესხის აღებას. ამგვარი სესხის აღების შემთხვევაში ლარში საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია, რასაც ემატება რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული პროცენტის ცვალებადობის რისკი. შესაბამისად მომხმარებელი აფასებს რისკებს და უარს იტყვის ამ პირობებით სესხის აღებაზე. ამას კი, თავის მხრივ მოყვება ის, რომ:

- დეველოპერები დაკარგავენ კლიენტების იმ სეგმენტს რომლებიც ახერხებდნენ მცირეფართობიანი ბინების სესხებით შეძენას;

▪ მოსახლეობას შეეზღუდა უცხოურ ვალუტაში მცირე სესხებზე ხელმისაწვდომობა; დევლოპერების მიერ კლიენტების ამ სეგმენტის დაკარგვამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ბიზნესის განვითარებასა და მდგრადობას. შესაძლებელია დადგეს ორმაგი კრიზისის საფრთხე, ერთის მხრივ ბიზნესის განვითარების ხელშეშლა და, მეორეს მხრივ, მოსახლეობის მცირე სესხებსა და მცირეფართობიან უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. ვფიქრობ, მონეტარული პოლიტიკის ასეთი მკვეთრი და მოულოდნელი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სიღრმისეულ კვლევას, რომლის საფუძველზეც ნებისმიერი გაუთვალისწინებელი რისკის წარმოშობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, მით უმეტეს თუ ასეთი გადაწყვეტილების რისკ კატეგორიაშია ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება სამშენებლო ბიზნესი. ვფიქრობთ, ეს საკითხი უახლოეს პერიოდში გახდება აქტუალური განსჯის საგანი.

კომპანიების წარმატებასა და განვითარებაზე გარდა ვალუტის კურსის ცვალებადობისა ასევე უარყოფითად მოქმედებს მაღალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, არათანაბარი კონკურენტული გარემო, არაოფიციალური/არაფორმალური ინსტიტუტები, ქვეყნის მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური ორიენტირი და სხვა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურება იწვევს პირველად მოხმარების პროდუქციის ფასის ზრდას, შესაბამისად კლებულობს გაყიდვების მოცულობა, რაც პირდაპირ ამცირებს შემოსავლებს როგორც კომპანიებში ასევე ქვეყნის ბიუჯეტში, ეს ყველაფერი კი კომპლექსურად ზიანს აყენებს და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ზემოაღნიშნულმა მიზნობრივმა კვლევამ, რომლის მიზანი იყო ვალუტის კურსის ცვალებადობის პირობებში კომპანიებში მიმდინარე პროცესებისა და სტრატეგიების ანალიზი, გამოკვეთა, რომ:

• ვალუტის კურსის ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, იწვევს მათი მართვის სტრატეგიის ცვლილებას;

- სახელმწიფოს მიერ კურსის სტაბილიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებები საჭიროებს წინასწარ ღრმა ანალიზს, რათა ზიანი არ მიაყენოს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობას და არ გამოიწვიოს მათი კრიზისი;

- ბიზნეს სუბიექტები ძირითადად ცდილობენ საკუთარი რესურსებითა და პრაქტიკულად აპრობირებული საკუთარი მეთოდოლოგიით გაუმკლავდნენ ვალუტის კურსის ცვალებადობას;

- ბიზნეს სუბიექტების სავალუტო რისკებისგან დაზღვევის სახელმწიფო სტრატეგია ან პროგრამა არ არსებობს;

- კომპანიები არ სარგებლობენ კვალიფიციური ფინანსური კონსულტანტების-კრიზის მენეჯერების მომსახურებით;

- ბიზნეს სუბიექტებს არ გააჩნიათ ფორს-მაჟორულ სიტუაციებზე ორიენტირებული სტრატეგია;

ამრიგად, ბიზნეს სუბიექტები წარმატების მისაღწევად მაქსიმალურად ადაპტირებული უნდა იყვნენ ბიზნეს გარემოსთან, თუმცა ბიზნეს გარემო მუდმივად ცვალებადია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო, სწორედ ამიტომ კომპანიის, მისი მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს: 1) ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე მუდმივი ყურადღება ან/და კონცენტრაცია; 2) ნებისმიერი ცვლილების ადეკვატურად ასახვა ან/და ადაპტირება კომპანიის საქმიანობაში. მდგრადი ბიზნესი ქმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს მოსახლეობის სოციალური ფონის გაუმჯობესებაში, რაც თავის მხრივ შეუქცევადად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე

§2.3. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალური მიმართულებების თავისებურებები

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალური ტრანსფორმაციის პროცესი, ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნა და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფა მოითხოვს მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და საერთოდ, ქვეყანაში ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობას. ბიზნეს სუბიექტების აქტიურობის და წარმატებული ბიზნეს გარემოს განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორი არსებობს, როგორცაა დარგში საწარმოთა შემოსავლიანობა, კონკურენციის სიმკაცრე, კონკრეტული საქონლის წარმოება და რეალიზაცია, დარგებისა და სფეროების საწარმოო სპეციფიკა, ქვეყანაში შექმნილი საერთო სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, საზოგადოების სხვადასხვა ფენათა შემოსავლიანობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ.

ბიზნეს სუბიექტები და მათი აქტივობის შედეგები არის ქვეყნის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის -ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვანი ნაწილი. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბიზნეს კომპანიების საქმიანობის შედეგებზე და პირიქით.

სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების საყრდენი ქვეყნის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პოლიტიკაა. ბიუჯეტის მომზადება იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით (BDD-Basic Data and Directions). (BDD) არის ქვეყნის განვითარების 4 წლიანი ძირითადი გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ამ დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ნაერთი ბიუჯეტის მომზადება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად, სამინისტროები აყალიბებენ საკუთარ პრიორიტეტებს, ხოლო მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს. პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების

გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს.

საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების ბოლო ეტაპია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შედგენა, რაც საბოლოოდ ქვეყნის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ბიუჯეტს გვაძლევს.

იმდენად რამდენადაც ბიუჯეტი მოიცავს თითქმის ყველა სფეროს სადაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ მოხილვადი თანხების დახარჯვა, საინტერესოა ამ პრიორიტეტებში რა მოცულობით არის წარმოდგენილი ბიზნეს სუბიექტების მხარდაჭერის ან მათი კრიზისული სიტუაციებიდან დაცვის მექანიზმების დაფინანსების მიმართულება. სწორედ აქ ვლინდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირი.

კვლევის ფარგლებში განხილული გვაქვს ქ. ბათუმის თვითმმართველობის მიერ და ქ. თბილისის თვითმმართველობის მიერ 2007-2018 წლებში განხორციელებული პროექტები, ასევე მთლიანად საქართველოს ბიუჯეტში ბიზნესის ხელშეწყობაზე და მისი ანტიკრიზისული პროცესებიდან დაცვაზე მიმართული პროექტების მოცულობა.

მაგ., 11.04.2018 წ. წერილით N12142/25 ქ. ბათუმის მერიას მივმართეთ შეკითხვით:

1) 2007 წლიდან დღემდე ბათუმის მერიის მიერ ხორციელდებოდა თუ არა რაიმე სახის პროექტი რომლის მიზანი იყო ბიზნესის მხარდაჭერა, ხელშეწყობა, წახალისება მატერიალური ან არამატერიალური სახით?

- დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რომელ წლებში და რა პროექტი

2) 2007 წლიდან დღემდე ბათუმის მერიის მიერ ხორციელდებოდა თუ არა რაიმე სახის პროექტი რომლის მიზანი იყო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა?

- დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რომელ წლებში და რა პროექტი.

ქ. ბათუმის მერიის მიერ მივიღეთ შემდეგი შინაარსის წერილი N 6635-25 12/04/2018: „გაცნობებთ, რომ 2007-2017 წლებში მსგავსი პროექტი არ განხორციელებულა, ხოლო 2018 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამა ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რასაც წარმოგიდგენთ დანართის სახით.“

იგივე შეკითხვით მივმართეთ ქ. თბილისის მერიას წერილით N19/01181071415-01 რაზეც მივიღეთ შემდეგი პასუხი განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:

ცხრილი N13. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროექტები 2011-2018

პროექტი	გაწეული ხარჯები	წელი
ბიზნეს აქსელერატორი - ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ბიზნეს აქსელერატორის შექმნა ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც ბიზნესის განვითარების სპეციალურ უფასო პროგრამებს შესთავაზებს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს. პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელი	1,013,267,86 ევრო გრანტის თანხა - 506,663.39 ევრო (50 % თანამონაწილეობით) მერიის კონტრიბუცია - 506,663.39 ევრო (50 % თანამონაწილეობით)	2018
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის საკვირაო ბაზრობების მოსაწყობად საჭირო მოწყობილობების შექმნა	60090 ლარი	2017
თბილისი-ადგილი კინოგადაღებისთვის (Who is Mole) რეალითი შოუ საქართველოს შესახებ	15000 ლარი	2017
კონოფესტივალი (პრომეთეს ფარგლებში, მასტერკლასი დამწყები რეჟისორებისთვის)	2500 ლარი	2015
მეწარმეების, მათ შორის სოციალური მეწარმეობის დახმარება იაფი ფინანსური რესურსის მიღებაში (პროექტის ფარგლებში შერჩეული მეწარმეები სარგებლობდნენ დაბალი საბანკო საპროცენტო განაკვეთით (6-10%, საქმიანობის მიხედვით)	10266970 ლარი	2011- 2015
ბიზნეს-კონსულტაციები მეწარმეებისათვის (ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის პროფესიული ტრენინგ-კურსები ბუღალტერიის, მარკეტინგის, შესყიდვების და გადასახადების მიმართულებით)	80,000 ლარი	2015

უცხოელი ექსპერტის მიერ "სასტუმროების მარკეტინგის მენეჯერებისათვის" ტრენინგების უზრუნველყოფა	9240 ლარი	2015
შშმპ-ის დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით სატრენინგო კურსები (ეფექტური კომუნიკაციის წარმოება, კორესპოდენციის წარმოება, ეფექტური პრეზენტაციის დამუშავება, დარწმუნების უნარები, დროის მართვა და თვით-ორგანიზება, კომფლიქტური სიტუაციების პრევენცია და მართვა)	12423 ლარი	2015
მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების დასაქმებისათვის საჭირო სატრენინგო კურსები	2200 ლარი	2015
შშმპ-ის დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით სატრენინგო კურსები ხეზე კვეთისა და ხის მხატვრული დამუშავების მიმართულებით (მერიის პროექტის ფარგლებში სოციალურ საწარმოებში პრაქტიკის გავლის მიზნით შეიჩა 10 შშმ პირი. პროექტის შედეგად რამდენიმე დასაქმდა)	11250 ლარი	2015
„სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014-2015“ (სტრატეგიული კვლევის ცენტრთან თანამშრომლობით, სტუდენტების მიერ ბიზნეს-გეგმების შემუშავება სოციალური მეწარმეებისთვის)	2843.8 ლარი	2014-2015
სოც. მეწარმეობის გამოფენა-ფორუმი	14551.2 ლარი	2014-2015
"კავკასიის მედიცინისა და თბილისის მე-14 გამოფენა"-ში მონაწილეობა (ქართული მცირე მეწარმეების მონაწილეობის უზრუნველყოფა. მც. მეწარმეები : სალხინო, თბილქინფარმი, კამელინი)	7000 ლარი	2014
უძრავი ქონების ბაზრის კვლევა	39282 ლარი	2014
ღვინის ფესტივალი	54000 ლარი	2014
რუსთავი 2 (ტელეშოუ დასაქმდი და დასაქმე)	118000 ლარი	2011

წყარო: თბილისის მერიის წერილი N N19/01181071415-01

ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- სახელმწიფოს არ აქვს ბიზნესის განვითარებაზე მიმართული ერთიანი სახელმწიფო კონცეფცია რომელიც იქნება სახელმძღვანელო ასევე ცალკეული თვითმმართველი ერთეულებისათვისაც;zb123123*

- სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული ბიზნეს სუბიექტების ან ბიზნესის კრიზისული სიტუაციებიდან დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმი;

- სახელმწიფოს არ აქვს ბიუჯეტიდან მის მიერ დაფინანსებული ბიზნეს პროექტების კრიზისებისგან დაცვის ან პრევენციის მექანიზმი;

- თვითმმართველობის ბიუჯეტები არ ითვალისწინებს ბიზნესის ან ბიზნეს სუბიექტების მდგრად ხელშეწყობას;

- 2007 წლიდან 2018 წლამდე ქ. ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტით საერთოდ არ დაფინანსებულა არც ერთი პროექტი, რომლის მიზანი იყო ბიზნესის მატერიალური ან არამატერიალური სახით ხელშეწყობა.

- საქართველოს თვითმმართველობებში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, მიდგომა ბიზნეს სუბიექტების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ბანკის მიერ 2002 წელს დაწყებული პროექტი The Doing Business ყოველწლიურად 189 ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის შედეგად ადგენს მონაცემებს ქვეყნებში ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინგების შესახებ. ამ რეიტინგის მიხედვით საქართველო ბიზნესის სუბიექტების რეგისტრაციის მზარდი ტენდენცია ლოგიკურია საქართველოს ბიზნეს გარემოს იმ შეფასების, რასაც მსოფლიო ბანკის რეიტინგი ადასტურებს, კერძოდ, 2018 წელს მსოფლიოს 190 ქვეყნიდან საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა და წინა წელს მინიჭებული მე-16 პოზიციიდან გადაინაცვლა მე-9 პოზიციაზე, ასევე ეკონომიკის თავისუფლების ინდექსში საქართველოს რანგია მე-8 (DB, 2018).

The Doing Business-ის შეფასების კრიტერიუმებია:

1. ბიზნესის რეგისტრაცია-მოიცავს ყველა იმ პროცედურისა და ნორმატიული აქტების ანალიზს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ბიზნესის რეგისტრაციას. თუ ქვეყანაში არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სხვადასხვა სახეობა, ამ შემთხვევაში კვლევაში ყურადღება ექცევა იმ სამართლებრივ ფორმას, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებულია ქვეყანაში. რეგისტრაციის პროცედურებში ითვალისწინება ის ეტაპები, რომელიც საერთოა და სავალდებულოა ყველა სუბიექტისათვის;

2. მშენებლობაზე ნებართვის მიღება-ეს ანალიზი მოიცავს ყველა იმ პროცედურის კვლევას, რომელიც საჭიროა კომპანიამ მიიღოს შენობის ასაშენებლად, დროისა და დანახარჯების ჩათვლით. ასევე ითვალისწინება მშენებლობის კონტროლის ხარისხის მაჩვენებელი, რომელიც თავის თავში მოიცავს ხარისხისა და უსაფრთხოების მექანიზმების კონტროლს, იურიდიული პასუხისმგებლობისა და დაზღვევის ნორმატივებს ასევე პროფესიონალური კვალიფიკაციის მოთხოვნის დონეს;
3. ელექტროენერგიასთან ხელმისაწვდომობა - გულისხმობს ყველა პროცედურას, რომელიც დაკავშირებულია ბიზნეს სუბიექტისათვის უწყვეტი ენერგომომარაგების მიწოდებასთან. ამ პროცედურებში შედის ენერგოკომპანიაში განაცხადის დატოვებიდან მხარეების მიერ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ყველა ეტაპი. ეს კრიტერიუმი თავის თავში მოიცავს ოთხ ასპექტს, ესენია: ელექტროენერგიის მიღება, ტარიფების გამჭვირვალობა და ელექტროენერგიის მიწოდების სიმარტივე და მისი სანდოობა;
4. საკუთრების რეგისტრაცია -ამ პროცედურაში მოიაზრება ყველა ის ეტაპი, რომლის გავლაც საჭიროა ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიისაგან უძრავი ქონების შესაძენად, ასევე იმ ტრანზაქციებთან რომლითაც ამ ქონებაზე ხდება რაიმე სახის ოპერაცია;
5. სესხის აღება-დაკრედიტება. ამ კრიტერიუმში იგულისხმება მსესხებელისა და კრედიტორის უფლებამოსილებები, დაკრედიტების პირობები და საკრედიტო ხელმისაწვდომობა. ასევე საკრედიტო ინფორმაციის გაცვლა და ხელმისაწვდომობა საკრედიტო ბაზებში;
6. მცირე წილის მქონე პარტნიორთა/აქციონერთა (მინორიტარ აქციონერთა) უფლებების დაცულობა-ფასდება ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების ხარისხი, ქვეყანაში უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი სტანდარტები და სხვა;

7. გადასახადების გადახდა-ამ ნაწილში ხდება კვლევა იმ გადასახადების, რასაც საშუალო საწარმო/კომპანა იხდის წლის განმავლობაში, ასევე იმ დროის შეფასება, რაც საჭიროა ამ გადასახადების ადმინისტრირებისათვის. აქვე ცალკეულად განიხილება მოგების გადასახადის, დივიდენდის გადასახადის, ქონების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადის და სხვა გადასახადების განაკვეთები;
8. საერთაშორისო ვაჭრობა-ეს გულისხმობს ექსპორტ-იმპორტის დროს გაწეულ ფინანსურ ხარჯებსა და ყველა იმ პროცედურების გავლაში დახარჯულ დროს, რომელიც დაკავშირებულია დოკუმენტაციის გაფორმებასთან;
9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა- აქ იანგარიშება დრო და ხარჯები, რომელიც გაწეული იქნა კომერციული დავის გადაწყვეტისას;
10. ადგილობრივი სასამართლოს პირველ ინსტანციაში. ასევე ფასდება სასამართლოს სამართალწარმოების ხარისხი;
11. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება-იკვლევს დროისა და ფულის დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებიდან დასრულებამდე. ამასთანავე აქვე ხდება გაანალიზება სამართლებრივი ბაზისა, რომელიც დაკავშირებულია რეორგანიზაცი-ლიკვიდაციასთან;

ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით საქართველო მოწინავე ადგილზეა (DB, 2018) ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორებიცაა: პოლონეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ჰოლანდია, სლოვაკეთი, სლოვენია, გაერთიანებული არაბთა ემირატები და სხვები.

საერთაშორისო შეფასება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ეს მაჩვენებლები არის ერთგვარი პირველადი ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური გარემოს შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. დიდია ალბათობა იმისა, რომ სწორედ ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება ცალკეულმა ინვესტორმა ქვეყანაში ინვესტირების შესახებ.

საქართველოს მთავრობა მაკროეკონომიკურ ფაქტორების ანალიზისას ძირითადად ეყრდნობა შემდეგ საერთაშორისო რეიტინგების მონაცემებს, ესენია:

- **Doing Business**-ი არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად. მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების რეიტინგს ათი სხვადასხვა ინდიკატორით ადგენს და აფასებს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს-საქმიანობას.

- **Fraser Institute** - წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მიმოხილვას. მოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება ზომავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას 5 ძირითადი სფეროს მიხედვით.

- **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი** ბიზნესის დაწყების, ფუნქციონირებისა და დახურვის შესაძლებლობის შეფასებას ახდენს.

- **მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)**, რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

- **კორუფციის აღქმის ინდექსი** მოიცავს კორუფციის საერთო მოცულობას (სიხშირე ან/და კორუფციული გარიგებების მოცულობა) როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ სექტორში და ახდენს ქვეყნების რანგირებას კორუფციის აღქმის მიხედვით.

საქართველოს მთავრობა ასევე ყურადღებას აქცევს ისეთ საკრედიტო რეიტინგებს როგორიცაა: S&P (Standard and Poors), Moody's და Fitch, რომელთა მიერ საქართველოსთვის რეიტინგების მინიჭების პრაქტიკა 2005 წლიდან იწყება.

2018 წელს FitchRatings-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივა BB - სტაბილურიდან BB - პოზიტიურამდე. რეიტინგის შეფასებაში დადებითი წვლილი შემდეგმა ფაქტორებმა შეიტანა:

მაღალი ეკონომიკური ზრდა - 2017 წელს ეკონომიკური ზრდა საქართველოში 4.8 პროცენტი იყო, ხოლო BB ჯგუფის რეიტინგის მქონე ქვეყნებში საშუალოდ 3.5 პროცენტი ფიქსირდება. სარეიტინგო სააგენტოს პროგნოზით, 2018 წელს ეკონომიკური ზრდა 4.6, ხოლო 2019 წელს 4.9 პროცენტზეა მოსალოდნელი;

მიუხედავად სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს წამყვანი პოზიციებსა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიზნეს სუბიექტების მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში მიმდინარე ზოგადი ტენდენციების ანალიზი უნდა განხორციელდეს შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით, ესენია: მოსახლეობის რაოდენობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაციის საშუალო წლიური მონაცემი, საგარეო ვაჭრობის მოცულობა, ექსპორტის მოცულობა, უცხოურ ვალუტასთან ეროვნული ვალუტის კურსის მიმართება, ბიზნეს სექტორში ბრუნვის მოცულობა, მეწარმეთა კანონში შესული ცვლილებების რაოდენობა და შინაარსი და საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების რაოდენობა და შინაარსი. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოჩამოთვლილი მონაცემების შესახებ არსებობს 2010 წლიდან სრულყოფილი მონაცემები, საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში გთავაზობთ 2010 წლიდან 2017 წლამდე მონაცემების კომპლექსურ ანალიზს და ტენდენციების დინამიკაში განხილვას.

ცხრილი N14 ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორების დინამიკა

მონაცემის დასახელება	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მოსახლეობის რაოდენობა მლნ. ადამიანი	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 721.9	3 728.6	3 726.4
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მლნ. აშშ დოლარი	845.1	1 130.3	1 022.9	1 020.6	1 818.0	1 652.5	1 602.9	1 861.9
მოლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	20743.4	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	34028.5	38042.2
ინფლაცია საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	107.1	108.5	99.1	99.5	103.1	104.0	102.1	106.0
საგარეო ვაჭრობა მლნ. აშშ დოლარი	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10710.6
ექსპორტი მლნ. აშშ დოლარი	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2113.1	2728.0
აშშ დოლარი/ლარი (პერიოდის საშუალო)	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2702	2.3667	2.5086
მენარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილებების რაოდენობა	2	6	4	1	3	5	4	3
საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების რაოდენობა	7	25	23	14	13	20	15	11
ბიზნეს სექტორში ბრუნვა ბრუნვა, მლნ.ლარი	24400.7	36726.2	42048.0	44327.9	50064.7	56984.8	64081.8	71740.1

წყარო: ცხრილი შემუშვებულია ავტორის მიერ კვლევის პროცესში ჩატარებული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით

ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- საანალიზო პერიოდში (2010-2017წწ) არის სტაბილური ზრდა ინვესტიციების მიმართულებით;
- ასევე სტაბილურად იზრდება ტურიზმის სტატისტიკა;
- იზრდება ექსპორტის მონაცემები;

თუმცა ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებების პარალელურად, 2012 წლიდან მკვეთრად და ტენდენციურად სუსტდება ეროვნული ვალუტა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

უნდა არინიშნოს, რომ 2016 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს ეროვნული კურსის სტაბილიზაციისათვის (საქონლის ლარში ფასდადება, 100.000 ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემის შეზღუდვა, ფიზიკური პირების სესხების გაღარების სახელმწიფო პროგრამა, სესხის ეფექტური საპრცენტო განაკვეთის მაქსიმუმის განსაზღვრა), თუმცა ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება. ვფიქრობთ, სახელმწიფომ გრძელვადიან ეკონომიკურ სტრატეგიაში უფრო მეტად დაკონკრეტებული პროექტები უნდა გაწეროს და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია პრიორიტეტულ საკითხად გადააქციოს. უნდა დაიგეგმოს კომპლექსური, ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც მიზანმიმართული იქნება ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტიციების ზრდა, ტურისტთა რაოდენობის ზრდა და სხვა პოზიტიური მაჩვენებლები შეასრულებენ ერთჯერად, დამოუკიდებელ, მოკლევადიან პერიოდში არაეფექტიან როლს ქვეყნის ეკონომიკაში. მართალია, საქართველოს აქვს პოზიტიური ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში, თუმცა როგორც ვნახეთ ეს ყველაფერი პირდაპირპროპორციულად არ ისახება ეროვნული ვალუტის სიმყარეზე, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა მიკროეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

თავი III

ბიზნეს სუბიექტის კრიზისის პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის სრულყოფის მიმართულებები

§3.1. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის გამომწვევი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მეცნიერული ანალიზი

ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის ნეგატიურ შედეგებზე არაფორმალური ინსტიტუტების გავლენის ანალიზის საჭიროება მას შემდეგ ჩნდება, რაც ფორმალური ინსტიტუტების კომპლექსური ანალიზი ვერ ავლენს მკაფიოდ გამოხატულ აქტორებს, ან სრულად ვერ ხსნის იმ მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს რომელებიც იწვევს ბიზნეს საქმიანობის კრიზისს.

კრიზისი სისტემური პერსპექტივიდან, ანუ რა კავშირია კრიზისსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, განხილულია ნაშრომის მეორე თავში, მაგრამ კვლევის პროცესში გამოიკვეთა სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად გამოწვეული კრიზისული სიტუაციები და მისი მოგვარების (გადალახვის) გზები. ამგვარად, გამოიკვეთა აქტორული პერსპექტივაც, კერძოდ ქეისების ანალიზი გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების როლი როცა კონკრეტულ შემთხვევებს განვიხილავთ მონაწილე მხარეების ინტერესებისა და შეხედულებების მიხედვით. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში მხარეებს წარმოადგენენ სახელმწიფო (ცალკეული სტრუქტურების სახით) კრიზისულ სიტუაციაში მყოფი სუბიექტი და სხვა დაიტერესებული მხარეები (დებიტორი, კრედიტორი, მოიჯარე, მეიჯარე და ა.შ.).

ამ შემთხვევებში კონკრეტული კრიზისული სიტუაციები ძნელად თუ დაიყვანება ერთ რომელიმე ფაქტორამდე (მაგ., შიდა ფაქტორი-მენეჯმენტის ხარვეზი), არამედ შეიძლება წარმოადგენდეს ერთდროულად პიროვნული ფაქტორის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ვალუტის კურსის მერყეობის, სტაბილიზაციის არასათანადო სახელმწიფო პროგრამის და საკანონმდებლო შეზღუდვების ერთობლიობას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფორმალურ (კანონი, საგადასახადო ორგანოები, საბიუჯეტო და მონეტარული

პოლიტიკა...), ასევე არაფორმალური ინსტიტუტების (გარიგება, დემპინგი, ალტერნატიული მექანიზმები) გავლენას.

ამიტომაც ამ თავში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქეისების მეცნიერული ანალიზის შედეგად გამოვლენილი მეთოდები და ხერხები, რომელთა საშუალებითაც კრიზისში მყოფი კომპანიები ცდილობენ გამოწვევებთან გამკლავებას არსებული ფორმალური გარემოს პირობებში (რომელიც, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შექმნა სახელმწიფომ). სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად არაფორმალური ინსტიტუტების როლი ან თანდათან სუსტდება, ან თუ ისინი მოქმედია, სახელმწიფო მის ფორმალიზებას და გამოყენებას ცდილობს⁴. თუმცა, ცალკეული არაფორმალური პრაქტიკა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ინარჩუნებს თავის როლს (მაგ., გარიგების ცალკეული სახე).

ფორმალური ინსტიტუტების ანალიზი თავის თავში მოიცავს იმ სფეროების ანალიზს, რომელთაც აქვთ საკანონმდებლო დონეზე ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების სფერო და კანონით შეზღუდული მოქმედების რეგლამენტი. ჩვენს შემთხვევაში განხილული იყო სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებები, ხოლო არაფორმალური ინსტიტუტია ყველა ის დამკვიდრებული და პრეცედენტული ხასიათის სისტემურად-ორგანიზებული ქმედება, რომლის რეგულირება ხდება არასამართლებრივ სფეროში არსებული ნორმებით, რომელიც შეიძლება არც კი ეწინააღმდეგებოდეს კანონს.

სახელმწიფო კრიზისის დასრულების შესაძლებლობის რამდენიმე პრაქტიკას იცნობს, კერძოდ გადახდისუნაროდ/გაკოტრებულად გამოცხადებას, ნებაყოფლობით და იძულებით ლიკვიდაციას, ასევე შეჩერების შესაძლებლობას. თავდაპირველად შევეხებით კომპანიების ლიკვიდაციის სხვადასხვა ნაირსახეობას (ფორმალურ გზებს).

⁴ მაგ., არაფორმალური შუამავლობის ინსტიტუტით ხდებოდა გარკვეული დოკუმენტაციის მომზადების დაჩქარება, სახელმწიფომ კი ეს მოაქცია სამართლებრივ ჩარჩოში, დაარეგულირა კანონმდებლობით და გადააქცია ფორმალურ ინსტიტუტად, კერძოდ დოკუმენტაციის დაჩქარებული წესით მისაღებად საჭიროა დაახლოებით ორმაგი საკომისიოს გადახდა ბიუჯეტში და სასურველი დოკუმენტი გარანტირებულად მზადდება სასურველ დროში (მაგ., სამეწარმეო და სამოქალაქო რეესტრიდან დოკუმენტების დაჩქარებული წესით მიღება, ასევე საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების მესაკუთრის შესახებ ამონაწერის მიღება და სხვა სერვისები)

სამეწარმეო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით: 2010 წლიდან 2017 წლამდე ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის შეჩერებისა და შეწყვეტის სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება: გაუქმებული/დახურულია 103229 ბიზნეს სუბიექტი.

ბიზნეს სუბიექტის გაუქმება / ლიკვიდაციისათვის არსებობს შემდეგი გზები:

1) ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია ან შეჩერება, 2) იძულებითი ლიკვიდაცია და 3) გადახდისუუნაროდ გამოცხადება (გაკოტრება).

ყოველი კრიზისის შედეგი არ არის გადახდისუუნარობა (გაკოტრება), მაგრამ ყველა გადახდისუუნარობის (გაკოტრების) მიზეზი არის კრიზისი. შესაბამისად, საქართველოში ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის შეწყვეტის, შეჩერების ინსტიტუციონალური (ფორმალური) მიზეზების კომპონენტური კვლევის განუყოფელი ნაწილია საქართველოში გადახდისუუნარობის / გაკოტრების საქმეებთან დაკავშირებული დავებისა და მისი შედეგების ანალიზი.

2007 წლის 15 აგვისტოდან მოქმედი საქართველოს კანონით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მუხლი 4-ის მიხედვით, სასამართლო განსჯადობა 1. ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის დგინდება სპეციალური განსჯადობა. 2. ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. 3. ამ კანონით გათვალისწინებული საქმეების განხილვის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს. 4. სასამართლო გადახდისუუნარობის საქმეს განიხილავს მოვალის იურიდიული მისამართის მიხედვით, ხოლო არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საქმეს – მოვალის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

ზემოაღნიშნულ სპეციალური განსჯადობა-იურისდიქციის გათვალისწინებით კვლევის ფარგლებში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სასამართლოდან გამოგვეთხოვა ოფიციალური ინფორმაცია 2010 წლიდან (ვინაიდან სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით გადახდისუუნარობის საქმეების არქივაცია სრულყოფილად


ხორციელდება 2010 წლიდან) გავრცელების საქმის წარმოების შესახებ შესული სარჩელების რაოდენობისა და მისი დასრულების შედეგების მითითებით.

ინფორმაციისთვის, კანონი განმარტავს ტერმინს გადახდისუუნარობას, როგორც- მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა (მუხლი 3, პუნქტი „ა“).

სასამართლოებისგან მივიღეთ შემდეგი ინფორმაცია: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსგან წერილი N87-2/10 (21/02/2017 წ) თანდართული 5 განჩინებით და თბილისის საქალაქო სასამართლოსგან წერილი N2-0139/2372620 (28/03/2018წ) თანდართული 3 განჩინებით.

ორივე სასამართლოსგან⁵ მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს 2010 დან 2017 წლამდე პერიოდს, ვინაიდან სასამართლოების მიერ 2010 წლიდან ხდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საარქვო მასალებად სისტემატიზაცია / კლასიფიკაცია. შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა N7 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემრის ჩათვლით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგების სტატისტიკა




წყარო: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილი N87-2/10 (21/02/2017 წ)

ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ:

⁵ იგულისხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლო და თბილისის სააპელაციო სასამართლო


დიაგრამა N8 თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემრის ჩათვლით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგების სტატისტიკა



წყარო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილი N2-0139/2372620 (28/03/2018წ)

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით კრებსითი ინფორმაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა N9. საქართველოში 2010 წლიდან-2017 წლის ჩათვლით: სულ სასამართლოს მიმართა გაკოტრების/გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ დავებზე:



წყარო: ქუთაისის სააპელაციო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

მაშინ, როცა ყოველწლიურად ასეულობით ბიზნესი ჩერდება, იხურება ან შედის კრიზისულ სიტუაციაში, რატომ ხდება რომ გადახდისუნარობის შესახებ საქმის წარმოებისავის მიმართავს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (ბოლო 7 წლის განმავლობაში მაქსიმალური მიმართვა იყო 2015 წელს 101 კომპანიის მიერ. ცხრილი N3, გვ:111) ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება შემდეგი გარემოებებით იყოს გამოწვეული:

- გადახდისუნარობის საქმის წარმოება არის პროცესი, რომელსაც კომპანია მაშინ იწყებს, როცა საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს კრიზისის შედეგად დარჩენილი ვალდებულებების გასტუმრებას ქონების (აქტივის) რეალიზებითა თუ დანაწევრებით;
- მიმართავს გადახდისუნარობის შესახებ საქმისწარმოებას მაშინ, როცა ბიზნეს სუბიექტს სურს ოფიციალური სახელმწიფო ინსტიტუციის მეშვეობით დასრულდეს კომპანიის კრიზისი გაკოტრებით;
- როცა კომპანიას სჭირდება კრიზისული სიტუაციის დასრულება დოკუმენტალურად გაკოტრებით, რადგან თავიდან აირიდოს ცალკეული დავალიანებების შემთხვევაში ინდივიდუალური დავები.

სხვა ფაქტორების გამოვლენა შეუძლებელი იყო კონკრეტული ქეისების ანალიზით, ვინაიდან ინფორმაცია იყო დახურული და საილუსტრაციოს დ მოგვაწოდეს მხოლოდ რამოდენიმე ქეისი, სადაც მხარეები იყო ჩვენთვის დახურული.

შეიძლება ვივარაუდოდ, გაკოტრების მექანიზმი თავის მხრივ შეიძლება იყოს კრიზისის გამომწვევი ფაქტორი, იმ კომპანიებისათვის რომლებიც წარმოადგენდნენ კრედიტორებს. ამ ვარაუდის საფუძვლველს წარმოადგენს ისეთი ქეისები, როცა კომპანია დაიხურა დებიტორული დავალიანებების ვერ ამოღების გამო. თუ ამ შემთხვევას განვაზოგადებთ, შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი სცენარი: კომპანიას, რომელსაც აქვს დიდი კრედიტორული დავალიანება სხვადასხვა მომწოდებლების მიმართ (ფინანსური რესურსის არამიზნობრივად გამოყენების გამო) უხდება კომპანიის დახურვა, ვინაიდან მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრებამდე სადისტრიბუციო კომპანიები და

ზოგადად მომწოდებლები კონსიგნაციით აღარ აძლევენ ახალ საქონელს. ⁶კომპანია ველარ იხდის კრედიტორულ დავალიანებებს და მიმართა სასამართლოს გადახდისუუნაროდ გამოცხადების შესახებ. სასამართლომ გამოაცხადა გადახდისუუნაროდ და კრედიტორები ველარ ახდენენ ვალის ამოღებას. შესაბამისად, კრედიტორებს ეწყება კრიზისი თანხების ამოუღებლობის გამო.

შეიძლება ითქვას, რომ გაკოტრების მექანიზმი ამ შემთხვევაში არის არა კრიზისის დაძლევის გზა, არამედ, ერთგვარად, ახალი კრიზისის წარმოშობას განაპირობებს. თუმცა შეიძლება შევხედოთ მეორე პოზიციიდან: 1996 წლის 25 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (2007 წლის 28 მარტიდან საქართველოს კანონის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მიღებით პარლამენტმა გააუქმა კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“) რომელიც შეიძლება ითქვას იყო ლოგიკური გაგრძელება 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებული კანონისა „მეწარმეთა შესახებ“, ვინაიდან კანონის მიზნად გაცხადებული იყო „მოვალის ფინანსური სიძნელების დაძლევა და მოვალის საწარმოს ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.“ ხოლო მოგვიანებით 2007 წლის 28 მარტის კანონში კანონის მიზანი დაზუსტდა და შემდეგი ფორმულირება მიეცა: „მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.“ ფაქტია კანონის დებულებები მიმართულია ორივე მხარის ინტერესების დაცვისაკენ, თუმცა აქაც იკვეთება ორი მომენტი:

- 1) პირველი - იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი მიმართავს რომელიმე ბიზნეს სუბიექტის გადახდისუუნაროდ ასაღიარებლად სასამართლოს, ამით მას

⁶ საქონელში იგულისხმება საბრუნავი საშუალებები-საბრუნავი ეწოდება აქტივებს, რომლებიც ერთი წლის ან ერთი საოპერაციო ციკლის განმავლობაში მოიხმარება საწარმოს მიერ.

საშუალება აქვს დაიკმაყოფილოს მისი დავალიანება გადახდისუუნაროდ აღიარებული კომპანიის ქონების რეალიზაციით. აქვე, კრედიტორის მიმართ მინიმალური დავალიანება უნდა იყოს არანაკლებ 50.000 ლარი. აქაც იკვეთება მიდგომა, რომელიც ფაქტიურად ისევ საშუალო ან დიდი ბიზნეს სუბიექტების ინტერესების დაცვისაკენაა მიმართული.

- 2) მეორე - თუ თავად ბიზნეს სუბიექტი მიმართავს გადახდისუუნაროდ ასაღიარებლად და სასამართლო აღიარებს, ქონების არსებობის შემთხვევაში, რა ოდენობის კრედიტორსაც ეყოფა დაკმაყოფილება, ხოლო დანარჩენის მოთხოვნა დარჩება დაუკმაყოფილებელი. დაუკმაყოფილებელი კრედიტორების დაცვის ან კომპენსირების მექანიზმი არ არსებობს.

ამგვარად, კომპანიის კრიზისის დაძლევის ეს ფორმალური გზა წარმოადგენს არსებული კრიზისის დასრულების მექანიზმს. ამავდროულად ის მიმართული იყო სხვადასხვა სახის არაფორმალური პრაქტიკების წინააღმდეგ. ასევე, გაკოტრების მექანიზმი შეიძლება განხილული იყოს, როგორც კრიზისში მყოფი კონკრეტული კომპანიის პრობლემის მოგვარების გზა, თუმცა ის არაა მიმართული ამ კომპანიის დებიტორი კომპანიების პრობლემების მოგვარებაზე.

ამ მექანიზმის განხილვის შემდეგ ყურადღებას გავამახვილებთ კრიზისის იმ ფაქტორებზე, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია კრიზისში მყოფი კომპანიების ცალკეული შემთხვევების შესწავლის პროცესში. ასევე, იმ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებზე, რომლებიც ამ კრიზისის წარმოშობას, დაძლევას ან გადალახვას უწყობს ხელს.

კრიზისის ანატომიის/კლასიფიკაციისათვის ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სამი მიმართულების შედარება კერძოდ, ბიზნეს სუბიექტის პოზიციიდან, საერთაშორისო ზოგადი კლასიფიკაციის შესაბამისად და სახელმწიფოს პოზიციიდან (ცხრილი N15)

ცხრილი N15. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის კლასიფიკაცია

ბიზნესი სუბიექტის პოზიციიდან	საერთ. კლასიფიკაცია	სახელმწიფოს პოზიციიდან
<p>ზოგადი ფაქტორები: სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური: ინფლაციის ზრდა; საგადასახადო სისტემის ცვალებადობა; კანონმდებლობის ცვალებადობა; მოსახლეობის შემოსავლის კლება; უმუშევრობის ზრდა; კრიმინოგენური სიტუაცია;</p>		
კონკურენცია / მონოპოლია	კრიზისის გარე ფაქტორი	<p>კონკურენცია (ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტების მეტოქეობა, რის პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობს მოხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას.) - თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე პროცესია და რეგულირდება საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ (2014 წლის 21 მარტი) და მონოპოლია (ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია)</p>
დაკრედიტების პოლიტიკა (მონეტარული პოლიტიკა)	კრიზისის გარე ფაქტორი	რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით. რეგულირებადი სფეროა.
მენეჯმენტი: არაეფექტიანი ფინანსური მენეჯმენტი, არაეფექტიანი საკადრო მენეჯმენტი,	კრიზისის შიდა ფაქტორი	სახელმწიფო განსაზღვრავს კანონით მეწარმეთა შესახებ მხოლოდ ბიზნეს სუბიექტების მართვის ორგანიზების სტრუქტურასა და წილობრივი პროპორციების განსაზღვრის ზოგად წესს.
მარკეტინგი: არასწორი ბაზრის ანალიზი, არასწორი სარეკლამო კამპანია, რეპუტაციის შელახვა,	კრიზისის შიდა ფაქტორი	თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისი პროცესია
ვალუტის კურსი (მონეტარული პოლიტიკა)	კრიზისის გარე ფაქტორი	თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისი პროცესია/გაცვლითი კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ. აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში ლიცენზირებულ ყველა კომერციულ ბანკსა და უცხოური ბანკების ფილიალებს, რომლებსაც, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული აქვთ მონაწილე ბანკის სტატუსი.
ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობა	კრიზისის გარე ფაქტორი	რეგულირებულია სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით მათ შორის საგადასახადო კოდექსით, კანონით მეწარმეთა შესახებ, კანონით კონკურენციის შესახებ და სხვა.
ფორს მაჟორი	კრიზისის გარე ფაქტორი	სახელმწიფოს არ აქვს პროგრამები

წყარო: ცხრილი მომზადებული ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

თუ ზემოაღნიშნულ ფაქტორებს დავალაგებთ იმის მიხედვით, ექვემდებარებიან ისინი სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ან არ ექვემდებარება მას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

რეგულირებადია:

1. სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა;
2. ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობა;

არარეგულირებადია:

1. მენეჯმენტი;
2. მარკეტინგი

და ცალკე ფაქტორი არის **ჟორს-მაჟორი**.

არარეგულირებადი ფაქტორების გავლენით კომპანიის კრიზისულ სიტუაციაში შესვლა თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე ურთიერთდაკავშირებული ქმედებების შედეგს წარმოადგენს, რომლის პრევენცია და მისი გავლენისაგან დაცვა სწორედ ბიზნეს სუბიექტის პრეროგატივა და ინტერესი უნდა იყოს.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შემთხვევების უმეტესობა ეხება კრიზისებს, რომელიც გამოიწვია არარეგულირებადმა ფაქტორებმა – შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ კრიზისების გამოწვევის არარეგულირებადი ფაქტორების უპირატესი როლი განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა:

1. სახელმწიფო ინსტიტუტები თავიანთ ფუნქციას ასრულებენ გამართულად
2. არაფორმალური ინსტიტუტების როლი კრიზისის სტაბილიზაცია / აღმოფხვრაში სახელმწიფოს მიერ მინიმუმამდე არის დაყვანილი.

ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნეს სუბიექტების კრიზისის განვითარებისა და შედეგების ცალკეული შემთხვევები, რომლის ანალიზის მიზანი იყო კრიზისის წარმოქმნისა და განვითარების მოდელების გამოვლენა.

ქეის სტადის ნაწილში მოცემულია ანალიზის საილუსტრაციოდ 7 შემთხვევა. თითოეული კრიზისის ფაქტორის გამოსავლენად ჩვენს მიერ შესწავლილი იყო

რამდენიმე შემთხვევა, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ქეისი ერთდროულად რამდენიმე კრიზისის ფაქტორის შედეგი იყო.

საკითხის ამგვარი დასმა გვეხმარება აქტორული პერსპექტივის წარმოჩენაში, რაც გულისხმობს იმას, რომ დეკლარირებული, ფორმალური მიზეზების მიღმა არსებობს სხვადასხვა, ხშირად, არაიდენტიფიცირებული მიზეზები. ამიტომაც, თვისობრივი კვლევა იმ პრობლემების იდენტიფიცირებაში გვეხმარება, რასაც ბიზნეს სუბიექტები აწყდებიან ყოველდღიურ საქმიანობაში, არსებული რეგულაციებისა და ზოგადად, ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვალებადი პროცესების პარალელურად.

კონკურენციისა და მონეტარული პოლიტიკის ფაქტორი. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, რომელიც მიღებულია 2012 წლის 8 მაისს, კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი იძლევა კონკურენციის განმარტებას, რომლის მიხედვითაც: კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. კონკურენციის როგორც კრიზისის გამომწვევი ფაქტორის შესახებ კვლევის პროცესში შეგხვდა ერთი შემთხვევა, რომლის ქეისი შემდეგია: X კომპანია საქმიანობდა ბათუმში სავაჭრო სფეროში სამშენებლო ინვენტარით. კომპანიამ დაარსებისთანავე მიიღო კარგი დაკვეთები, იმის გამო, რომ მათი პროდუქცია უფრო იაფი იყო. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ორი ახალი კომპანია მსგავსი პროდუქციით შემოვიდა ბაზარზე, რომლებსაც იგივე ფასად უფრო ცნობილი ბრენდები ჰქონდა. ასევე მენეჯერის ინფორმაციით გრძელვადიანი კონსიგნაციის პირობებში ვალუტის კურსის ცვალებადობისთანავე დაიწყო კომპანიის წაგება, ვინაიდან ფასებს ვერ ცვლიდა და ანგარიშსწორება მომწოდებლებთან უწევდა ძველი ფასით დოლარში. კომპანიას შეუმცირდა შეკვეთები და საბოლოოდ მოუწია დახურვა (**ინტერვიუ 2016.08**).

ამ ქეისში იკვეთება კრიზისის წარმოშობის ორი მომენტი, კერძოდ კონკურენციისა და ვალუტის კურსის ცვალებადობის მიზეზი. რა შეიძლება გაეკეთებინა კომპანიას? და რა ბერკეტები არის სახელმწიფოს მხრიდან? კრიზისის ფაქტორი კონკურენცია არის სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობით რეგულირებული, საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 კანონი კონკურენციის შესახებ, სადაც პირდაპირ, იმპერატიულად განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში შეუძლია

სახელმწიფოს კონკურენციის შედეგად მიღებულ ნეგატიურ შედეგების აღმოფხვრისათვის დახმარება, კერძოდ: მუხლი 12. სახელმწიფო დახმარება:

1. აკრძალულია ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის:

ა) გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;

ბ) მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;

გ) მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ღონისძიების განხორციელებას;

დ) მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

ე) გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ვ) მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება.

3. სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა:

ა) გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის;

ბ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის (საქართველოს კანონი 2014.21.03).

როგორც ვხედავთ სახელმწიფო ბერკეტი არ არის უნივერსალური და არ არის კომპანიების კონკურენციის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე მიმართული და ვფიქრობთ, ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან თავისუფალი ბაზრის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახით ჩარევა ბიზნეს სუბიექტების კონკურენციის პროცესში იქნებოდა ბიზნეს სექტორის რეგულირებად სფეროდ ქცევა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და ზოგადად თავისუფალი ბაზრის შესახებ საყოველთაოდ დამკვიდრებულ თეორიულ-პრაქტიკულ გამოცდილებას. ზემოთ ჩამოყალიბებული შემთხვევა არის კლასიკური მაგალითი იმისა თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ჯანსაღმა კონკურენციამ, თუმცა ჩვენი მოსაზრებით აქ კრიზისის ამ ფაქტორის გამამძლიერებელი იყო ბიზნეს გარემოს ფაქტორი, კერძოდ შეიძლება ვუწოდოთ „პატარა ქალაქის სინდრომი“, როცა კონკურენტების მცირე რაოდენობის ზრდა პირდაპირ აისახება ბიზნეს კომპანიის შედეგებზე. ამავე ქეისში ვხედავთ მეორე პრობლემას კერძოდ ვალუტის კურსის ცვალებადობის (ამ შემთხვევაში ლარის გაუფასურებას აშშ დოლართან მიმართებაში) გავლენას ბიზნეს საქმიანობაზე. კომპანიის კონკურენციის მომენტი პირდაპირდამოკიდებულია ვალუტის კურსის ცვალებადობაზე, ვინაიდან კომპანიას რომ არა ვალუტის კურსით გამოწვეული საქონლის გაძვირება, შესაძლებლობა ექნებოდა ფასი დაეკლო და ყოფილიყო თანაბრად კონკურენტუნარიანი, თუმცა შესასყიდ ფასსა და გაყიდვის ფასს შორის სხვაობა (დოლარში აღებული საქონელს ყიდდა ლარში კონსიგნაციაზე, ლარში თანხის დაბრუნება გვიანდებოდა და ამ პერიოდში აშშ დოლარის კურსი მატულობდა) არ აძლევდა საშუალებას ფასის კიდევ უფრო კლების, ვინაიდან უკვე ფასის მცირედი ცვალებადობა იწვევდა ზარალს. ვფიქრობთ ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის კრიზისზე.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ფაქტორების გავლენის რისკისაგან დაცვის პრევენციული ღონისძიებები კომპანიის მხრიდან და სახელმწიფოს მხრიდან?

კომპანიის მხრიდან: უნდა მოეხდინა მომწოდებლების დივერსიფიკაცია (არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე), ასევე კონსიგნაციის ვადა უნდა შეემცირებინა მინიმუმამდე. აქ იკვეთება კიდევ ერთი პრობლემა-მენეჯმენტის,

რომელიც ვფიქრობთ მეორეხარისხოვანია. ანუ, ჩვენი, ამ კონკრეტული შემთხვევის მიმართ რეკომენდაცია, ანტიკრიზისული სტრატეგიის დასაწყისი იქნებოდა შემდეგი ქმედებები: მომწოდებლების დივერსიფიცირება, კონსიგნაციაზე გაცემული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ვადის შემცირება. ხოლო პროცესის მსველობის პარალელურად, ადეკვატურად მოხდებოდა დეტალური ანტიკრიზისული გეგმის გაწერა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა როგორც ფინანსურ ანალიზზე ასევე ინტენსიურ ბაზრის კვლევაზე.

სახელმწიფოს მხრიდან: სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული საგარეო შოკების გავლენით სავალუტო ბაზრის მკვეთრი ცვალებადობისაგან დაცვაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ბაზარზე ინტერვენციები. ვფიქრობთ, რომ არა ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, კომპანიას ექნებოდა საშუალება დარჩენილიყო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და ექნებოდა მაქსიმალურად ფასებით მანიპულირების საშუალება დაახლოებით 12-17% ფარგლებში, ანუ მოცემულ პერიოდში ვალუტის კურსის ცვალებადობის პროპორციის გათვალისწინებით. მსგავს შემთხვევაში სახელმწიფოს როლი, მისი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, შესაძლებელია გადამწყვეტი აღმოჩნდეს ბიზნეს სუბიექტების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების საქმეში.

მენეჯმენტის ფაქტორი. სურსათის მაღაზია. გახსნიდან დახურვამდე პერიოდი დაახლოებით 5 წელი. მთლიანი საქონლის რეალიზაციის 70% (რომელიც ყოველწლიურად მატულობდა) იყო დებიტორული დავალიანებით, კერძოდ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე გაცემული საქონელი. ერთი თვის ვადაში გადახდის პირობა იყო მისი უპიურატესობა სხვა მარკეტებთან შედარებით, რომლებსაც აქვთ კომპიუტერულად ორგანიზებული გაყიდვების სისტემა, მხოლოდ ნაღდი ანგარიშწორებით ვაჭრობა. ბოლო ერთი წელია, რაც მის გვერდით გაისხნა რამოდენიმე ქსელური სურსათის მაღაზია საქონლის ფართო ასორტიმენტით. მაღაზიის მფლობელმა შეამჩნია რომ მის მიმართ დავალიანების მქონე კლიენტები ნაღდი ანგარიშწორებით დადიოდნენ უკვე ახალ, ქსელურ მაღაზიაში და „ნისიად“ კი ისევ მასთან მოდიოდნენ. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე

და როცა მოვალეებისაგან მოითხოვა თანხის შეთანხმებისამებრ დროული და სრული მოცულობით დაბრუნება, ამან გამოიწვია მომხმარებლებთან კონფლიქტი. დაგროვილი ვალების გამო უკვე ამ მაღაზიაში შესვლას თავს არიდებდნენ და ძველ ვალებს უკვე უფრო გაწელილ დროში ნაწილ-ნაწილ, არა დადგენილი პერიოდულობით, უბრუნებდნენ. ბიზნესის მესაკუთრეს დაახლოებით კონკურენტი მაღაზიის გახსნიდან 5 თვეში დისტრიბუციასთან შეექმნა პრობლემები. დისტრიბუტორები ახალ საქონელს აღარ უტოვებდნენ კონსიგნაციით და მაღაზიას მოუწია ჯერ ასორტიმენტის შემცირება და საბოლოოდ კი დახურვა. ნარჩენი საქონელი ჩააბარა თვიღრებულებით და გაისტუმრა დისტრიბუტორები, ხოლო ნისია დარჩა ამოუღებელი (ინტერვიუ 2016.11).

ქეისი სპეციფიურია, იკვეთება რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი, თუმცა უმთავრესია მენეჯმენტის პრობლემა, კერძოდ დებიტორული დავალიანების უსისტემო, პროგრესულმა ზრდამ შეუქმნა კომპანიას პრობლემები.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო პრევენციული ღონისძიებები კომპანიის მხრიდან და სახელმწიფოს მხრიდან? სახელმწიფოს კრიზისის მსგავსი სიტუაციის „დაძლევის“ თუ „მოგვარების“ მხოლოდ ერთად-ერთი ინსტიტუტი გააჩნია, რომელიც არის გადახდისუუნაროდ გამოცხადება. ამ მაღაზიაში დარჩენილი სასაქონლო ნაშთი მთლიანად აკმაყოფილებდა კრედიტორების (დისტრიბუტორების) მიმართ ვალდებულებებს. ამიტომ, ამ კომპანიისათვის საკუთარი ძალებით საქონლის რეალიზაცია და კრედიტორების დაკმაყოფილება უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების დაწყება, სადაც განაცხადს წარსადგენად უნდა ახლდეს 5000 ლარიანი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი (საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის შესახებ, 28/03/2007წ, მუხლი N6), რომლის საშუალება ამ კომპანიას არ გააჩნდა, ასევე აქვე იყო მეორე დაბროკლება, კერძოდ გადახდისუუნაროდ აღიარების შესახებ განაცხადი წარმოებაში მიიღება სასამართლოს მიერ იმ კრედიტორების მიერ, რომელთა მიმართ კომპანიას დავალიანება ერიცხება მინიმუმ 150.000 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის შესახებ, 28/03/2007წ, მუხლი N14, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი), იმდენად რამდენადაც კომპანიის დავალიანება კრედიტორების მიმართ შეადგენდა

მაქსიმუმ 15.000 ლარს კრედიტორებს არ შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის. ამ შემთხვევაში როგორც ვნახეთ სახელმწიფოს არ გააჩნია მსგავს სიტუაციებზე გათვლილი ინსტიტუციონალური მექანიზმი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომპანიის უმთავრესი პრობლემა იყო 5 წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების პროგრესული ზრდა (სრული გაყიდვების 70% იყო კონსიგნაციით). კომპანიას უნდა ჰქონოდა დებიტორული დავალიანებების კონტროლის მექანიზმი, ვინაიდან თვითონაც სადისტრიბუციო კომპანიებისაგან საქონელს იძენდა კონსიგნაციით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა ამ მოცულობით დებიტორული დავალიანება, მას ექნებოდა უფრო დაჩქარებული საქონელბრუნვა და შესაბამისად ექნებოდა უფრო მეტი მოგება. ამ მოცემულობით ეს შემთხვევა შეიძლება ფორმულით შემდეგი სახით ჩაიწეროს: თუ დებიტორული დავალიანება იქნება D, განსაზღვრული დროის პერიოდი ინება T, საქონლის რეალიზაცია იქნება R, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით გაყიდული საქონელი იქნება C, ხოლო მოგება იქნება P, მივიღებთ შემდეგ ჩანაწერს:

$$PT > \text{თუ } RT = CT$$
$$PT < \text{თუ } (RT = D) > CT$$

(წყარო: შედგენილია ავტორის მიერ)

აქედან შეიძლება მსგავს ქეისებზე საპროგნოზო უნივერსალური ჩანაწერის გაკეთება, კერძოდ:

$$PT > \text{თუ } RT = C \text{ ხოლო } PT < \text{თუ } (R = D) > C$$

(წყარო: შედგენილია ავტორის მიერ)

რომელიც შემდეგნაირად იშიფრება: მოგება პერიოდზე მეტია თუ საქონლის რეალიზაცია არის ნაღდი ან უნაღდო არადებიტორული დავალიანებით, ხოლო მოგება ნაკლებია თუ საქონლის რეალიზაცია არის დებიტორული დავალიანებით რომელიც მეტია ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით გაყიდვაზე.

ასევე მიგვაჩნია, რომ კომპანიას ბრუნვების უმეტესობის ნაღდი ანგარიშწორების შემთხვევაში აკუმულირებული მოგების რეინვესტირების საშუალება ექნებოდა, რაც თავად მაღაზიის მოდერნიზაციას და ასორტიმენტის გაზრდის საშუალებას მისცემდა.

ამით კი შესაძლებელი იყო მეორე ფაქტორის კონკურენციის (რომელიც გამოწვეული იყო სხვა მაღაზიის ფართო ასორტიმენტით და მოდერნიზებული დიზაინით) სტაბილიზაცია ან რისკის მინიმუმამდე დაყვანა.

მენეჯმენტის ფაქტორი. ორმა პარტნიორმა თანაბარი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნა მამაკაცის ფეხსაცმლის მაღაზია მარნეულში. საქონელი შემოჰქონდათ ლილოდან და აზერბაიჯანიდან. ბიზნესი დაიწყო ნორმალურად, თუმცა მეორე პარტნიორმა ამონაგებიდან დაიწყო მისი წილის ყოველთვიური გატანა, უნდოდა მის მიერ ინვესტირებული თანხის სწრაფად ამოღება. მეორე პარტნიორს კი მისი წილის ინვესტირებისათვის ჰქონდა სესხი აღებული ბანკიდან და თანხებს იღებდა ბანკში სესხის დასაფარად. მთავარი მიზეზი პარტნიორის მიერ თანხების გატანის იყო ის, რომ თუ ერთს გაჰქონდა სესხის შენატანის თანხა, მანაც დაიწყო იგივე რაოდენობის თანხის აღება ნავაჭრიდან. გატანილ თანხებს უკვე ვეღარ აკომპენსირებდა მოგება. პარტნიორები ვერ შეთანხმდნენ და მოუხდათ ბიზნესის შეწყვეტა. ბიზნესი დამოუკიდებლად ვერც ერთმა ვერ გააგრძელა, ვინაიდან ერთს ჰქონდა საკუთარ ფართი და მეორეს ჰქონდა საქონლის მომწოდებლებთან კავშირები (**ინტერვიუ 2017.11**).

ამ შემთხვევაში იკვეთება წმინდა მენეჯმენტის კრიზისი, კერძოდ ბიზნესის საწყის ეტაპზე არ მოხდა პარტნიორებს შორის შეთანხმება საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის განკარგვისა და ბიზნესის განვითარების ზოგადი გეგმის შესახებ, ამასთანავე შეიძლება ვარაუდი, რომ ამ გაუგებრობის პროვოცირება გამოიწვია საბანკო სესხის ყოველთვიური დაფარვისათვის აღებულმა თანხებმა, ვინაიდან მეორე მეწილის არგუმენტაცია წილის გატანაზე იყო სწორედ ის, რომ: „თუ ის იღებს შემოსავლიდან სესხის თანხას, მეც ავიღებ იგივე რაოდენობის თანხას ჩემი წილიდან, და არ დაველოდები წლის ბოლოს რამდენი იყო მოგება და ზარალი. ზარალით რომ დავამთავროთ წელი იმას შერჩება გადახდილი სესხი და მე დავზარალდები.“ აქ არანაირად არ იკვეთება დაკრედიტების პოლიტიკის ან საფინანსო ინსტიტუტის მიზეზი, ვინაიდან ბანკის მიერ დაფინანსებული იყო ფიზიკური პირი დამოუკიდებლად და არა ბიზნესი ან ბიზნეს პროექტი, შესაბამისად გათვალისწინებული ვერ იქნებოდა ბიზნესის განვითარების ეტაპები და ფინანსური ოპერაციების დაგეგმარების სპეციფიკა. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ქეისში

პირდაპირ იკვეთება ბიზნესის დაწყების/ორგანიზების პირველ ეტაპზე დაშვებული წმინდა მენეჯერული ხარვეზი, რაც გამოიხატება ფინანსური რუსურების განკარგვის დაუგეგმავობისა და ბიზნესის განვითარების ეტაპების განუსაზღვრელობაში.

დაკრედიტების პოლიტიკისა და მენეჯმენტის ფაქტორი. კომპლექსური ფაქტორების გამოვლენის თვალსაზრისით საინტერესოა ქეისი, კერძოდ რომელიც ეხება საქართველოს ერთ–ერთ ქალაქში (ზაფხულის საკურორტო ქალაქი) აშენებულ კაფეს.

ინდ. მეწარმემ, რომელიც შემოსავალს იღებდა სეზონურად, ზაფხულში, დამსვენებლებზე, საკუთარი სახლის ოთახების გაქირავებით გადაწყვიტა სახლის წინ კომერციული ფართის მოშენება, რომელშიც განთავსებული იქნებოდა საკვები ობიექტი. საკუთარი ფინანსური რესურსი არ იყო საკმარისი და დაიმატა დაახლოებით 50.000 ლარის ოდენობის სესხი. სესხი იყო ყოველთვიური გადახდით ანუიტეტის⁷ ფორმულით. კაფე აშენდა და მისი ექსპლუატაციაში შესვლა დაემთხვა ზაფხულის პერიოდს. ტურისტული სეზონიდან გამომდინარე ობიექტმა 4 თვე კარგად იმუშავა, ხოლო ტურისტული სეზონის დასრულების შემდეგ ოქტომბრის თვიდან უკვე მკვეთრად დაეცა ნავაჭრი და ნოემბრის ბოლოს მთლიანად შეჩერდა. სესხის ყოველთვიურ გადახდა შეუძლებელი იყო, ამიტომ ბანკმა მოახდინა სესხის გადავადება მთლიანად სეზონურ შემოსავლებზე, ვინაიდან კაფეს მფლობელებმა სესხის დაფარვის ოპტიმალურ ვარიანტად მიიჩნიეს სეზონური გადახდები. დაიწყო კაფე ბარის შენობის სეზონური გაქირავება, სადაც ამუშავებენ სეზონურ მაღაზიას. გადავადების შემდეგ სესხის საპროცენტო ხარჯების სხვაობა ასე გამოყურება: სტანდარტულად ყოველთვიური შენატანის შემთხვევაში 50.000 ლარიან სესხს, წლიურ 12%-ში, 5 წლით საპროცენტო ხარჯი ექნებოდა 16,730 ლარი, ხოლო სეზონური გადახდებით წელიწადში ერთი გადახდით იგივე ვადით იგივე %-ში კი გამოვიდა 19,355 ლარი. როგორც ვხედავთ გარდა მენეჯერული ფაქტორისა იკვეთება კიდევ ერთი ფაქტორი მარკეტინგული, კერძოდ ის რომ სათანადოდ არ იყო თავდაპირველად გათვლილი ბიზნესის სეზონური ხასიათი და შემოსავლების არასისტემატიურობა

⁷ სესხის დაფარვის ფორმა, რომელიც გულისხმობს სესხზე ძირითადი თანხის და პროცენტის თანაბარ წილებით დაფარვას.

ამან სესხის პირობების ცვლილების გამო გამოიწვია ფინანსური ზარალიც, რაც 2625 ლარით სესხის გაძვირებაში გამოიხატა. (მიზეზი არის შემდეგი, ანუიტეტის წესით, ყოველთვიური გადახდების დროს სესხის გრაფიკით იფარება ძირითადი თანხა და პროცენტი, ხოლო ყოველ მომდევნო თვეს უკვე სესხის დარჩენილ ძირითად თანხას ერიცხება უფრო ნაკლები პროცენტი ვიდრე წინა თვეში. წელიწადში ერთი გადახდის შემთხვევაში ეს პრინციპი დარღვეულია და მთელი წელი პროცენტი ერიცხება წინა წლის გადახდის შემდეგ დარჩენილ ძირს) ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსგავსი სახის სესხის პირობების ცვლილების შემთხვევაში სასურველია სესხის საპროცენტო განაკვეთის შემცირება, რომ კლიენტის ფინანსური ზარალი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

მენეჯერული ფაქტორი. კომპანიის მიზანი იყო კორპორაციული ავტო მომსახურების დანერგვა ბაზარზე. მენეჯმენტში იყო ორი ადამიანი, რომლებიც

პარალელურად მუშაობდნენ სხვა სამსახურში. ბიზნესს დიდი ბრუნვა არ ჰქონია, თუმცა მიმდინარე ხარჯებს ასწორებდა. მოლოდინები ჰქონდათ უფრო მეტი, მაგრამ იმის გამო რომ ვერ ახერხებდნენ პოტენციურ კლიენტების მოზიდვასა და სათანადოდ მარკეტინგულ ღონისძიებებს ვერ ახორციელებდნენ, კლიენტების რაოდენობის უცვლელობამ დასვა დღის წესრიგში ბიზნესის დახურვის საკითხი. მფლობელების აზრით: „სათანადოდ რომ მოგვეხდინა ამ სერვისის ინფორმირება და მოგვეცალა ბიზნესისათვის ბიზნესი განვითარდებოდა და სავარაუდოდ გვეყოლებოდა მეტი კლიენტი, თუმცა რაც იყო იყო—გამოცდილება შევიძინეთ რომელიც სავარაუდოდ მომავალში გამოგვადგება“ (ინტერვიუ 2018.02). აქ პირდაპირ იკვეთება ისევ მენეჯმენტისა და დაგეგმვის პრობლემა, ერთგვარ სატესტო საქმიანობას ჰგავს აღნიშნული ქეისი. მიზეზი გასაგებია, დამფუძნებლებს იმ ეტაპზე ნაკლები შრომით მოლოდინი ჰქონდათ რომ მათ ხელფასზე მეტი შემოსავლი იქნებოდა ამ საქმიანობიდან და სწორედ ამ შემთხვევაში გადაერთვებოდნენ სრულიად ამ საქმეზე, მაგრამ მათი ყოველთვიური შემოსავლები და ხარჯები წლების განმავლობაში იყო ერთგვარად დაბალანსებული და ბიზნესის განვითარების იმედგაცრუებამ და მიმდინარე შემოსავლის დაკარგვის საშიშროებამ გამოიწვია მათი პასიურობა და ბიზნესის დახურვა. პრობლემა არის წმინდა მენეჯერული და აქ ბიზნესის კრიზისის დამატებითი ფაქტორი არ იკვეთება.

ფორს მაჟორი. ერთ-ერთ რაიონში საკალმახეს, რომელიც აშენებული იყო ერთ-ერთ სოფელში მდინარის წყლის გამოყენებით, საქმიანობის დიდი გამოცდილება გააჩნდა-თითქმის ორი ათწლეული. ამ პერიოდში არაერთხელ ყოფილა მდინარის მცირედი აღიდება, რომელსაც ქვიშის დიდი რაოდენობის შეტანის გამო ავზში თევზებისათვის ზიანი მიუყენებია, თუმცა თევზის, რომელთაც ლაყურები ევსებოდა ქვიშით და უჟანგბადობით იხოცებოდა, გაყიდვა შესალებელი იყო. მაგრამ წინა წელს მოვარდნილი ნიაღვარის გამო ავზში შევიდა დიდი რაოდენობის სილა, ბასეინები გადაივსო წლით და დახოცილი თევზი მოექცა ქვიშისა და ტალახის საფარქვეშ. დახოცილი თევზი რომ სილიდან ამოეღოთ რამდენიმე დღე სჭირდებოდა, ამ დროს გამოვიდა ამინდი და სრული რაოდენობა თევზის გაფუჭდა. კომპანიამ ვერ მიიღო ვერანაირი კომპენსაცია ან დახმარება მთავრობისაგან, ასევე პრობლემა უფრო გამწვავდა ვინაიდან კომპანიას ჰქონდა სესხი ბანკში. ბანკმა გაუწია რესტრუქტურისაციით შეღავათი თუმცა იმდენად, რამდენადაც ვერ მოხერხდა საქმიანობის აღდგენა უსახსრობის გამო, სესხი ვადაგადაცილებაში აღმოჩნდა და საქმე სასამართლოს გადაეცა. ბანკის მიზანი უზრუნველყოფის რეალიზების საშუალებით ვალდებულების განულებაა. ბიზნესი კრიზისშია (**ინტერვიუ 2017.09**).

ზემოაღნიშნული ქეისის ანალიზის დროს, ფორს-მაჟორულ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის ერთადერთი პირდაპირი ბერკეტი არის სახელმწიფოს მიერ კომპენსაცია ან კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ ბიზნესის დაზღვევის შესაძლებლობა. ბიზნესის მეპატრონის განცხადებით: „სადაზღვეო კომპანიის მიერ შეთავაზებული იყო მხოლოდ შენობის დაზღვევა, ასე გაგვიცხადეს მსგავს საბრუნავ საშუალებას არ ვაზღვევთ“. კვლევის ფარგლებში დავუკავშირდით საქართველოში მოქმედ სადაზღვეო კომპანიებს ინფორმაციის გადასამოწმებლად, მივმართეთ შეკითხვით: არსებობს თუ არა სადაზღვეო პროდუქტი, რომელიც დააზღვევს აღნიშნული ტიპის ბიზნესის საბრუნავ საშუალებებს განადგურებისაგან?-მოცემულ შემთხვევაში თევზის მეურნეობას. სადაზღვეო კომპანიების ერთმა ნაწილმა პირდაპირ უარი გაგვიცხადა მსგავსი რისკის დაზღვევაზე, ხოლი მეორე ნაწილმა განაცხადა, რომ შესასწავლია მეურნეობა დეტალურად და ინდივიდუალურად უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება რისკების განსაზღვრის შემდგომ.

დაზარალებული კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით მათ ამ შემთხვევამდე არაერთხელ დაინტერესდნენ საკალმახის დაზღვევით და უმეტესი სადაზღვეო კომპანიისაგან მიიღეს უარი დაზღვევაზე, ხოლო რამოდენიმე კომპანიამ მოითხოვა საკმაო დიდი რაოდენობის წლიური დაზღვევის გადასახადი, რაც მათთვის მიუღებელი იყო.

ჩვენთვის საინტერესო იყო ის შესაძლო მიზეზები, თუ რატომ არ აზღვევენ მსგავს რისკებს სადაზღვეო კომპანიები. საექსპერტო ინტერვიუს ფარგლებში სადაზღვეო საქმის სპეციალისტმა, პროფესორმა ასიე ცინცაძემ აღნიშნა, რომ: აქ იკვეთება ორი პრობლემა სადაზღვეო კომპანიების მხრიდან: „პირველი ის რომ ბიზნესის ეს სახეობა არის მაღალრისკიანი, იმის გათვალისწინებით რომ შესაძლოა მსგავსი კატეგორიის საბრუნავი საშუალებები განადგურდეს მაგ., ეპიდემიით, ვირუსით ან უბრალოდ ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ამიტომაც სადაზღვეო კომპანიას ექმნება რთული სიტუაცია, კერძოდ სრულიად განადგურებული დაზღვეული რისკი რომელიც მათი არც თუ ისე დიდი ფორტფელიდან უნდა ანაზღაურდეს მთლიანად. აქვე შეიძლება გავაერთიანოთ მათი კაპიტალის სიმცირის მომენტი და მეორე, სადაზღვეო კომპანიებს არ აქვს ასეთი რისკების შეფასებისათვის სათანადო გამოცდილება/კვალიფიკაცია, კერძოდ არსებობს კალკულაციის მეთოდის გამოყენების პრობლემა“.

ჩვენთვის მისაღებია პროფესორ ასიე ცინცაძის არგუმენტაცია და დავამატებდით კიდევ ერთს, რომ სადაზღვეო ბაზრის განვითარების პარალელურად დღითი-დღე მრავალფეროვნდება მათი პროდუქტები, იზრდება პორტფელი და იხვეწება საქმიანობის მეთოდოლოგიაც, რაც გვამღევეს ვარაუდის შესაძლებლობას, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება ბიზნესის ამ სეგმენტის ზემოაღნიშნული კატეგორიის რისკების დაზღვევაც. რაც შეეხება ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიციას, სასურველია სახელმწიფოს ჰქონდეს ბიზნესის ფორს-მაჟორულ სიტუაციებზე გათვლილი სარეზერვო ფონდი, ოღონდ კონკრეტულად იმ ბიზნესების მხარდასაჭერად, რომელთაც აქვთ საქმიანობის მდგრადი გამოცდილება, მითუმეტეს, რომ ბიზნესის შეწყვეტის შედეგები პირდაპირპროპორციულად აისახება კონკრეტული რეგიონის, სოფლის ან ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ

განვითარებაზე და რომლის არსებობა მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისა და ცნობადობისათვის. კომპენსაცია არის გამოსავალი სახელმწიფოს პოზიციიდან, ხოლო რისკების დაზღვევა ბიზნესის პოზიციიდან, თუმცა სადაზღვევო პაკეტების მსგავს შემთხვევებზე მორგება სახელმწიფოს ინტერესიც უნდა იყოს.

მარკეტინგის, მენეჯმენტის და მოსახლეობის სოციალური ფაქტორი. კვლევის ფარგლებში ერთ ერთი საინტერესო ქეისია წიგნების მაღაზიის შემთხვევა. ერთ-ერთ უბანში გაიხსნა წიგნების მაღაზია, ეს იყო დასახლება სადაც დაახლოებით ბოლო 20 წელი ან მეტი არ არსებობდა წიგნების მაღაზია. ბიზნესის მფლობელის განცხადებით, ბიზნეს მიმართულების შერჩევის დროს სწავლობდნენ რომელი სფეროა აუთვისებელი კონკრეტულ ტერიტორიაზე, რამაც განაპირობდა ამ ტერიტორიაზე წიგნების მაღაზიის გახსნა. ახალი ობიექტის პრეზენტაციის დღიდან ბევრი ადამიანი შედიოდა, მაგრამ ძირითადად დათვალიერების მიზნით. გაყიდვების რაოდენობა 5 თვის განმავლობაში იყო ძალიან მცირე, თითქმის ყოველი თვე ერთნაირი, რომლიც ხარჯებს ვერ ასწორებდა. იმდენად, რამდენადაც ბიზნესს არ ეტყობოდა ზრდის და განვითარების ტენდენცია მეპატრონემ 6 თვის შემდეგ გადაწყვიტა ბიზნესის დახურვა. დახურვის მიზეზს კი შემდეგნაირად ასაბუთებს: „ბიზნესის დაწყებამდე მოხდა ბაზრის არასწორი კვლევა. ჩვენ მივუდექით არასწორი მიმართულებით, კერძოდ რომელი სეგმენტი იყო აუთვისებელი ის დავადგინეთ და ვეცადეთ ის სეგმენტი აგვეთვისებინა, მაგრამ არ დავფიქრებულვართ იმაზე, თუ რატომ აქამდე სხვამ არ გახსნა ამ ტერიტორიაზე წიგნების მაღაზია. უბანს არ ვიცნობდით კარგად და მთავარი მიზეზი წიგნებზე საშუალოზე დაბალი მოთხოვნა იყო.“ ინტერვიუდან გამომდინარე ჩვენ გამოვკვეთეთ ერთი მომენტი, ის რომ აქ ბაზრის არასრულყოფილი ანალიზი იყო ბიზნესის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი. კერძოდ, კონკრეტული ბიზნეს მიმართულების არ არსებობა ამ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო კვლევის საგანი და არა მხოლოდ აუთვისებელი სეგმენტი. ის რომ მოსახლეობის მხრიდან იყო წიგნებზე დაბალი მოთხოვნა, ეს მომენტი შეიძლებოდა დადგენილიყო წინასწარ ბაზრის სრულყოფილი ანალიზის შეთხვევაშიც. კვლევის ფარგლებში ასევე გაჩნდა დამატებითი საანალიზო მომენტი, კერძოდ წიგნებზე დაბალი მოთხოვნის მიზეზი ხომ არ იყო მაღალი ფასნამატი საქონელზე? აღმოჩნდა რომ ფასები უმეტეს წიგნებზე

იყო უფრო დაბალი, ვიდრე სხვა წიგნების ქსელურ მაღაზიებში. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქეისის კრიზისის ფაქტორები შეიძლება იყოს კომპლექსური, კერძოდ მარკეტინგის, მენეჯმენტის და ასევე ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაბალი სოციალური მდგომარეობის ფაქტორი.

ცხრილი N16: ქეის სტადის შედეგების ფაქტორული კლასიფიკაცია და რეკომენდაციები

ბიზნესის სახეობა	კრიზისის ფაქტორის დასახელება	სახელმწიფო რეგულირების ნორმა	შეთავაზებული მოქმედების სტრატეგია კომპანიის მხრიდან განსახორციელებელი	სახელმწიფოს მიერ კრიზისის პრევენციის სავარაუდო სტრატეგია
სამშენებლო ინვენტარი	კონკურენციასა და მონეტარული პოლიტიკის ფაქტორი	1. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 კანონი კონკურენციის შესახებ; 2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 11 მაისის ბრძანება №127/01 „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა ბაზარზე სავალუტო სვოპ ოპერაციების განხორციელების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე	1) მომწოდებლის დივერსიფიკაცია 2) კონსიგნაციის ვადის შემცირება	1) მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული საგარეო შოკების გავლენისგან სავალუტო ბაზრის დაცვასა და ვალუტის კურსის მკვეთრი ცვალებადობისგან დაცვაზე. 2) საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები.
სურსათის მაღაზია	მენეჯმენტის ფაქტორი	ამ მიმართულებით რეგულაცია არ არსებობს თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე	დებიტორული დავალიანებების კონტროლის მექანიზმი	
ფეხსაცმლის მაღაზია	მენეჯმენტის ფაქტორი	ამ მიმართულებით რეგულაცია არ არსებობს თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე	1) კომპანიის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა 2) ფულადი რესურსების განკარგვის განსაზღვრა	
სეზონური კვების ობიექტი	დაკრედიტების პოლიტიკისა და მენეჯმენტის ფაქტორი	საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, თბილისი, 2009 წლის 24 სექტემბერი. N 1676 – III	1) ბიზნეს ბაზრის კვლევა სეზონურ და არასეზონურ ჭრილში 2) სესხის გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში ვადის	სესხის ვადის ცვლილების / რესტრუქტურირაციის შემთხვევაში სესხის სრულ პერიოდზე გადასახდელი პროცენტის მოცულობის

			ბოლომდე გადასახდელი საპროცენტო სარგებლის დათვლა/კონტროლი	თავდაპირველი სახით შენარჩუნება
ავტო სერვისი	მენეჯმენტის ფაქტორი	ამ მიმართულებით რეგულაცია არ არსებობს თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე	არ იყო გამოკვეთილი ბიზნესის სამომავლო განვითარების სურვილი	
თევზის მეურნეობა	ფორს მაჟორი		კლიენტს უნდა მიემართა სადაზღვეო კომპანიისათვის და ჰქონოდა დაზღვეული რისკების ნაწილი მაინც.	სასურველია სახელმწიფოს ჰქონდეს ბიზნესის ფორს-მაჟორულ სიტუაციებზე გათვლილი სარეზერვო ფონდი, კონკრეტულად იმ ბიზნესების მხარდასაჭერად, რომელთაც აქვთ საქმიანობის მდგრადი გამოცდილება, ბიზნესის შეწყვეტის შედეგები პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია კონკრეტული რეგიონის, სოფლის ან ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და რომლის არსებობა მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისა და ცნობადობისათვის.
წიგნების მალაზია	მარკეტინგის, მენეჯმენტის და მოსახლეობის სოციალური ფაქტორი.	ამ მიმართულებით რეგულაცია არ არსებობს თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე	დაშვებული იყო მარკეტინგული კუთხით შეცდომა, რომელმაც გამოიწვია არასწორ სემენტში ინვესტირება.	

წყარო: ცხრილი მომზადებულია ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, ჩანს, რომ ძირითადად გამოიკვეთა მენეჯმენტის პრობლემა, რომელიც სხადასხვა სახით გამოვლინდა. კომპანიების ნაწილმა შეცდომები ძირითადად ბიზნესის დაწყების პროცესში დაუშვა, (ბიზნეს სტრატეგიის განსაზღვრა, ბაზრის კვლევა, ფინანსების წარმოებისა და განაწილების პროცესის დაგეგმვა, ბიზნესისადმი არაპროფესიული დამოკიდებულება)

მეორე ფაქტორია დაკრედიტების პოლიტიკა, სადაც ბიზნესის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და კრედიტის პირობების ურთიერთმიმართება აუცილებელ გასათვალისწინებელ პირობას წარმოადგენს.

სხვა ფაქტორს მიეკუთვნება ასევე, კონკურენცია და მონეტარული პოლიტიკა (ამ შემთხვევაში ვალუტის კურსის ცვალებადობა) მნიშვნელოვანი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები აღმოჩნდა, თუმცა იმდენად, რამდენადაც ვალუტის კურსის ცვალებადობამაც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირებაში, ვფიქრობთ ეს ფაქტორიც უნდა იქნას ცალკე გამოყოფილი, როგორც მონეტარული პოლიტიკის ფაქტორი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ფორს მაჟორის ფაქტორი იმსახურებს, რადგან გამოვლენილ პრობლემებს ერთდროულად სპეციფიური დამახასიათებელი თვისებები აქვს; და შეიძლება მისი განზოგადება (სახელმწიფო პროგრამების საჭიროება, სადაზღვეო სისტემის ადაპტირება და ა.შ.) თეორიული ლიტერატურის და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების შეჯერებით შეიძება ითქვას, რომ ძირითადად, კომპანიების კრიზისის მიზეზებს მიეკუთვნება: მენეჯმენტის, დაკრედიტების, კონკურენციის, მონეტარული პოლიტიკისა და ფორს-მაჟორული ფაქტორები.

მენეჯმენტის ფაქტორი - მენეჯმენტის მიერ ბიზნესში გამოცდილების არ ქონის გამო კრიზისის წარმოშობის შესაძლებლობაზე საუბრობს მ.დ. ეიმსი (Ames, 1995), ე.ჯ. ფრიდლანდი (Fredland, Morris, 1976), ჩარლზ ტუშაბომვე (Tushabomwe, 2006).

დაკრედიტების პოლიტიკა - არასწორი, დაკრედიტების პოლიტიკას, დაკრედიტების ცუდ მექანიზმებს კომპანიის კრიზისის გამომწვევ მიზეზად მიიჩნევენ ასევე მ.დ. ეიმსი (Ames, 1995), ოგუიჯიუბა, ოჯუჩე, ადენუგა (Ogujiuba, 2004).

კონკურენცია - ჩვენი შედეგების საწინააღმდეგოდ ადამ სმიტი მიიჩნევდა რომ თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე კონკურენცია ავითარებს ბაზარსა და ეკონომიკას. შესაძლოა ბაზარი და ეკონომიკა განვითარდეს, ბაზარი „გაიფილტროს“ არამდგრადი ბიზნეს სუბიექტებისაგან, რომლებიც არიან ბაზარზე არამოქნილები, ასევე მათი პროდუქცია არ არის საუკეთესო ხარისხის და არ აქვთ თანამედროვე მახასიათებლები, მაგარამ ეს „გაფილტვრის“ შედეგი ხომ არის სხვა ბიზნეს სუბიექტების კრიზისის საფუძველი?!

მონეტარული პოლიტიკა - მონეტარული პოლიტიკის განმსაზღვრელ როლზე ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაში საუბრობდა თავის ნაშრომში ასევე ჯ.მ კეინსი, (Keynes, 2003), ა. ჰანსენი (Hansen, 1939); კრიზისების მართვა საკრედიტო ინტერვენციებით ჯ. შუმპეტერი (Schumpeter, 2003) და სხვები.

ფორს მაჟორი - როგორც დამოუკიდებელი ყველაზე რთული არარეგულირებადი და არაპროგნოზირებადი ფაქტორი.

ამ კლასიფიკაციასთან ერთად შესაძლებელია კიდევ ერთი მიდგომის გამოყენებაც. კერძოდ, ფაქტორები, რომლის რეგულირება შეუძლია სახელმწიფოს და ფაქტორები, რომელსაც არეგულირებს ბაზარი.

რეგულირებას დაქვემდებარებული ფაქტორებია: „დაკრედიტების პოლიტიკა“, „კონკურენცია“ და „მონეტარული პოლიტიკა“, არარეგულირებადი ფაქტორია „მენეჯმენტის ფაქტორი“ და თავისთავად „ფორს მაჟორი“.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ანალიზი და ფაქტორების გამსხვილების/დაჯგუფების მეთოდი, გვაძლევს საშუალებას შემდეგი ძირითადი პრობლემების გამოკვეთის, ანუ ბიზნეს სუბიექტების კრიზისის გამომწვევი ფაქტორების 60% არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფაქტორები, რომელთა გაძლიერება-შემცირების ბერკეტი აქვს სახელმწიფოს, ფაქტორების დაახლოებით 20% არის კომპანიის შიდა რეგულირების მექანიზმებს დაქვემდებარებული, ხოლო ასევე დარჩენილი 20% არის დაუძლეველი ძალა ფორს-მაჟორი, რომლის რეგულირება და პრევენციის ალბათობა არის მინიმალური.

მკვლევარები ლ. გრეინერი, ი. ადიზესი და სხვები კომპანიების კრიზისში შესვლის სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ყველა მათგანი ვიწროვდება ორ დიდ ჯგუფად: გარე და შიდა ფაქტორებად.

გარე ფაქტორი - კომპანიისგან დამოუკიდებელი მოვლენა, რომელზეც რაიმე სახის გავლენის მოხდენა კომპანიას არ შეუძლია. გარე ფაქტორი შეიძლება იყოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფორს მაჟორი, კონკურენცია, პროდუქციის ან მომსახურეობის მორალური ცვეთა და სხვა...

ხოლო შიდა ფაქტორი შესაძლებელია იყოს: მენეჯმენტის პრობლემა, თანამშრომელთა დაბალი კომპეტენცია, პროდუქციის-მომსახურეობის ხარისხის ცვლილება და სხვა... ზოგადად გარე და შიდა ფაქტორები მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან, ვინაიდან შიდა ფაქტორებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს გარე ფაქტორების მოქმედების გაძლიერებას და პირიქით.

ადამ სმიტის (სმიტი, 2007) აზრით, გარდა ბუნებრივი და არაბუნებრივი ფაქტორებისა არის კიდევ ერთი ფაქტორი - სახელმწიფო, ხელისუფლება, რომელმაც შესაძლებელია ასევე იმოქმედოს ბიზნესზე და მისი ჩარევით მოხდეს ამა თუ ფასის რეგულირება. ბიზნეს გარემოს ზემოქმედებაზე ადამ სმიტს სახელმწიფო ზემოქმედება გამოყოფილი აქვს ცალკე მექანიზმად და მას არ აერთანებს სახელმწიფო რეგულაციებისა და პოლიტიკის ჯგუფში.

დუგლას ნორთის (North, 1990) მოსაზრებით, ბაზარი არის რთული და არაერთმნიშვნელოვანი მოვლენა. ის წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ინსტიტუტებს: კანონებს, თამაშის წესებს, ასევე ქცევის განსაზღვრულ კოდექსებს, უთიერთობისა და კავშირების ტიპებს. ინსტიტუტები, ნორთის მოსაზრებით, ეს არის წესების ერთობლიობა, შესაბამისობის პროცედურა, მორალური და ეთიკური ქცევა ინდივიდუუმების, შემოსავლის მაქსიმიზაციის ინტერესისათვის. ინსტიტუტები ეს არის ადამიანების მიერ შემუშავებული ფორმალური (კანონი, კონსტიტუცია) და არაფორმალური (შეთანხმება, ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსი) შეზღუდვები ასევე იძულების ფაქტორები, რომელიც ახდენს მათი ურთიერთმოქმედების, ყველა ეს კი ქმნის საზოგადოებისა და ეკონომიკის სტიმულირებულ სტრუქტურას. ეკონომიკის ინსტიტუციური განვითარება ხდება ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ურთიერთქმედების გავლენით, სადაც პირველი განსაზღვრავს „თამაშის წესებს“, ხოლო მეორე გამოდის „მოთამაშის“ როლში (Мильнер, 2000, ст.25).

ზემოაღნიშნული ცალკეული შემთხვევების ანალიზი და ფაქტორების კლასიფიკაცია, გვამღებს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ამ დარგში მოღვაწე მეცნიერების მიერ შემუშავებული გაკოტრების პროგნოზირების მოდელების (ალტმანის, ლისის, ბივერის, სპრინგეიტისა და სხვათა

ნაშრომებში) ქართულ სინამდვილეში იდეური თანხვედრა არ ხდება, ვინაიდან საქართველოში გაკოტრება, იგივე გადახდისუუნარობის საქმის დასრულება მოვალის გაკოტრებულად გამოცხადებით (საქართველოს კანონი 28.03.2007), არის ინსტიტუტი, რომელიც შეუძლია გამოიყენოს როგორც დებიტორს ასევე კრედიტორს ცალმხრივად, ნებაყოფლობით, ხოლო გადახდისუუნაროდ/გაკოტრებულად გადაწყვეტილებას იღებს დასავლეთ საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლო. ანუ გაკოტრება არ ნიშნავს პრობლემების, კრიზისული მდომარეობის გამო ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის შეწყვეტას, ეს არის ინსტიტუტი რომელზეც მიმართვა არის მხარეთა მიერ ნებაყოფლობითი პროცესი და რომლის მიზანია ბიზნეს სუბიექტის გადახდისუუნაროთ გამოცხადება, ან რეაბილიტაციის რეჟიმში გადაყვანა. შეიძლება ითქვას რომ გადახდისუუნარობის ინსტიტუტის არსებობის მიზანი დებიტორისა და კრედიტორის უფლებების თანაბარზომიერ დაცვაა. შესაბამისად, საქართველოში გაკოტრებულად/გადახდისუუნაროდ გამოცხადება არის სასამართლოს პრეროგატივა და ეს არ არის კომპანიის საქმიანობის დასრულების ამსახველი ტერმინი. ამიტომაც ზოგადი კრიზისის პროგნოზირებისათვის არ შეიძლება უნივერსალურად მივიჩნიოთ რომელიმე გაკოტრების რისკის პროგნოზირების მოდელი, მითუმეტეს, რომ თითოეული მათგანი მორგებულია იმ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასა და ასევე ბიზნესის იმ ორგანიზაციულ ფორმებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ მოდელების შექმნისა და შემოწმების პროცესში.

- მაკროეკონომიკური ფაქტორები აძლიერებს ბიზნეს სუბიექტის კრიზისის გამომწვევ შიდა ფაქტორებს და შესაბამისად კომპლექსური, მრავალფაქტორიანი კრიზისული სიტუაციები უფრო რთულ სტაბილიზაციისა და საბოლოო რეაბილიტაციის ღონისძიებებს საჭიროებს. თუ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მაგ., კომპანიის ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, მაგრამ ქვეყანაში კვლავ გრძელდება საგარეო შოკების გავლენით ვალუტის კურსის მერყეობა, შესაძლებელია ანტიკრიზისულ ღონისძიებებში ჩადებული ინვესტიცია კიდევ უფრო

ზარალიანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის. შესაბამისად სახელმწიფოს როლი მაკროეკონომიკური ფაქტორების სტაბილიზაციისათვის არის ბიზნესისათვის გადამწყვეტი.

- თანამედროვე, მოდერნიზებული ბიზნეს ობიექტები შესაძლებელია გახდნენ იგივე ბიზნეს სეგმენტში მომუშავე ძველი მოდელის, აღჭურვილობისა და ტექნოლოგიის ობიექტების კრიზისში შესვლის მიზეზი. მართალია, ტექნოლოგიური გადაიარაღება შუქცევადი პროცესია ბიზნესის განვითარებაში, თუმცა ამ პროცესების კვადაკვალ ხდება ფინანსურად შედარებით სუსტი ბიზნეს სუბიექტების ბაზრიდან გაქრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება უფრო და უფრო იწვევს დასაქმებულების ჩანაცვლებას დისტანციური ან ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც ასევე დროის გარკვეულ პერიოდში შექმნის დასაქმებული ადამიანური რესურსის კომპიუტერულ-ტექნოლოგიური საშუალებებით ჩანაცვლებას, ხოლო ის ბიზნესები რომლებიც შეეცდება შეინარჩუნოს მდგომარეობა ტექნიკურ გადაუიარაღებლობის გარეშე, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ განწირულია კრიზისისა და ლიკვიდაციისათვის.

- კომპანიების მენეჯემენტისათვის, კრიზისის დროს კომპანიის ყოველდღიური ფინანსური ანალიზი არ უნდა იქცეს ერთადერთ, ძირითად საქმედ, არამედ საქმიანობა უნდა იყოს მიმართული ძირითადი, ყოველდღიური პრობლემების, მიმდინარე გამოწვევების, სტრატეგიული მიმართულებების ანალიტიკაზე, როგორებიცაა: კონკურენცია, ვალუტის კურსის ცვალებადობა, ფისკალური პოლიტიკის სიახლეები და სხვა მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორები. ხოლო იმ ბიზნეს სუბიექტების ხელმძღვანელობა, რომელიც პასიურ მდგომარეობაში დაელოდება კრიზისული სიტუაციის სტაბილიზაციას სუბიექტურად ზრდის კომპანიის ლიკვიდაციის რისკს.

§3.2. ბიზნეს სუბიექტის პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის მოდელის ფორმირების მეთოდოლოგია

ბიზნეს სუბიექტის ანტიკრიზისული მართვა არის იმ მეთოდების ერთობლიობა, რომელსაც კომპანიის მენეჯმენტი ან ნებისმიერი სხვა მესამე მხარე მიმართავს, კონკრეტული ბიზნეს სუბიექტის კრიზისული სიტუაციის დასაძლევად. იშვიათია, რომ კომპანიას წინასწარ ჰქონდეს გათვლილი, ან განსაზღვრული, მისი საქმიანობის რისკ ფაქტორების დაძლევის სამოქმედო გეგმა.

იმისათვის რომ კომპანიას არ გაუჭირდეს სტრატეგიის შემუშავება, უპირველეს ყოვლისა უნდა ახდენდეს ბაზრისა და მიმდინარე ზოგადი პრობლემების მუდმივ მონიტორინგს, უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი მოსალოდნელი და ნაკლებ მოსალოდნელი რისკები; პერიოდულად უნდა გაანალიზოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ცალკეული კომპონენტების მიხედვით და ასევე უწყვეტ რეჟიმში უნდა აკვირდებოდეს ვალუტის კურსის ცვალებადობას. ეს არის ის მოკლე ჩამონათვალი, რომელიც ანტიკრიზისული სტრატეგიის მომზადების პროცესში არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ანტიკრიზისული მართვის ზოგადი მეთოდოლოგია. ძირითადად, ანტიკრიზისული მართვის მეთოდოლოგიაში მოიაზრებენ ხარჯების შემცირებას, დებიტორული დავალიანებების დაჩქარებულ ამოღებას, საკრედიტო ვალდებულების რესტრუქტურირებას, ორგანიზაციის რეორგანიზაციას და სხვა.

ამავდროულად ლიტერატურაში ანტიკრიზისული მართვის დროს აქცენტი კეთდება შიდა ფაქტორების კონტროლსა და განეიტრალებაზე. თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ანტიკრიზისული მართვის სისტემაზე გადასვლამდე თანაბრად გასაანალიზებელია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორები და მათ შორის ჩვენს მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოდგენილი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგები.

ზოგადად ანტიკრიზისული მართვის არსი მდგომარეობს შემდეგში:

- ✓ კრიზისი შეიძლება განისაზღვროს და აცილებულ იქნას;
- ✓ კრიზისი შეიძლება დაჩქარებული ან გადავადებული იყოს;

✓ კრიზისის უარყოფითი შედეგები შეიძლება შემცირდეს მინიმუმამდე;

ე. კოროტკოვის (Коротков, 2007) აზრით, ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავების დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართვის სტრატეგიას. მასში ძირითადი ყურადღება ეთმობა კრიზისიდან გამოსვლის პრობლემას, უშუალოდ იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებმაც გამოიწვია კრიზისის წარმოქმნა. ანალიზდება ბიზნესის შიდა და გარე ფაქტორები. გამოიყოფა ის კომპონენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის; ხდება ინფორმაციის შეგროვება და თვალთვალი თითოეული კომპონენტის მიხედვით და რეალური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე იკვეთება კრიზისის საფუძვლები. კომპანიის მდგომარეობის ზუსტი, კომპლექსური და დროული დიაგნოსტიკა პირველი ეტაპია ანტიკრიზისული სტრატეგიის დაგეგმვა-შემუშავებისათვის. გარემოს ანალიზის დროს მიღებული დიდი ან მცირე ინფორმაცია, შეიძლება გახდეს საფუძველი რეალური მდგომარეობის დამახინჯების. ამიტომ, რომ მოხდეს სიტუაციის განვითარების რეალური და მკვეთრი სურათის ფორმირება საჭიროა სწორად გადანაწილდეს მიღებული შედეგები და ჩამოყალიბდეს ერთიანი ფორმით. ამ შემთხვევაში პროცესის ანალიზის რამოდენიმე ეტაპი გამოიყოფა:

- მაკროსფეროს ანალიზი, რომელიც პირობითად შეიძლება დავყოთ ოთხ სექტორად: პოლიტიკური გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალური გარემო და ტექნოლოგიური გარემო;
- კონკურენტული გარემოს ანალიზი მისი ხუთი შემადგენელით: მყიდველები, მომწოდებლები, კონკურენტები სფეროში, პოტენციური კონკურენტები, საქონლის შემცვლელი (Коротков, 2007).

საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა (ქეის სტადისა და ვალუტის ცვალებადობის გავლენის კვლევის პროცესში-კომპანიებს დაესვა შეკითხვა: ჰქონდათ თუ არა კრიზისული სიტუაციის დადგომის პრევენციისათვის რაიმე სამოქმედო გეგმა ან პრევენციული ღონისძიებების საორიენტაციო ჩამონათვალი?) ადასტურებს, რომ კომპანიები მაშინ იწყებდნენ ანტიკრიზისულ მართვასა და სტრატეგიაზე ფიქრს, როცა უკვე მათ რეალურად დაუდგათ კრიზისის საფრთხე.

თუმცა ჩვენი აზრით ანტიკრიზისული მართვის გეგმა უნდა იყოს პრევენციული ხასიათის, ის უნდა იყოს თითოეული კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი და პერიოდულად, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად ხდებოდეს მისი განახლება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება სტრატეგიების სხვადასხვა განმარტება და დახასიათება, მაგ.: მაიკლ პორტერი თავის სტატიაში „რა არის სტრატეგია“ განმარტავს: სტრატეგია არის უნიკალური და ღირებული პოზიციის შექმნა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობას (Porter, 1996, p.3). ბრიუს ჰენდერსონის განმარტებით: სტრატეგია არის სამოქმედო გეგმის განზრახული ძიება, რომელიც განავითარებს ბიზნესის კონკურენტულ უპირატესობას და გააძლიერებს მას (Henderson, 1989). ანტონ ულვიკის განმარტებით: სტრატეგია არის მარტივი გეგმა. ეს არის სამოქმედო გეგმა, რომელიც აღწერს ადამიანმა ან ორგანიზაციამ როგორ მიაღწიოს გაცხადებულ მისიას (Ulwick, 1999, p.23). კოლინ ვაითის აზრით: „სტრატეგია აერთიანებს ადამიანის მიზნების ფორმულირებას და ამ მიზნების მისაღწევად მოქმედებათა ორგანიზებას. მიზნების დასახვა შესაძლებლობის იდენტიფიცირებით ხორციელდება“ (White, 2004, p.5).

მთავარი მახასიათებელი რომლითაც განასხვავებენ სტრატეგიებს არის ორგანიზაციული მართვის დონეები. ავტორები, რომელმაც ამ კრიტერიუმებით ააგეს პირამიდა არიან ა. ტომპსონი და ჯ.სტრიკლენდი. მათმა მიდგომამ კი სახელი დაიმკვიდრა როგორც „სტრატეგიის პირამიდა“ (Strickland, 2003).



წყარო: Strickland, 2003

- პირველი დონე არის კორპორაციული სტრატეგია
- მეორე, ბიზნეს სტრატეგია
- მესამე, ფუნქციონალური სტრატეგია და
- მეოთხე, საოპერაციო სტრატეგია

კორპორაციული სტრატეგია - ეს არის საერთო მართვის დივერსიფიცირებული გეგმა, რომელიც აღწერს მოქმედებებს კონკრეტული პოზიციების მიღწევის შემდეგ სხვადასხვა სფეროში.

ბიზნეს სტრატეგია - ეს არის განყოფილების წარმატებული ფუნქციონირებისათვის მიდგომების და მეთოდების კომპლექსი, რომელიც ასახავს სტაბილური, გრძელვადიანი და კონკურენტული პოზიციის შექმნას.

ბიზნეს სტრატეგია მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. რეაქციას ცვლილებებზე ეკონომიკურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებში;
2. საბაზრო პოლიტიკის კონკურენტუნარიანი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად უპირატესობას ბაზარზე;
3. წარმოებისათვის საჭირო ცოდინისა და რესურსების დაგროვებას;
4. ფუნქციონალური განყოფილებების სტრატეგიული ინიციატივების კოორდინაციას;
5. კომპანიის კონკრეტული სტრატეგიული პრობლემების გადაჭრას;

ფუნქციონალური სტრატეგია წარმოადგენს ფუნქციონალური ერთეულების სამოქმედო გეგმას, მაგ., წარმოების გეგმა, მარკეტინგის სტრატეგია, ფინანსები, კადრები, მომხმარებლები და სხვა. ფუნქციონალური სტრატეგია მიმართულია კონკრეტული, სპეციფიური მიზნების მისაღწევად.

საოპერაციო სტრატეგია მოიცავს ძირითად პრინციპებს წამყვანი განყოფილებების, ერთეულების მუშაობისათვის. მაგ., ნედლეულის შესყიდვა, სარეკლამო კამპანია, მარაგების მართვა, რემონტი, ტრანსპორტირება და სხვა. საოპერაციო სტრატეგია არის კომპანიის ბიზნეს გეგმის შემავსებელი, უფრო დეტალიზებულად გაწერილი კონკრეტული მოქმედებების ჩამონათვალი (Strickland, 2003).

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ კომპანიის მიერ ინდივიდუალური პრევენციულ-ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭიროა შემდეგი ინფორმაციის დამუშავება:

- ანტიკრიზისული მართვის გუნდის/გუნდის წევრების უნარების ანალიზი და მათი დაჯგუფება, სისტემატიზაცია, კატეგორიზაცია;

- კომპანიის სვოტ და ფინანსური ანალიზი (როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური), სუსტი მარკერების გამოყოფითა და ფინანსური კოეფიციენტების (მაგ., ლიკვიდურობის, აქტივებზე უკუგების ROA, კაპიტალზე უკუგების ROE, და სხვა) მინიმალურ ზღვართან ახლო ჯგუფის იდენტიფიცირებით;

- კომპანიის განვითარების გეგმებისა და მიმდინარე ტენდენციების შედარებითი ანალიზი სახელმწიფოში არსებულ ბიზნეს გარემოსთან;

- კომპანიის ტრანსფორმაციის (გარდაქმნა, სხვა სუბიექტთან შერწყმა, გამოყოფა, სამიქნობის მიმართულების შეცვლა, რებრენდინგი და სხვა) შესაძლებლობის ანალიზი.

წინა თავებში განხილული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისა და ასევე ბიზნეს სუბიექტების კონკრეტული კრზისული შემთხვევების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ფაქტორებით, პრევენციული ანტიკრიზისული სტრატეგიის შექმნის ჩვენი მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებსა და ღონისძიებებს (ცხრილი N17):

ცხრილი N17: პრევენციულ-ანტიკრიზისული მოდელი


ეტაპი	კონკრეტული ღონისძიება	მონაწილე
ანტიკრიზისული მართვის გუნდის/გუნდის წევრების უნარების ანალიზი და მათი დაჯგუფება/სისტემატიზაცია/კატეგორიზაცია;	უნდა შეირჩეს ანტიკრიზისული მართვის გუნდი, რომელიც წევრთა მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულია ორგანიზაციის მოცულობასა და მიმართულებებზე. მაგრამ გუნდის ჩამოყალიბების დროს მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ორგანიზაციული რესურსი იმ ადამიანების სახით, რომლებიც მუშაობენ ამ ორგანიზაციაში და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია. კრიზისულ სიტუაციაში კომპანიამ შეძლებისდაგვარად უნდა აარიდოს თავი ზედმეტ დანახარჯებს და მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შიდა რესურსი. მინიმუმ გუნდში უნდა იყოს: ფინანსისტი, იურისტი, მარკეტინგის წარმომადგენელი და მომარაგების ხელმძღვანელი/საოპერაციო მენეჯერი.	კომპანიის მენეჯმენტი
კომპანიის სვოტ ⁸ და ფინანსური ანალიზი როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური, სუსტი მარკეტების გამოყოფითა და კოეფიციენტების მინიმალურ ზღვართან ახლო ჯგუფის იდენტიფიცირება;	კომპანიის სვოტ ანალიზში იგულისხმება კომპანიის ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი. ხოლო ფინანსურ ანალიზში იგულისხმება კომპანიის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფინანსური ანალიზი, ასევე ფინანსური მონაცემების კოეფიციენტური ანალიზი, რომელიც მინიმუმ მოიცავს ROE – საკუთარ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტსა და ROA - აქტივებზე უკუგების კოეფიციენტს	კომპანიის მენეჯმენტი, ბუღალტერი, აუდიტი, დაქირავებული საფინანსო ორგანიზაცია
კომპანიის განვითარების გეგმებისა და მიმდინარე ტენდენციების სახელმწიფოში არსებულ ბიზნეს გარემოსთან შედარებითი ანალიზი;	ჯგუფმა უნდა სასწრაფო წესით განიხილოს კომპანიის მიმდინარე პოზიცია ბაზარზე, მისი წილი მთლიან წარმოება/გაყიდვებთან მიმართებაში, მომწოდებლებთან და მყიდველებთან სახელშეკრულებო ვალდებულებების ანალიზი, გააანალიზოს ბაზრის მოთხოვნები და მიმდინარე ტენდენციები: არის თუ არა ცვლილება მოთხოვნებში, შეიცვალა თუ არა რეალიზაციის პირობები.	კომპანიის მენეჯმენტი და ანტიკრიზისული მენეჯმენტის გუნდი
კომპანიის ტრანსფორმაციის შესაძლებლობის ანალიზი	კომპანიის მიმართულების ცვლის შესაძლებლობის ანალიზი მოიცავს: მომიჯნავე საქმიანობებზე გადასვლის ან საქმიანობის მიმართულების რადიკალურად ცვლილების შემთხვევაში კომპანიის წინაშე მდგარ გამოწვევების შეფასებას, კერძოდ, რა სხვაობაა რისკებში კომპანიის გარდაქმის შემთხვევაში და მეორე, მიმდინარე ფორს-მაჟორულ სიტუაციის დამლევს პროცესში.	კომპანიის მენეჯმენტი და ანტიკრიზისული მენეჯმენტის გუნდი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მიგვაჩნია, რომ კრიზისის დროს ბიზნეს სუბიექტის მიერ კონკრეტული ღონისძიებების გაუტარებლობა იწვევს მის გამწვავებას და საბოლოოდ კომპანიის ლივიდაციას. ხოლო ბიზნეს სუბიექტის მიერ ორგანიზებულად მიმართული ანტიკრიზისული ღონისძიებები ახდენს კრიზისის სტაბილიზაციას და მის საბოლოო ლიკვიდაციას. ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების პროცესში ასევე მოქმედებას იწყებს გარემო ფაქტორების ეფექტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დროის გასვლასთან ერთად ანაიტრალებს რიგ ნეგატიურ ფაქტორებს (მაგ: ვალუტის კურსის რყევა, ინფლაცია, პოლიტიკური სიტუაცია და სხვა.)

ჩვენი მოსაზრება ვიზუალურად შეიძლება ასე გამოხატოს:

⁸ SWOT-ი ინგლისურ აბრევიატურას წარმოადგენს, რომლის ყოველი ასო ანალიზის ცალკეულ ელემენტს აღნიშნავს: S - strengths (ორგანიზაციის ძლიერი მხარე); W - weakness (ორგანიზაციის სუსტი მხარე); O - opportunities (ორგანიზაციის შესაძლებლობები); T - threats (მოსალოდნელი საფრთხე)



წყარო: ავტორის შემუშავებული

მიგვაჩნია, რომ ბიზნეს სუბიექტებისათვის პრევენციული ანტიკრიზისული სტრატეგიის არსებობის აუცილებლობა, ცვალებადი ბიზნეს გარემოდან გამომდინარე, რამდენიმე წლის შემდეგ მწვავედ დადგება დღის წესრიგში და სწორედ მაშინ დაიწყებს კომპანიების დიდი ნაწილი იმ ფაქტორების ანალიზს რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ბიზნესის განვითარებაში. ეს იქნება დაგვიანებული ქმედება, ვინაიდან თუ კომპანიები მანამდე მოახდენენ მათი საქმიანობის ჩვენს მიერ შეთავაზებული კრიტერიუმებით ანალიზს, ვფიქრობ დროულად, სწორი მიმართულებით შეძლებენ განვითარების სტრატეგიის დასახვას.

უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თითოეულმა ბიზნესმა საქმიანობის დაწყებისთანავე უნდა შეიმუშავოს ანტიკრიზისული სტრატეგია, რადგან მიმდინარე და მოსალოდნელი გამოწვევების წინაშე ის უფრო მდგრადი და მომზადებული აღმოჩნდეს.

ვფიქრობთ, სახელმწიფოს მაღალი ინტერესიც უნდა იქნას გამოხატული ამ საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან მდგრადი და სტაბილური ბიზნეს სუბიექტები უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც თავის თავში მოიცავს დასაქმებას, ძლიერ სოციალურ ფენას, განვითარებულ ინფრასტრუქტურასა და ძლიერ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ბიზნეს სუბიექტების კრიზისის ანალიზისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა არა მხოლოდ მათი ზოგადი ფინანსური მდგომარეობის შესწავლა (ფინანსური მოდელების მეშვეობით), არამედ კონკრეტული საქმეების, შემთხვევების ინდივიდუალური, ჩაღრმავებული ანალიზი. კრიზისის კვლევის მეთოდოლოგია აუცილებლად უნდა მოიცავდეს: კომპანიების სეგმენტაციას საქმიანობის სფეროს მიხედვით, კერძოდ: (ვაჭრობა, მომსახურება, წარმოება და ა.შ.). ასევე, მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტის ბრუნვის მოცულობის გათვალისწინებას, მესამე პროდუქციისა თუ ნედლეულის მიწოდებაში იმპორტის მოცულობას, კონკურენტების, მენეჯმენტის და სხვა შიდა ფაქტორების ანალიზს, ასევე სახელმწიფო რეგულაციების ანალიზსა და იმ არაფორმალური ინსტიტუტების წრის გამოკვეთას, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ბიზნეს სუბიექტის კრიზისის ფორმირებაზე.
2. კრიზისის კვლევის დროს კომპანიის ფინანსური ანალიზი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ფინანსური მონაცემების კოეფიციენტურთან შედარებას, არამედ ასევე კომპლექსურად კომპანიის საბალანსო მონაცემებს, გაყიდვების, შესყიდვების, საკრედიტო და კრედიტორული დავალიანებების მართვის, აქტივებისა და კაპიტალის მდგომარეობის, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების, ცალკეული მაჩვენებლების დინამიკისა და კომპანიის ფინანსური მონაცემების დინამიკის შეასახებ ინფორმაციას.
3. კომპანიის კრიზისის იდენტიფიკაციისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ბიზნეს სუბიექტის ფინანსური ანალიზი, სრულფასოვანი შედეგების მისაღებად საჭიროა ქვეყნის ფულად-საკრედიტო, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შესწავლა; ქვეყნის ბიზნეს გარემოს შეფასების რეიტინგების კომპონენტური შედარება, ასევე იმ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ანალიზი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ახდენს გავლენას ბიზნეს სუბიექტების კრიზისების წარმოშობასა და განვითარებაზე.
4. ფინანსური ინსტიტუტების როლი ბიზნესის დაკრედიტების პროცესში გადამწყვეტია ბიზნესსაქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. საფინანსო

ინსტიტუტის უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბიზნეს სუბიექტის (შ.პ.ს; ს.ს; ი/მ და სხვა.) გაუთვალისწინებელ, ფორს-მაჟორულ, კრიზისულ სიტუაციაში ჩაგდება, რისი შედეგიც ხშირ შემთხვევაში ბიზნესსუბიექტის გადახდისუნარიობა და საქმიანობის შეწყვეტაა. ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დამკვიდრება, რაც გულისხმობს ბანკის/საფინანსო ინსტიტუტის მიერ კლიენტის ფინანსური მდგომარეობის სრულფასოვან და დეტალურ ანალიზს, კრედიტის მიზნობრიობის დადგენას, თანხის იმ მოცულობის განსაზღვრას და სესხად გაცემას, რომლის გადახდის შესაძლებლობაც ექნება კლიენტს მოცემული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე.

5. იმისათვის, რომ დაკრედიტების პროცესი არ იყოს კრიზისის დაწყების ან განვითარების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მაქსიმალურად დეტალურად იქნას შესწავლილი კლიენტის ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობის სწორად შესაფასებლად. ასევე, საფინანსო ინსტიტუტების პროდუქტები უნდა იყოს გამჭვირვალე, ხოლო პირობები მკაფიოდ გაწერილი; მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები უნდა იყოს მოქნილი და გასაგები ტერმინოლოგიით შედგენილი; ამ სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი რეგულაციის დაწესება და ფინანსური სექტორის კლიენტების ცნობიერების ამაღლება ფინანსურ ურთიერთობათა ნიუანსებში.

6. კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნეს სუბიექტს, რომელსაც აქვს დებიტორული დავალიანების მაღალი ბრუნვადობა, ლარში გაყიდული საქონლის საფასურის დროული დაბრუნება საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს თანხის კონვერტირება საქონლის შესასყიდ ვალუტაში და აიცილოს სამომავლოდ ვალუტის ცვალებადობის რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესება და საბოლოო ჯამში კრიზისის წარმოშობა.

7. კვლევამ აჩვენა, რომ ვალუტის კურსის ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, იწვევს მათი მართვის სტრატეგიის ცვლილებას; კომპანიას უხდება საგანგებო მეთოდების შემუშავება, რომლითაც ცდილობს კრიზისის თავიდან აცილებას.

8. ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის დეტალური ანალიზით ვნახეთ, რომ კომპანიების მსგავსი რისკებისგან დაზღვევის სახელმწიფო სტრატეგია ან პროგრამა არ არსებობს. კომპანიები ძირითადად ცდილობენ საკუთარი რესურსებითა და დამოუკიდებლად, პრაქტიკულად აპრობირებული მეთოდოლოგიით გაუმკლავდნენ ვალუტის კურსის ცვალებადობის მიერ გამოწვეულ სირთულეებს, რაც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- მაქსიმალურად შეამციროს დებიტორებზე გრძელვადიანი გადახდის პირობით საქონლის გაცემა, შესაბამისად მოკლევადიან პერიოდში დაბრუნებული საქონლის საფასური ლარში საშუალებას მიცემს დროულად მოახდინოს კონვერტირება და სამომავლოდ აიცილოს აღნიშნული რისკი;
- დებიტორებთან დააფიქსირონ ვალდებულება აშშ დოლარის ექვივალენტში, ამ შემთხვევაში მთლიანად გამოირიცხება ვალუტის ცვალებადობის შედეგად შესაძლო ზარალის რისკი (თუმცა ამ პირობას არ თანხმდება ყველა კლიენტი);
- იმპორტიორები უცხოეთიდან შემოსატანი საქონლისათვის საჭირო თანხას აკონვერტირებენ და უცხოურ ვალუტაში უფრო ხშირი პერიოდულობით ათავსებენ ანგარიშზე (აღრე თუ თანხას აგროვებდნენ 15-20 დღის განმავლობაში და შემდეგ აკონვერტირებდნენ, ახლა კონვერტაციებს აკეთებენ უფრო ხშირი პერიოდულობით ყოველ 5-10 დღეში), ამით საშუალება ეძლევათ აიცილონ სამომავლო ვალუტის ცვალებადობის რისკი;
- ავანსად ლარში ჩარიცხულ თანხებს აკონვერტირებენ იმავე დღეს, რითაც ასევე ეძლევათ საშუალება აიცილონ სამომავლო ვალუტის ცვალებადობის რისკი;
- ახდენენ მომწოდებელთან საქონლის ფასის კორექტირებას, ან პოულობენ ახალ მომწოდებელს; ეს რისკების დაზღვევის შედარებით რთული მეთოდია, რადგან, ფაქტიურად, უხდებათ ბიზნესში მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა, ამიტომ შედარებით უფრო ხშირია ფასის უმნიშვნელო ცვლა.
- სესხს ანაცვლებენ შედარებით იაფი საპროცენტო განაკვეთიანი საბანკო გარანტიით (სესხი ბაზარზე საშუალოდ 7-11%—ია მაშინ, როდესაც საბანკო გარანტია 1-4%); ამ მეთოდს იყენებს გამოკითხული კომპანიების 10%, კერძოდ უცხოურ მომწოდებელთან წარადგინა საბანკო გარანტია, რომლის საპროცენტი განაკვეთი,

სესხის განაკვეთთან შედარებით, თითქმის განახევრებულია, შესაბამისად ყოველთვიური საპროცენტო გადასახადი გაუნახევრდა. მსგავსი რისკებისგან დაზღვევის სახელმწიფო სტრატეგია ან პროგრამა არ არსებობს.

9. კვლევის ფარგლებში გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი საქართველოში არ სარგებლობს კვალიფიციური ფინანსური კონსულტანტების - კრიზის მენეჯერების მომსახურეობით და ძირითადად კონსულტაციებს ბუღალტრებისა და შიდა მენეჯერებისაგან იღებენ. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით კომპანიებში არ არის მასიურად დამკვიდრებული საკონსულტაციო ფირმებთან მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობის კულტურა. ასევე მეორეს მხრივ თავად კომპანიების კრიზისის მენეჯმენტზე მომუშავე კომპანიებიც ძალიან მცირე რაოდენობითაა საქართველოში და მათი მომსახურების ღირებულება არც თუ ისე ხელმისაწვდომია.

10. ბიზნეს სუბიექტებს არ გააჩნიათ საქმიანობის პროცესში ფორს-მაჟორულ სიტუაციების დაძლევაზე ორიენტირებული სტრატეგია და, შესაბამისად, ნებისმიერ მსგავს მოვლენას კომპანიის მართვა გადაჰყავს სპონტანურ ინტუიტიურ გადაწყვეტილებების რეჟიმში. სპონტანურად, მიღებული გადაწყვეტილებები ორმაგად ზრდის კრიზისის ფაქტორების გაძლიერების რისკს. შესაბამისად მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გამოსავალია წინასწარ გაწერილი პრევენციული ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავება სავარაუდო კრიზის ფაქტორების გათვალისწინებით.

11. საქართველოს მოსახლეობას შეეზღუდა უცხოურ ვალუტაში მცირე სესხებზე ხელმისაწვდომობა; დეველოპერების მიერ კლიენტების ამ სეგმენტის დაკარგვამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ბიზნესის განვითარებასა და მდგრადობას. შესაძლებელია დადგეს ორმაგი კრიზისის საფრთხე, ერთის მხრივ, ბიზნესის განვითარების ხელშეშლა და, მეორეს მხრივ, მოსახლეობის მცირე სესხებსა და მცირეფართობიან უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. საკვალიფიკაციო ნაშრომში დასმული ეს საკითხი და ჩვენი მოსაზრება არის შემდგომი კვლევის გეგმა, რაც ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდების/პროგნოზების არგუმენტირებულ დასაბუთებაში დაგვეხმარება.

12. ეროვნული ვალუტის გაუფასურება იწვევს პირველადი მოხმარების პროდუქციის ფასის ზრდას. შესაბამისად კლებულობს გაყიდვების მოცულობა, რაც პირდაპირ ამცირებს როგორც კომპანიის შემოსავლებს ასევე მათ მიერ გადასახადების სახით ქვეყნის ბიუჯეტში შენატანებს. ზემოაღნიშნული ფაქტორები კი კომპლექსურად ზიანს აყენებს და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

13. სახელმწიფოს არ აქვს ბიზნესის განვითარებაზე მიმართული ერთიანი სახელმწიფო კონცეფცია, რომელიც ცალკეული თვითმმართველი ერთეულებისათვის სახელმძღვანელო ფუნქციას შეასრულებს; თვითმმართველობებში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, მიდგომა ბიზნეს სუბიექტების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. მაგ., 2007 წლიდან 2018 წლამდე ქ. ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტით საერთოდ არ დაფინანსებულა არც ერთი პროექტი, რომლის მიზანიც იქნებოდა ბიზნესის მატერიალური ან არამატერიალური სახით ხელშეწყობა.

14. სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული ბიზნეს სუბიექტების ან ბიზნესის კრიზისული სიტუაციებიდან დაცვის მექანიზმი, ისევე როგორც არ აქვს ქვეყნის ბიუჯეტიდან მის მიერ დაფინანსებული ბიზნეს პროექტების კრიზისებისგან დაცვის ან პრევენციის მექანიზმი;

15. არ ხდება მეცნიერების მიერ შემუშავებული გაკოტრების პროგნოზირების მოდელების (ალტმანის, ლისის, ბივერის, სპრინგეიტისა და სხვ.) ქართულ სინამდვილეში იდეური თანხვედრა, ვინაიდან საქართველოში გაკოტრება, იგივე გადახდისუუნარობა, არის ინსტიტუტი, რომელიც შეუძლია გამოიყენოს როგორც დებიტორს ასევე კრედიტორს – ცალმხრივად, ნებაყოფლობით. გადახდისუუნაროდ (გაკოტრებულად) გადაწყვეტილებას იღებს დასავლეთ საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლო. ანუ გაკოტრება არ ნიშნავს კრიზისული მდგომარეობის გამო ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის შეწყვეტას; ის არის საშუალება, რომელზე მიმართვაც მხარეებს ნებაყოფლობით შეუძლიათ და რომლის მიზანიც არის ბიზნეს სუბიექტის გადახდისუუნაროდ გამოცხადება, ან რეაბილიტაციის რეჟიმში გადაყვანა. შეიძლება ითქვას რომ გადახდისუუნარობის

ინსტიტუტის არსებობის მიზანი დებიტორისა და კრედიტორის უფლებების თანაბარზომიერი დაცვაა. შესაბამისად, საქართველოში გაკოტრებულად / გადახდისუუნაროდ გამოცხადება არის სასამართლოს პრეროგატივა და ეს არ არის კომპანიის საქმიანობის დასრულების ამსახველი ტერმინი. ამიტომაც, ზოგადი კრიზისის პროგნოზირებისათვის არ შეიძლება უნივერსალურად მივიჩნიოთ რომელიმე გაკოტრების რისკის პროგნოზირების მოდელი, მითუმეტეს, რომ თითოეული მათგანი მორგებულია იმ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასა და ბიზნესის იმ ორგანიზაციულ ფორმებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ მოდელების შექმნისა და შემოწმების პროცესში.

16. მაკროეკონომიკური ფაქტორები უფრო აძლიერებს ბიზნეს სუბიექტის კრიზისის გამომწვევ შიდა ფაქტორებს და შესაბამისად კომპლექსური, მრავალფაქტორიანი კრიზისული სიტუაციები უფრო რთული სტაბილიზაციისა და საბოლოო რეაბილიტაციის ღონისძიებებს საჭიროებს. თუ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია კომპანიის ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, მაგრამ ქვეყანაში კვლავ გრძელდება (საგარეო შოკების გავლენით) ვალუტის კურსის მერყეობა, შესაძლებელია ანტიკრიზისულ ღონისძიებებში ჩადებული ინვესტიცია კიდევ უფრო ზარალიანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის. შესაბამისად სახელმწიფოს როლი მაკროეკონომიკური ფაქტორების სტაბილიზაციისათვის არის ბიზნესისათვის გადაამწყვეტი.

17. თანამედროვე, მოდერნიზებული ბიზნეს ობიექტები შესაძლებელია გახდნენ იგივე ბიზნეს სეგმენტში მომუშავე ძველი მოდელის, ადჰურვილობისა და ტექნოლოგიის ობიექტების კრიზისში შესვლის მიზეზი. მართალია, ტექნოლოგიური გადაიარაღება შეუქცევადი პროცესია ბიზნესის განვითარებაში, თუმცა ამ პროცესების კვადაკვალ ხდება ფინანსურად შედარებით სუსტი ბიზნეს სუბიექტების ბაზრიდან გაქრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება უფრო და უფრო იწვევს დასაქმებულების ჩანაცვლებას დისტანციური ან ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც ასევე დროის გარკვეულ პერიოდში შექმნის დასაქმებული ადამიანური რესურსის კომპიუტერულ-ტექნოლოგიური საშუალებებით ჩანაცვლებას, ხოლო ის ბიზნესები რომლებიც შეეცდებიან

შეინარჩუნონ მდგომარეობა ტექნიკური გადაიარაღების გარეშე, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ განწირულია კრიზისისა და ლიკვიდაციისათვის.

18. მენეჯმენტისათვის, კრიზისის დროს, კომპანიის ყოველდღიური ფინანსური ანალიზი არ უნდა იქცეს ერთადერთ ძირითად საქმედ, არამედ საქმიანობა უნდა იყოს მიმართული ძირითადი ყოველდღიური პრობლემების, მიმდინარე გამოწვევების, სტრატეგიული მიმართულებების ანალიტიკაზე, როგორებიცაა: კონკურენცია, ვალუტის კურსი და სხვა მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორები. იმ ბიზნეს სუბიექტის მენეჯმენტი, რომელიც პასიურ მდგომარეობაში დაელოდება კრიზისული სიტუაციის სტაბილიზაციას, სუბიექტურად ზრდის კომპანიის ლიკვიდაციის რისკს.

19. კრიზისის დროს ბიზნეს სუბიექტის მიერ კონკრეტული ღონისძიებების გაუტარებლობა იწვევს მის გამწვავებას და, საბოლოოდ, კომპანიის ლიკვიდაციას. ხოლო ბიზნეს სუბიექტის მიერ ორგანიზებულად მიმართული ანტიკრიზისული ღონისძიებები კრიზისის სტაბილიზაციას და მის საბოლოო ლიკვიდაციას იწვევს. ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების პროცესში ასევე მოქმედებას იწყებს გარემო ფაქტორების ეფექტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დროის ინტერვალთან ერთად ანეიტრალებს რიგ ნეგატიურ ფაქტორებს (მაგ: ვალუტის კურსის რყევა, ინფლაცია, პოლიტიკური სიტუაცია და სხვა.)

ქართული ბიბლიოგრაფია

1. აბუსელიძე, გ. და ქათამაძე, გ. (2016). ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N4, გვ: 151-161.
2. აბუსელიძე, გ. (2006). საქართველოს ბიუჯეტური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავსებურებები გარდამავალ პერიოდში, თბილისი, გვ. 13-14.
3. აბუსელიძე, გ. და ქათამაძე, გ. (2017). საქართველოში ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა და პრევენციული ღონისძიებების ანალიზი, ჟურნალი ეკონომიკა, N6.
4. ავალიშვილი, ი. (1927). „ბალანსის ანალიზი“.
5. ბაიაშვილი, თ. (2015). სავალუტო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკისათვის; ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე; ტომი 3, N3. გვ. 42-60.
6. ბერიშვილი, ხ. (2012). გლობალიზაცია და საინვესტიციო ზრდის აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია-7 აპრილი, გვ. 51.
7. ბერიძე, თ. და მექვაბიშვილი, ე. (2017). კ. მარქსის „კაპიტალი“ და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი „კაპიტალის“ I ტომის გამოსვლის 150-ე წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.10, N3, 2017 წ. გვ. 23.
8. ბოჭორიშვილი, ლ. და ბეზიაშვილი, ნ. (2009). „ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები“.
9. გადელია, დ. (2010). მონოგრაფია „ფინანსური მენეჯმენტი“.
10. დარსაველიძე, ნ. (2012). ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში, დისერტაცია, ივნისი, გვ.36-37-83.
11. კოვზანაძე, ი. და კონტრიძე, გ. (2014). თანამედროვე საბანკო საქმე თეორია და პრაქტიკა, თბ., გვ.41-57.
12. თეთრუაშვილი, მ. და თეთრუაშვილი, ი. (2007). „ფინანსური მენეჯმენტი“.
13. მექვაბიშვილი, ე. (2012). ეკონომიკური კრიზისების თეორია და გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები, გლობალიზაცია,

საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, გვ: 20.

14. მექვაბიშვილი, ე. (2016). გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთიანობა –
თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების პარადიგმა, საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი N2.

15. მექვაბიშვილი, ე. (2018). „ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური
თეორიის კრიზისი?“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი,
გლობალიზაცია და ბიზნესი, N6.

16. მიმინოშვილი, თ. (2014). სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი
და მისი განვითარების პერსპექტივები, დისერტაცია, გვ.115-116, თბილისი.

17. ნანობაშვილი, ქ. (2009). „საბუღალტრო აღრიცხვის ფინანსური ანალიზის
საფუძვლები“.

18. პაპავა, ვ. და ჩოჩელი, ვ. (2002). ვ. ჩოჩელი ვ., გლობალური ეკონომიკური
კრიზისის შესაძლებლობა და საქართველოს სტრატეგია. საქართველოს ეკონომიკური
მიმართულებები, N 2.

19. პაპავა, ვ. (2009). ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე,
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული II.
თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა.

20. ჭილაძე, ი. (2011). „ფინანსური ანალიზი“, 2011 წ.

21. პაპავა, ვ. (2010). გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის
ზომბირების საფრთხე. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
შრომები, ტომი 8. თბილისი, "სიახლე".

22. პარლამენტი, (2015). ფისკალური პოლიტიკის გავლენის ძირითადი ასპექტები
თებერვალი, 2015 წელი, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ბიუჯეტის
ანალიზის განყოფილება მაკროეკონომიკური გარემოსა და საგადასახადო პოლიტიკის
ანალიზის განყოფილება.

23. საქართველოს კანონი, 01.07.2011. საქართველოს ორგანული კანონი
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ 01/07/2011 წ.

24. საქართველოს კანონი 03.05.2017.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №61/04 (მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის №61/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ).

25. საქართველოს კანონი, 06.02.1998. საქართველოს პრეზიდენტს 06/02/1998 წლის N70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

26. საქართველოს კანონი, 08.06.2016. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

27. საქართველოს კანონი, 15.08.2007. 2007 წლის 15 აგვისტოდან მოქმედი საქართველოს კანონით „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.

28. საქართველოს კანონი, 17.04.2018. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 17 აპრილის N65/04 ბრძანებით, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით ცვლილებები შევიდა "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში."

29. საქართველოს კანონი, 17.09.2010. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17.09.2010 წ.

30. საქართველოს კანონი, 18.12.2009. 2009 წლის 18 დეკემბრის საქართველოს კანონი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

31. საქართველოს ორგანული კანონი, 2009. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 34 პუნქტი 2.

32. საქართველოს კანონი, 21.03.2014. 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 კანონი კონკურენციის შესახებ.

33. საქართველოს კანონი, 22.12.2017. 22/12/2017 წლის საქართველოს პარლამენტის N1892-რს დადგენილებით: „საქართველოს 2018–2020 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“.
34. საქართველოს კანონი, 24.05.1995. საქართველოს კონსტიტუცია.
35. საქართველოს კანონი, 24.09.2009. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ 24.09.2009წ.
36. საქართველოს კანონი, 28.10.1994. 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებული კანონისა „მეწარმეთა შესახებ“
37. სმიტი, ა. (2007). „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“.
38. ქათამაძე, გ. (2017). სესხების გაღარების სახელმწიფო პროგრამის პირობები და მისი შედეგების ფინანსურ ეკონომიკური ანალიზი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი. კონფერენცია: თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები - 2017.
39. ქათამაძე, გ. (2018). საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესის დინამიკა და ტენდენციები, ჟურნალი ინოვაციური ეკონომიკა, 2.
40. ჩალაფეიქრიშვილი, ვ. (2013). მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, დისერტაცია, თბილისი, გვ79-83.
41. ჩიქობავა, მ. (2012). მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მორიგი ტალღა და მისი გავლენა საქართველოზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, გვ.61-65.
42. ჭილაძე, ი. (2012). მსოფლიოს ერთიანი ვალუტის პრობლემური საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, გვ: 330-331.

უცხოენოვანი ბიბლიოგრაფია:

43. **Abuselidze, G. (2012).** The Influence of Optimal Tax Burden On Economic Activity and Production Capacity, *Intellectual Economics*, Vol. 6, No. 4(16), pp. 493–503.
44. **Abuselidze, G., & Katamadze, G. (2016).** International Experience Of Ranking Of Georgian Business Environment And Its Impact On Economic Activity, *Archives of Business Research*, Vol.5, No.5.
45. **Abuselidze, G., & Katamadze, G. (2018).** The Importance of Legal Forms of Business Subject for Formation of Business Environment in Georgia, 2018 March 22/23, Conference: Enterprise, Creativity and Digitization, Warsaw School Of Economics.
46. **Adizes, I. (2004).** *Managing Corporate Lifecycles 2004.*
47. **Altman, E. (1968).** Financial Ratios, Discriminant Analysis and the Prediction of Corporate Bankruptcy.
48. **Beaver, W.H. (1966).** Financial ratios as predictors of failure. *Journal of Accounting Research*, 4(3), გვ.71-111.
49. **BAOS, (2015).** Bank Association of Slovenia Corporate Committee, Principles of Responsible Commercial Crediting, Ljubljana, November, pp. 2-4.
50. **Greiner, L.E. (1972).** Evolution and Revolution as Organizations Grow. *Harvard Business Review*, Vol. 50, Issue 4, pp. 37-46.
51. **Ames, M.D. (1995).** *Small Business Management*, West Publishing Company, College & School Division.
52. **Robinson, T.R. (2009).** international financial statement analysis, cfa hennie van greuning, cfa elaine henry, cfa michael a. broihahn, cfa, copyright © 2009 by cfa institute, published by john wiley & sons, inc., hoboken, new jersey.);
53. **Keynes, J.M. (2003).** *The General Theory of Employment, Interest, and Money.*
54. **Kovzanadze, I. (2010).** Crisis Lessons: A New Model of Regulation of Economy Is Needed, *VOPROSY ECONOMIKI*, N.P. Redaktsiya zhurnala "Voprosy Ekonomiki", vol. 4; Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition I Kovzanadze - 2008
55. **Lerbinger, O. (1997).** *The crisis manager: Facing risk and responsibility.*

56. **Malthus, T.R. (1798).** An Essay on the Principle of Population.
57. **North, D. (1990)** institutions, institutional change and economic performance, cambridge university press.
58. **Ogujiuba, K.K., & Adenuga, A.O.(2004).** Credit Availability to Small and Medium Scale Enterprises in Nigeria: Importance of New Capital Base for Banks – Background and Issues.
59. **Porter, M. (1996).** "What Is Strategy?" Harvard Business Review.
60. **Ricardo, D. (2001).** On the Principles of Political Economy and Taxation.
61. **Robinson, J. (1962).** Essays in the Theory of Economic Growth.
62. **Robinson, T.R. (2004).** Financial statement analysis: A global perspective.
63. **Rothbard, (2012).** Rothbard Murray America, S Great Depression, pp. 139-141.
64. **Sismondi, J.CH. (1847).** Political Economy and the Philosophy of Government.
65. **BAOS, (2015):** Bank Association Of Slovenia Corporate Committee, Principles Of Responsible Commercial Crediting, Ljubljana, November, pp. 2-4.
66. **Strickland, Th. (2003).** Strategic management concepts and cases.
67. **Taffler, R.J. (1995).** The use of the Z-score in practice (Working paper 95/1, A Centre for Empirical Research in Finance and Accounting, City Business School, London).
68. **Tushabomwe, CH.K. (2006).** Causes of Small Business Failure in Uganda: A Case Study from Bushenyi and Mbarara Towns, African Studies Quarterly Volume 8.
69. **Ulwick, (1999).** Ulwick Anthony W, Business strategy formulation : theory, process, and the intellectual revolution, 23.
70. **Fridson and Alvarez, (2002).** Financial statement analysis.
71. **White, C. (2004).** Strategic management.
72. **Fredland, E.J. (1976).** A Cross Section Analysis of Small Business Failure, American Journal of Small Business.
73. **Kavelashvili, N. (2018).** Testing Efficiency of Georgian Lari Us Dollar Exchange Market, Journal Ecoforum, Volume 7, Issue 2(15).
74. **Schumpeter, J. (2003).** Capitalism, Socialism And Democracy.
75. **Masso, J. & Merikull, J. (2011).** Gross Profit Taxation Versus Distributed Profit Taxation and Firm Performance: Effects of Estonia’s Corporate Income Tax Reform.

76. **Henderson, B. (1989).** The logic of business strategy.
77. **Narmania, D. (2009).** TURKISH POLICY QUARTERLY, Volume 8 Number 2, September 5.
78. **Huber, J. (2014).** Modern Money Theory and New Currency Theory A comparative discussion, including an assessment of their relevance to monetary reform.
79. **Hansen, A. (1939).** "Economic Progress and Declining Population Growth".
80. **Samuelson, P.A. (1970).** Maximum Principles in Analytical Economics, Massachusetts Institute of Technology, Cambridge, Massachusetts Nobel Memorial Lecture.
81. **Hayek, F.A. (1979).** Unemployment and Monetary Policy: Government as Generator of the "Business Cycle".
82. **Hansen, A. (1939).** "Economic Progress and Declining Population Growth," American Economic Review.
83. **Schumpeter, J.A. (2017).** The Theory of Economic Development an Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle.
84. **Schumpeter, J.A. (1933).** Econometrica, 1, 5.
85. **Алексеева, А.И, Васильев Ю.В, (2006).** Финансы и статистика, 672с.
86. **Юдина, И.Н. (2009).** БАНКОВСКАЯ СИСТЕМА РОССИИ: РАЗВИТИЕ ОТ КРИЗИСА ДО КРИЗИСА. Социально-Экономические Науки, 2009, Том 9, Выпуск 3. Вестник НГУ.
87. **Дарендорф, Р. (2002).** Современный социальный конфликт. Очерк политики и свободы.
88. **Коротков, Э.М. (2007).** Коротков Э.М. Стратегия и тактика в антикризисном управлении Глава из книги «Антикризисное управление».
89. **Красавина, Л.Н. (2000).** Международные Валютно-Кредитные И Финансовые Отношения, Москва "Финансы И Статистика.
90. **МАРКС, К. (2013).** КАПИТАЛ, ТОМ I.
91. **Титаева, А.В. (2006):** Анализ денежного потока (cash flow).
92. **Мильнер, Б.З. (2000).** ТЕОРИЯ ОРГАНИЗАЦИИю
93. **Савицкая, Г.В (2002).** Анализ хозяйственной деятельности предприятия.
94. **Сиридонов, П. П. (2010).** Анализ бухгалтерского баланса.
95. **Файдушенко, В. А. (2013).** финансовый анализ: теория и практика.
96. **Фомин, П.А., & Старовойтов М.К. (2002).** Особенности оценки производственного и финансового потенциала промышленных предприятий.

97. Черногорова, К.А. (2016). Черногорова К.А. анализ концепта «кризис предприятия», международный научно-исследовательский журнал.

98. Цветков, В.А. (2013). Циклы и кризисы: теоретико-методологический аспект.

ელექტრონული რესურსები:

99. ბიზნესომბუდსმენის ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://businessombudsman.ge/ka>.

100. აწარმოე საქართველოში ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://enterprisegeorgia.gov.ge/>.

101. საქართველოს მთავრობის ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) http://gov.ge/index.php?sec_id=1&lang_id=GEO

102. DCFTA შესახებ ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.dcfta.gov.ge/>

103. ევროპის ცენტრალური ბანკის ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.ecb.europa.eu/stats/html/index.en.html>

104. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.economy.ge/>

105. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.gcci.ge/>

106. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.imf.org/external/index.htm>

107. ქუთაისის სააპელაციოს სასამართლოს ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.kutaisiappeal.court.gov.ge/>

108. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.mrdi.gov.ge/>

109. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.napr.gov.ge/>

110. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ელექტრონული გვერდი: (მომიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.pbo.parliament.ge/ge/>

111. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ელექტრონული გვერდი: (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.tbappeal.court.ge/>
112. მსოფლიო ბანკის ელექტრონული გვერდი: (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.worldbank.org/>
113. სამეწარმეო რეესტრის ელექტრონული გვერდი: (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index&state=search
114. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული გვერდი, (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <https://www.mof.ge/>
115. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონული გვერდი: (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <https://www.sao.ge/>
116. **EU2008/48/EC**: მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების 2008/48/EC დირექტივა), (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:133:0066:0092:EN:PDF>
117. **DB2018A**: Doing Business (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.doingbusiness.org/data/exploreconomies/georgia/>
118. **DB2018B**: Doing Business Methodology, (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <http://www.doingbusiness.org/methodology>
119. **DB2018C**: (მოძიებულია 2018 წლის 18 ივნისი) <https://napr.gov.ge/p/227> Economy rankings by doing business;
120. **ეროვნული ბანკი 2018(ა)**: (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2018/publish_mr_february_2018.pdf
121. **ეროვნული ბანკი 2018**: (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2018/publish_mr_february_2018.pdf
122. **ეროვნული ბანკი (გ)**: (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი) <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo>
123. **ეროვნული ბანკი (დ)**: (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი) <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628>

124. **ეროვნული ბიბლიოთეკა:** (მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
125. **ლექსიკონი:** (მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
<http://www.businessdictionary.com/definition/crisis.html>.
126. **Shumway Tyler**, Forecasting Bankruptcy More Accurately: A Simple Hazard Model
University of Michigan Business School, July 16, 1999 (მომიებულია 2018 წლის 10
დეკემბერი) https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=171436.
127. **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი:** the Index of Economic Freedom,
(მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი) <https://www.heritage.org/index/country/georgia>
128. **Эйтингон В.Н**, Прогнозирование банкротства: основные методики и проблемы
(მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
<http://masters.donntu.org/2009/fvti/gaidur/library/article9.html>
129. **Асаул А.Н.**, И. П. Князь, Ю. В. Коротаева, Теория и практика принятия решений
по выходу организаций из кризиса, Под ред. засл. Строит. РФ, д-ра экон. наук, проф.
А.Н. Асаула. – СПб: АНО «ИПЭВ», 2007. -224с. (მომიებულია 2018 წლის 10
დეკემბერი) <http://www.aup.ru/books/m8/>
130. **Kindleberger Charles**, January 03, 2009: Anatomy of a Typical Financial Crisis,
(მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
http://delong.typepad.com/egregious_moderation/2009/01/charles-kindleberger-anatomy-of-a-typical-financial-crisis.html
131. **ოქსფორდის ლექსიკონი:** (მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
<https://en.oxforddictionaries.com/definition/crisis>
132. **პავლიაშვილი:** პავლიაშვილი სოლომონ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და
საქართველო, (მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
http://www.for.ge/view.php?for_id=4095&cat=3
133. **Horst Siebert**, Preventing Financial Instability and Currency Crises, No. 1401|
February 2008, Kiel Institute for the World Economy, Düsternbrooker Weg 120, 24105 Kiel,
Germany, (მომიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
[http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.522.9297&rep=rep1&type=pdf ;\)](http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.522.9297&rep=rep1&type=pdf)

134. **სტარტაპ საქართველო:** სტარტაპ საქართველო, (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი) <http://startup.gov.ge/geo/program>
135. **სტატისტიკა(ა):** საქართველოს სტატისტიკის სამსახური: (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2017Q4-2017-GEO-with%20cover.docx.pdf
136. **სტატისტიკა(ბ)** (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/Press%20release%20GDP%20Q4%202017_Geo.pdf -საქართველოს სტატისტიკის სამსახური.
137. **სტატისტიკა:** (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
http://geostat.ge/?action=page&p_id=229&lang=geo, National Public Registry Agency of Georgia, business registration stages according to the legal status.
138. **ფინანსთა სამინისტრო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები დეკემბერი 2017, (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
https://mof.ge/images/File/Outlook%20December%202017_GEO.pdf.
139. **საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2008:** International Monetary Fund. (2008). World Economic Outlook, Available from: (მოძიებულია 2018 წლის 10 დეკემბერი)
<http://www.imf.org/external/index.htm>. IMF 2008.

დანართები:

- 1) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.2018 წლის N87-2/10 წერილი
- 2) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.03.2018 წლის N2-0139/2372620 წერილი
- 3) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 13.02.2018 წლის N395-6-2-201802131607 წერილი
- 4) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 08.05.2018 წლის N201973 წერილი
- 5) ქ. ბათუმის მერიის წერილი N 6635-25 12/04/2018
- 6) ქ. თბილისის მერიის წერილი N19/01181071415-01